# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 ნოემბერი **სამშაბათი** 2012 **№275 (13 881)** ფასი 80 თეთრი



# ლიპარტელიანს შეუტიეს

## პრეზიდენტის შეცვლა შეუძლებელი ყოფილა?

## ქართულმა კალათბურთმა ფედერაციას წესდება დაუწუნა

12

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ

# იუვე მხოლოდ მოგება!




## გატეხილი ნეკნებით ვალენსიაში

ტრავმირებული რიბერი თამაშს აპირებს

5

ლეგიონერები

# კობახიძეს კანკავამ მიულოცა

## უკრაინული მედია: ყენიამ შტილიჩი დაგვავიწყა



ლევან ყენია (მარცხნივ) ჩვეულ ფორმას იბრუნებს

**განვლილი შაბათ-კვირა წარმატებული აღმოჩნდა სანდრო კობახიძისა და ლევან ყენიასთვის. უკრაინის პრემიერლიგაში მათ ანგარიშზე გოლები ჩაიწერეს.**

კობახიძის კიევის „არსენალმა“ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, დონეცკის „შახტარის“ 15-მატჩიანი მოგებათა (!) სერია შეწყვიტა. ამ საქმეში თავისი წვლილი სანდრომ მსაჯის მიერ დამატებულ დროში (90+3) შეიტანა – მისი შორეული დარტყმა ძალიან ლამაზი გამოდგა.

"არსენალის" ბელარუსმა მთავარმა მწვრთნელმა **ლეონიდ კუჩუკმა** მატჩის შემდეგ განაცხადა: *"ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავდა, კობახიძე კი სანაკრებო შეხვედრიდან ახალი დაბრუნებული იყო და შეცვლაზე (76-ე წუთზე) ამიტომ შემოვიყვანე. ის მოედანზე გავიდა და თავისი საქმე გააკეთა".*

მატჩის შემდეგ კობახიძეს ინტერვიუ უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" ჩამოართვა.

*"ჩვენ თავს კარგად ვიცავდით და ურიგოდ არ ვუტევდით. ყოჩაღ ბიჭებს, რომლებმაც კარის მშრალად შენახვა მოახერხეს. იმიტომ მოვიგეთ, რომ მომენტების გამოყენება შევძელით. ყველაფერი რა კარგად გამოვიდა? ჩვენც კმაყოფილები დავრჩით და ეს ნაგება "შახტარსაც"' გამოაფხიზლებს. დონეცკელები მოედანს ხასიათწამხდრები ტოვებდნენ. მათ მალე ჩემპიონთა ლიგაში დანიურ კლუბთან მნიშვნელოვანი შეხვედრა ელით, სადაც წარმატებას ვუსურვებ და ვუგულშემატკივრებ. სხვათა შორის, გაზრდილ პრემიას მივიღებთ თუ არა, ამაზე არაფერი ვიცი. ამ შემთხვევაში ფული მეორეხარისხოვანია. პირველად კი გამარჯვება საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, "დნიპროს" ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ მომილოცა"* – ამბობს კობახიძე.

16 ტურის შემდეგ, სანდრო კობახიძეს 2 გოლი და 2 საგოლე გადაცემა დაუგროვდა.

კვლავ გაგვახარა **ლევან ყენიამ**: ლვოვის "კარპატის" შემტევმა ნახევარმცველმა ბოლო 4 მატჩში უკვე 3 გოლი გაიტანა. ლევანი ლუცკის „ვოლინთან“ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, რამდენჯერმე თანაგუნდელები მეკარესთან პირისპირ დატოვა, 65-ე წუთზე კი ახლო მანძილიდან დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:0.



სანდრო კობახიძე შახტარის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

წინა ტურში ხარკოვის "მეტალისტთან" ლვოველთა ბოსნიელი ლეგიონერი **სემირ შტილიჩი** მთავარმა არბიტრმა შეურაცხყოფისთვის გააძევა და მან ლუცკელებთან შეხვედრა გამოტოვა. ის პლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშობდა. "კარპატის" მთავარი მწვრთნელი **ნიკალაი კოსტოვი** იძულებული გახდა, ყენია მარცხენა ფლანგიდან ცენტრში შეეწია და არც უნანია.

*"ყველას აინტერესებდა, როგორ ითამაშებდა "კარპატი" სამი მატჩით დისკვალიფიცირებული შტილიჩის გარეშე – ის გუნდის მთავარი შემოქმედია და სწორედ ბოსნიელს უკავშირდებოდა ბოლო შეხვედრებში ლვოველთა თამაშის ხარისხის გაუმჯობესება. როგორც აღმოჩნდა, შტილიჩს ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა. მოედნის ცენტრში მისი ადგილი ლევან ყენიამ დაიკავა, რომელმაც როლს თავი მშვენივრად გაართვა.*

*ყენია მეორე ტაიმში გუნდს ნამდვილ ლიდერად მოევლინა. ის თანაგუნდელებს არა მხოლოდ ზუსტი გადაცემებით ამარაგებდა, არამედ, მოედნის ცენტრში წამოიწყო კომბინაციური ფეხბურთი, როდესაც გუნდი ბურთს კარგავდა, აქტიურად ცდილობდა მოწინააღმდეგეთა პრესინგს. ქართველმა ამ შეხვედრაში გასაოცარი შრომისუნარიანობა აჩვენა. ამიტომ ლოგიკურიც იყო, მეორე გოლი სწორედ ყენიამ რომ გაიტანა"* – წერს "უა-ფუტბოლი".

*"ყენიამ გვაიძულა, თავისი აქტიურობითა და შემოქმედებითი თამაშით მთლიანად დაგვევიწყებინა შტილიჩის დანაკლისი. შეუძლებელია, არ დაეთანხმო კოსტოვს, რომ "კარპატი" მატჩიდან მატჩამდე უმატებს"* – ეს უკვე "ფოოტბალ.უას" შეფასებაა.

რაღა თქმა უნდა, ყენიას ასეთი პროგრესი მეტად პოზიტიურია.

**მერაბ მამულაშვილი**

მსაჯთა საფიხვნო



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე მსაჯი საქართველოს ჩემპიონატშიც გამოჩნდება

# დინამო–დილა ექვსი მსაჯით!

უკვე საკმაო ხანია, რაც რამდენიმე ტურნირზე, მათ შორის ჩემპიონთა ლიგაშიც დამატებითი მსაჯები მუშაობენ. ისინი კარს უკან დგანან და მათი მთავარი ფუნქცია იმის დაფიქსირებაა, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ამას გარდა, მათ მატჩის არბიტრისთვის საკუთარ სამოქმედო ზონაში მომხდარი საკამათო ეპიზოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევალებათ.

ექვსკაციანი მსაჯთა ბრიგადები ჩემპიონთა ლიგის გარდა, ემსახურებიან იტალიის, ბოსნიის, სლოვაკეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ლიგებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 14-15 ნოემბერს ნიონში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ეროვნული ფედერაციების სამსაჯო განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელსაც სფფ-ის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელი **ლევან ფანიაშვილიც** დაესწრო.

მთავარი პრეზენტაცია გააკეთა **პიერლუიჯი კოლინამ**, რომელიც ამჟამად უეფას მთავარი სამსაჯო ოფიცერია. უეფას სურს, დამატებითი მსაჯების დანიშვნის არეალი რაც შეიძლება სწრაფად გაფართოვდეს და ქართული მხარე მზადაა, საქართველოში ამ პროცესს ხელი შეუწყოს. ქართველი მსაჯებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარება კი უკვე დაწყებულია. ისინი შესაბამისი აღჭურვილობითაც იქნებიან უზრუნველყოფილნი.

ჩვენს ქვეყანაში პირველ ექვსმსაჯიან მატჩს კი ძალიან მალე, 24 ნოემბერს ვიხილავთ, როცა უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში თბილისის "დინამო" გორის "დილას" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# აზერბაიჯანში ქართველები ლიდერობენ

გუშინ გაცნობეთ, რომ გასულ უქმეებზე რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა გოლი და მათ შორის **ბაჩანა ცხადაძეცაა**. მისმა "ინტერმა" აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში "თურანს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა, ქართველმა თავდამსხმელმა კი თავი 55-ე წუთზე გამოიჩინა და ანგარიში 2:0 გახადა.

"ინტერის" შემადგენლობაში **გიორგი ლომაიამ** და **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშეს, ცხადაძე ძირითადში იყო და 83-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **რევაზ თევდორაძე** და **ვალერი აბრამიძე** სათადარიგოები იყვნენ. ორმა ქართველმა ითამაშა "თურანის" რიგებში – **ირაკლი ბერაია** და **ნუგზარ კვირტია** მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩდნენ.

**კახა ცხადაძის** "ინტერი" პრემიერლიგას 23 ქულით ლიდერობს, ბაქოელებს კი 20 ქულით ზაქათალის "სიმურგი" მოსდევს, რომელსაც გიორგი ჩიხრაძე წვრთნის. "სიმურგმა" გასულ ტურში "ყარაბახთან" 1:2 წააგო.

"იმის მიუხედავად, რომ დისკვალიფიკაციის გამო ოთხი ფეხბურთელი, მათშორის, სამი მცველი გვაკლდა, მაინც უაზროდ დავმარცხდით. ბევრი უხეში შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ არ გვაპატია", - განაცხადა ნამატჩევს ჩიხრაძემ.

**გიორგი ფოფხაძის** "ბაქიმ" შინ ლენქორანის "ხაზარს" 2:1 სძლია. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

**ალექსანდრე ამისულაშვილი** "კრასნოდარის" სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა, **ნუკრი რევიშვილი** კი, სამწუხაროდ, არათუ რეზერვში, არამედ განაცხადშიც არ გამოჩენილა. "კრასნოდარმა" რუსეთის პრემიერლიგის საშინაო შეხვედრაში 3:0 გაანადგურა გროზნოს "ტერეკი", საქართველოს ნაკრების მცველმა კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბაჩანა ცხადაძემ ანგარიში 2:0 გახადა

ინფრასტრუქტურა

# ვაკეში 5–ათასიანი სათადარიგო მოედანი შენდება

**"ლელო" წერდა, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენა გადაწყვეტილი ამბავია, რაზეც უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა ტრადიციულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.**

ყველასათვის მოულოდნელი იყო, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ორგანიზატორებს წინააღმდეგობა რომ არ გაუწია. არადა, ზაფხულში, როდესაც ლიგის აღდგენა გადაწყვეტილი გვეგონა, ბევრმა სწორედ **ზვიად სიჭინავას** მიაწერა ჩანაფიქრის ჩაშლა.

ამ დროს, სიჭინავამ "ლელოსთან" ეს ხმები უარყო, რაც მარტვილის "მერანის" პრეზიდენტმა **ფრიდონ ინჯიამაც** დაადასტურა და მომხდარის რეალური მიზეზი უკვე დაასახელა. სიჭინავას კი პროფლიგის აღდგენის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მეტიც, კლუბების ინიციატივა მოიწონა, რადგან ფედერაციას მასშტაბურ საფეხბურთო პროექტებზე გადართვის საშუალება გაგვიჩნდებაო.

როგორც შევიტყვეთ, სიჭინავა წლის ბოლომდე ორი სტადიონის მშენებლობის დასრულებას იმედოვნებს: ერთი მათგანი "მიხეილ მესხზე" სათადარიგო მოედნის დაგება და 5-ათასიანი ტრიბუნების მოწყობა იქნება. მშენებლობის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება. ტრიბუნები კი მოედანს სამი მხრიდან დაფარავს.

ეს სტადიონი ეროვნული ჩემპიონატის იმ კლუბებს მოემსახურება, რომელთაც სტადიონის პრობლემა ჰქონდათ და აქამდე ამ მიზნით ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე", ან სხვა სტადიონს ქირაობდნენ – მაგალითად, "გაგრას", ცხინვალის "სპარტაკს" და ა.შ.

ამასობაში, "მიხეილ მესხზე" ტრიბუნების ქვეშ მდებარე უქმად დარჩენილი საკმაოდ დიდი ტერიტორია აითვისეს და იქ უკვე ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე განყოფილება განთავსდა. მალე კი "მიხეილ მესხის" ტრიბუნებსა და სათადარიგო სტადიონს შორის ახალი შენობა ჩაიდგება, სადაც განთავსდება ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა ოფისები, საპატიო სტუმართა ვიპლოჟა, 228-ადგილიანი პრეს-ლოჟა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XV ტურის მიმოხილვა



კოლხეთი-დინამო 0:2 ფოტო: www.fcdinamo.ge

# წინ საშემოდგომო ფინალია

**"დინამომ" ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა, "დილა" ზედიზედ მეთერთმეტე გამარჯვებით ლიდერს კვალში უდგას, ტურის ცენტრალური მატჩი "ტორპედომ" მოიგო, პირველი ეტაპის დასრულებამდე მთელი შვიდი ტურით ადრე კი ზეექვსეულის კონტურები კიდევ უფრო გამოიკვეთა – აი, ეს იყო გასული ტურის უმთავრესი მოვლენები.**

## ბოლო იმედის მარცხი

ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ ქუთაისურ შეხვედრაში ორივე გუნდს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა – "ტორპედოს" ბოლო დროს დაკარგული პოზიციების მეტნაკლებად გასაუმჯობესებლად, "მეტალურგს" კი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსის შესანარჩუნებლად.

შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი ტელეეთერით ვიხილეთ და საკმაოდ საინტერესო ბრძოლის მხილველნი გავხდით. შეტევაში მცდელობა არც მასპინძლებს დაუკლიათ და არც სტუმრებს, მაგრამ "თამაშიდან" ვერავინ გაიტანა და მატჩის ბედი თერთმეტმეტრიანმა გადაწყვიტა. **გიორგი კუხიანიძის** მიერ **პანენკას** სტილში შესრულებული პენალტით "ტორპედომ" იმარჯვა და მესამე საფეხურზე აინაცვლა.

ამ მარცხის შემდეგ რუსთაველებს ზეექვსეულში სასწაული თუ შეიყვანთ, "ტორპედო" კი მართალია, ლიდერებს უკვე სოლიდურად ჩამორჩება, მაგრამ მაინც განაგრძობს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას.

მთლიანობაში, ტურის ცენტრალური მატჩი ერთადერთი გოლის მიუხედავად, არცთუ ურიგო სანახავი გამოდგა.

## დარასელიას წრე

**გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით "დილამ" ზედიზედ მეთერთმეტე შეხვედრა მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ გორელებმა ერთმანეთის მიყოლებით ყველა უმაღლესლიგელი დაამარცხეს და ვირტუალური წრეც შეკრეს. კომენტარი ზედმეტია – ეს, უბრალოდ, ბრწყინვალე შედეგია!

ამ საოცარი სერიის წყალობით საქართველოს თასის მფლობელი ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად იქცა და პირველი ეტაპის დარჩენილი მატჩები კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის შიდაქართლელთა რეალურ ძალასა და საჩემპიონო შესაძლებლობებზე. ძალიან საინტერესოა, სადამდე გასტანს "დილას" გამარჯვებათა სერია.

"ზუგდიდის" წინააღმდეგობის დაძლევა კი დარასელიას გუნდს ოდნავადაც არ გასჭირვებია. წამყვანი ფორვარდების, **ირაკლი ქობალიასა** და **გიორგი გაბედავას** არყოფნაში (ორივე დისკვალიფიცირებული იყო) სტუმრებმა წინა ხაზზე ღირებული ბევრი ვერაფერი შექმნეს, გორელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ შესვენებაზე მეტოქეები ნულოვანი შედეგით გავიდნენ. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ფავორიტმა საკუთარი უპირატესობა გოლებში ასახა და "დილამ" სამბურთიანი უპირატესობით გაიმარჯვა. მოედანი უგოლოდ დატოვა, მაგრამ ეფექტური იყო გორელთა ბრაზილიელი ახალწვეული **ლეონარდო, "დილას"** მცველმა **გიორგი ონიანმა** კი მეტოქის კარი ზედიზედ მეორე შეხვედრაში დალაშქრა.

"ზუგდიდი" მეხუთე ადგილამდე დაეშვა, მაგრამ ეს მისთვის ტრაგედია არ არის – პროგრამა-მინიმუმის შესრულებასთან, ანუ საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებასთან ხომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ძალიან ახლოსაა.

## კვლავ ესპანელთა გოლებით

ამ სეზონში "დინამომ" ესპანელი ლეგიონერების მიერ გატანილი ბურთებით არაერთი მატჩი მოიგო და გასულ ტურში საქმე კვლავ ამგვარ შემთხვევასთან გვქონდა. ფოთში თავი **მიკელ ალვარომ** და **ჩისკომ** გამოიჩინეს და ბომბარდირთა დავის ლიდერს, თანაგუნდელ **ჯაბა დვალს** კვალში უდგანან. "დილას" მსგავსად, დედაქალაქელებმაც მეორე ტაიმში გატანილი გოლებით მოიგეს, მაგრამ არც მათ გამარჯვებას დამუქრებია რაიმე საფრთხე.

"კოლხეთზე" კი რა უნდა ვთქვათ – ფოთელები ჯერაც მოუგებელნი არიან და უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდათ, ჩემპიონატის შარშანდელი აბსურდული სისტემა რომ იყოს ძალაში. შეგახსენებთ, წინა სეზონში აუტსაიდერებმა მეორე ეტაპი განულებული ქულებით დაიწყეს.

## დაკარგული ქულები და კომბულეთური დისკომფორტი

ბათუმის "დინამოსა" და "ზესტაფონის" მატჩის წინ მომხდარი ამბები "ლელოს" გუშინდელ ნომერში გიამბეთ და ახლა ვრცლად აღარ განვმეორდებით, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ფეროელებს შეხვედრის საორგანიზაციო მხარეზე აქვთ პრეტენზიები და ამ საკითხის შესაბამის ორგანოში დაყენებასაც აპირებენ.

თვითონ მატჩს რაც შეეხება, "ჩელე არენაზე" ტურის ყველაზე უხვგოლიანი და თვალსასეირო დაპირისპირება გაიმართა, სადაც ბათუმელებმა საქართველოს მოქმედ ჩემპიონს ქულა მსაჯის მიერ დამატებულ დროში აართვეს.

აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ "დინამოს" ფორვარდი **ირაკლი ცნობილაძე**, რომელმაც შეცვლაზე შესულმა შეძლო დუბლის შესრულება. თავი გამოიჩინეს ასევე "ზესტაფონის" ახალგაზრდა შუახაზელმა **ბერდია შარვაძემ** და მოედანზე ახლად დაბრუნებულმა **ალექსი ბენაშვილმა**. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბათუმელთა უბერებელი ნახევარმცველი, 38 წლის ამირან მუჯირის ჩინებული თამაში.

ბათუმელთათვის ეს ქულაც გარკვეული შეღავათია. "ზესტაფონისთვის" კი, რა თქმა უნდა, ამ შედეგს დანაკარგი უფრო ეთქმის, მაგრამ რაკი იმერელთა მდევარმა "მეტალურგმა" წააგო, **დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდისთვის გასულ ტურს მთლად უშედეგოდაც არ ჩაუვლია.

შაბათს გამართული მატჩებიდან კი გასახსენებელი ბევრი არაფერია. "ჩიხურამ" "მერანთან" დაგეგმილი სამი ქულა საკმაოდ მძიმე ბრძოლაში მოიპოვა, "მცხეთა პარკზე" ჩატარებული შეხვედრა კი არცთუ უინტერესო გამოდგა, თუმცა "ვიტ ჯორჯია" და "სიონი" მაინც უგოლოდ გაიყარნენ.

## საშემოდგომო ფინალის მოლოდინში

მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო კი 24 ნოემბერს ელის, როცა "დინამო არენაზე" პირველი ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება, რომელიც დიდი ალბათობით, "შემოდგომის ჩემპიონს" გამოავლენს. ერთმანეთის წინაშე "დინამო" და "დილა" წარსდგებიან!

რა თქმა უნდა, შაბათამდე ამ განსაკუთრებულ შეხვედრაზე კიდევ ბევრჯერ ვისაუბრებთ, ახლა კი მხოლოდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ეროვნულ სტადიონზე იმაზე ბევრად მეტი ქომაგი მივა, რამდენიც საქართველოს ჩემპიონატისთვის არის დამახასიათებელი. წესით, ეს თამაში სეზონის ერთ-ერთი მშვენება უნდა გამოდგეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## XV ტურის სიმბოლური ნაკრები






დილა-ზუგდიდი 3:0 ფოტო: www.fcdinamo.ge

### პირველი ლიგა

**A ჯგუფი. XIV ტური**

| | |
|---|---|
| სულორი – გურია | 1:6 |
| გაგრა – სასკო | 0:2 |
| სტუ – ბეთლემი | 3:1 |
| მეშახტე – სქური | 0:0 |
| რაჭა – იმერეთი | 0:2 |
| ჭიათურა – დინამო-2 | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 14 | 11 | 2 | 1 | 39-11 | 35 |
| 2. სასკო | 14 | 11 | 0 | 3 | 45-16 | 33 |
| 3. გაგრა | 14 | 9 | 1 | 4 | 26-11 | 28 |
| 4. დინამო-2 | 13 | 8 | 3 | 2 | 51-20 | 27 |
| 5. სტუ | 14 | 7 | 0 | 7 | 32-37 | 21 |
| 6. იმერეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-18 | 20 |
| 7. ბეთლემი | 14 | 6 | 1 | 7 | 19-29 | 19 |
| 8. სქური | 14 | 4 | 5 | 5 | 14-20 | 17 |
| 9. ჭიათურა | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 10. მეშახტე | 14 | 3 | 3 | 8 | 13-40 | 12 |
| 11. სულორი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-37 | 7 |
| 12. რაჭა | 14 | 1 | 2 | 11 | 14-32 | 5 |

### II ლიგა

**აღმოსავლეთის ზონა. XII ტური**

| | |
|---|---|
| იბერია – ალგეთი-XXI | 0:2 |
| ქართლი-2011 – ივერია | 4:0 |
| სპარტაკი-2 – იუსი ბესტი | 2:1 |
| ლიახვი-2 – გაგრა-2 | 1:2 |
| ლაგოდეხი – დუშეთი | 0:2 |
| აბული – სასკო-2 | 0:1 |
| ფარავანი – საქ. უნივერსიტეტი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი 2011 | 12 | 11 | 1 | 0 | 43-4 | 34 |
| 2. ივერია | 12 | 9 | 0 | 3 | 41-25 | 27 |
| 3. იუსი ბესტი | 12 | 8 | 2 | 2 | 47-15 | 26 |
| 4. სპარტაკი-2 | 12 | 8 | 1 | 3 | 37-19 | 25 |
| 5. საქ. უნივერსიტ. | 10 | 7 | 0 | 3 | 27-13 | 21 |
| 6. დუშეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 30-17 | 19 |
| 7. გაგრა-2 | 11 | 4 | 1 | 6 | 29-29 | 13 |
| 8. ლაგოდეხი | 11 | 4 | 1 | 6 | 20-34 | 13 |
| 9. აბული | 11 | 2 | 5 | 4 | 15-24 | 11 |
| 10. ლიახვი-2 | 8 | 3 | 1 | 4 | 8-12 | 10 |
| 11. ალგეთი-XXI | 11 | 3 | 0 | 8 | 14-27 | 9 |
| 12. იბერია | 11 | 2 | 1 | 8 | 20-40 | 7 |
| 13. ფარავანი | 11 | 2 | 0 | 9 | 10-34 | 6 |
| 14. სასკო-2 | 10 | 0 | 0 | 10 | 12-60 | 0 |

### დასავლეთის ზონა

**XII ტური**

| | |
|---|---|
| საირმე – შუქურა-2 | 0:2 |
| ტორპედო-2011 – ლაზიკა | 0:4 |
| საპოვნელა – კოლხეთი-2 (ხ) | 2:0 |
| მაჭახელა – სამეგრელო | 11:0 |
| მარგვეთი-2006 – ენგური | 3:1 |
| ეგრისი – გურია-2 | 0:3 |
| ბახმარო | ისვენებს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 11 | 10 | 0 | 1 | 35-7 | 30 |
| 2. მაჭახელა | 11 | 8 | 2 | 1 | 36-5 | 26 |
| 3. საპოვნელა | 11 | 8 | 2 | 1 | 32-8 | 26 |
| 4. ბახმარო | 11 | 6 | 3 | 2 | 26-18 | 21 |
| 5. მარგვეთი | 11 | 6 | 0 | 5 | 24-21 | 18 |
| 6. საირმე | 12 | 6 | 0 | 6 | 17-17 | 18 |
| 7. გურია-2 | 11 | 5 | 0 | 6 | 16-17 | 15 |
| 8. ენგური | 11 | 4 | 1 | 6 | 19-20 | 13 |
| 9. შუქურა-2 | 11 | 3 | 1 | 7 | 12-25 | 10 |
| 10. სამეგრელო | 10 | 2 | 3 | 5 | 11-35 | 9 |
| 11. ტორპედო | 11 | 2 | 1 | 8 | 11-39 | 7 |
| 12. კოლხეთი-2 | 10 | 1 | 3 | 6 | 11-17 | 6 |
| 13. ეგრისი | 11 | 1 | 2 | 8 | 11-32 | 5 |

### დუბლების ჩემპიონატი

**XV ტური**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია – სიონი | 4:2 |
| ჩიხურა – მერანი | 2:0 |
| ტორპედო – მეტალურგი | 3:1 |
| დილა – ზუგდიდი | 2:3 |
| დინამო (ბთ) – ზესტაფონი | 3:5 |
| კოლხეთი – დინამო (თბ) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 15 | 11 | 1 | 3 | 41-16 | 34 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 39-15 | 33 |
| 3. ზუგდიდი | 15 | 9 | 4 | 2 | 27-13 | 31 |
| 4. ზესტაფონი | 15 | 8 | 5 | 2 | 43-26 | 29 |
| 5. ტორპედო | 15 | 7 | 4 | 4 | 24-16 | 25 |
| 6. მეტალურგი | 15 | 6 | 4 | 5 | 29-30 | 22 |
| 7. ჩიხურა | 15 | 5 | 3 | 7 | 16-20 | 18 |
| 8. კოლხეთი | 15 | 5 | 2 | 8 | 16-30 | 17 |
| 9. დილა | 15 | 4 | 3 | 8 | 14-21 | 15 |
| 10. დინამო (ბთ) | 15 | 4 | 2 | 9 | 20-29 | 14 |
| 11. მერანი | 15 | 2 | 2 | 11 | 6-35 | 8 |
| 12. სიონი | 15 | 0 | 5 | 10 | 14-38 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები



# უზბეკეთში ტყუილად არ ჩამოვსულვარ

### კახა მახარაძე: დარწმუნებული ვარ, საჩემპიონო შანსს ხელიდან არ გავუშვებ

ხვალ. 21 ნოემბერს უზბეკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურია. ეს ამბავი ჩვენთვის იმად არის საინტერესო, რომ იქაურ ჩემპიონატს ტაშკენტის „ფახთაქორი" ლიდერობს, სადაც **კახა მახარაძე** თამაშობს. „ფახთაქორის" დანევა მხოლოდ ტაშკენტის „ბუნიოდკორს" შეუძლია, რომელიც ჩვენებურის გუნდს ორი ქულით ჩამორჩება.

კახა **მალხაზ მახარაძის** შვილია. უფროსი მახარაძე ჩინებული ფეხბურთელი იყო, 80-იან წლებში თბილისის „დინამოშიც" კი უთამაშია, კარიერის ბოლოს კი ბათუმის „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ ეროვნულ ჩემპიონატში.

უმცროსი მახარაძე მამას ნიჭით ალბათ არ ჩამორჩება. ისიც ბათუმიდან მოხვდა თბილისის „დინამოში", თითქოს ყველაფერი კარგად მისდიოდა, მაგრამ... ნიჭი თვალსა და ხელს შუა გაიფლანგა, უზბეკეთში წასვლამდე კახამ ერთხელაც გამოიჩინა თავი კარგი თამაშით, თუმცა უკვე როგორც თბილისის '„ლოკომოტივის" ფეხბურთელმა.

ვერ ვიტყვი, რომ „ფახთაქორი" მაგარი გუნდია, თუმცა ნორმალურად ვთამაშობთ, ახალგაზრდული გუნდი გვეთქმის - გვითხრა მახარაძემ, როცა მას გუშინ უზბეკეთში დავუკავშირდით.

მახარაძეს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში, "ფახთაქორში" კი საყრდენი ნახევარმცველია.

ვცდილობთ, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ, ბურთი წინ გადავაგდოთ გრძელი გადაცემით და ვიბრძოლოთ - ეს ჩვენთვის უცხოა, უფრო ბურთის დაჭერას და გაგორებას ვეშურებით.

იყო დრო, უზბეკეთში ფეხბურთის ბუმი რომ ატყდა. 2008 წელს „ბუნიოდკორმა" თავისთან არც მეტი, არც ნაკლები, სახელგანთქმული **რივალდო** მიიყვანა, მწვრთნელად კი ასევე ლეგენდარული ბრაზილიელი **ზიკო** დანიშნა. რივალდომ უზბეკეთში ოთხი წელი ითამაშა და ცხადია, დიდ ჰონორარსაც მიიღებდა. ისე, როვალდო ახლა 40 წლისაა და ხეტიალი კვლავაც არ ეზარება, ანგოლის ერთ-ერთ გუნდში თამაშობს.

უზბეკეთში ფეხბურთისადმი ინტერესი არ განელებულა, უბრალოდ საფეხბურთო პოლიტიკა შეიცვალა. იმ მილიონებს, რასაც ადრე რივალდოსთვის ხარჯავდნენ, ახლა ბავშვთა ფეხბურთში აბანდებენ და შედეგიც სახეზეა: უზბეკეთის 16 და 19-წლამდელთა ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ, ხოლო ეროვნულ გუნდს კარგი შანსი აქვს, რომ 2014 წელს ბრაზილიაში გასამართ მუნდიალზე ითამაშოს. „ბუნიოდორი" კი ახლაც ყველაზე მდიდარ საფეხბურთო კლუბად მიიჩნევა უზბეკეთში - განმარტავს მახარაძე.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა მიღწევები აქვს თვითონ მახარაძეს უზბეკეთში? ეს ისეთი ფეხბურთელია, ტექნიკის და კლასის ხარჯზე რომ ირჯება, ის ახლა საქართველოს რომელიმე მოწინავე გუნდში რომ იყოს, ალბათ ნაკრების მწვრთნელებსაც დააფიქრებდა. მახსოვს მისი ბოლო მატჩები „ლოკომოტივში", ფეხბურთის ასე თამაში ბევრს არ შეუძლია...

სამი წელია, რაც უზბეკეთში ვარ, შარშან თასი მოვიგეთ, წლეულს კი ჩემპიონობას ვაპირებთ და თასის ნახევარფინალშიც ვართ გასულები, ასე რომ, ტყუილად არ ჩამოვსულვარ უზბეკეთში. ჩემპიონობამდე ერთი ტური გვაშორებს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ შანსი ხელიდან არ გავუშვებთ - ამბობს 25 წლის მახარაძე.

ფეხბურთელისთვის ჯამაგირი ვინძლო ყველაზე მნიშვნელოვანია და თქმა რად უნდა, რომ საქართველოდან უზბეკეთშიც ამისთვის წასულა ყველა ქართველი ფეხბურთელი. მახარაძემ გვითხრა, რომ უზბეკეთში უფრო დიდი ხელფასია, ვიდრე ქართულ კლუბებში, თუმცა განსხვავება ძალიან დიდი არ არისო.

მახარაძეს კონტრაქტი მალევე უმთავრდება „ფახთაქორში" და მის გაგრძელებას აპირებს. უზბეკეთი აზიაა და იქიდან ძალიან ძნელია ბევრად უკეთეს გუნდში მოხვედრა. მახარაძეს ვკითხეთ, ხომ არ არის იმის შესაძლებლობა, უზბეკეთიდან ყაზახეთში გადახვიდე, რადგან ეს უკვე უეფას ზონის ქვეყანაა და გვითხრა, რეალური შემოთავაზებები ჯერ არ მაქვსო.

ყველაზე უფრო რაზე გწყდება გული შენს კარიერაში? ამ კითხვას მახარაძემ ასე უპასუხა:

შემეძლო უკეთეს გუნდში მეთამაშა. რატომ ვერ მოვახერხე ეს? იმიტომ, რომ არ დავაფასე ის დრო, როცა ამის უკეთესი შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა არც ახლაა გვიან...

**დავით თავართქილაძე**

# ალავერდაშვილი რუმინეთში გადავიდა

**გიორგი ალავერდაშვილი** ლიტვის ჩემპიონატის მე-6-ადგილოსან "ბანგადან" გაცილებით მაღალი დონის რუმინულ კლუბში, ტირგუ-ჟიუს "პანდურიში" გადავიდა.



გიორგი ალავერდაშვილი

24 წლის ქართველმა თავდამსხმელმა რუმინული კლუბის ყურადღება ლიტვაში ნაჩვენები შთამბეჭდავი სტატისტიკური მაჩვენებლით მიიქცია: ალავერდაშვილმა "ბანგაში" ჩატარებულ 15 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა. წარმატებული სეზონის შემდეგ, პოლონეთის, გერმანიის, უკრაინისა, საბერძნეთის კლუბებიც დააინტერესა და რამდენიმე დღის წინ გვითხრა, სიახლეებს ველოდები და ჩემი ტრანსფერი 2 კვირაში გადაწყდებაო.

ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდა. გუშინ გიორგიმ ახალი ამბავი გაგვიმხილა: *"რუმინულ "პანდურისთან" კონტრაქტი დღეს გავაფორმე. იყო სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ჩემი ახალი კლუბი ქვეყნის ჩემპიონატში მე-3 ადგილზე იმყოფება და საკმაოდ ძლიერი გუნდია. შეთანხმებას ხელი ოფციონის წესით (0,6+2) მოვაწერე... არჩევანით ძალიან კმაყოფილი ვარ. ლამის ოთხწლიანი ჩავარდნის შემდეგ ბევრმა ხაზი გადამისვა, მაგრამ ლიტვა მშვენიერ ტრამპლინად გამოვიყენე და მიმაჩნია, რომ საკმაოდ სოლიდურ ლიგაში გადავედი. რუმინული ფეხბურთის დონეზე მეტყველებს ამ ქვეყნის კლუბებისა და ეროვნული ნაკრების წარმომადგენელთა გამოსვლები – კლუბები ლამის ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხვდებიან, ეროვნული ნაკრები კი – ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მაგალითად რომ მოვიყვანო, პოლონეთში თამაშს რუმინეთის ჩემპიონატის სამეულის გუნდში გადასვლა მერჩივნა".*

16 ტურის შემდეგ, ტირგუ-ჟიუს "პანდურიმ" 30 ქულა დააგროვა და მე-3 ადგილზეა, მაგრამ კონკურენტ პლოეშტის "ასტრაზე" (31 ქულა) ერთით ნაკლები შეხვედრა ჩაატარა, ლიდერ "სტიაუას" კი 41 ქულა აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ნაცნობი

### ანდრეს კარასკო:

# საქართველოში სიამოვნებით დავბრუნდები

ამა წლის ივლისში თბილისის "დინამოს" აკადემიის დირექტორმა **ანდრეს კარასკო კარილიომ** პოსტი დატოვა. „დინამოში" კარასკო 2011 წელს **ალექს გარსიასთან** ერთად გამოჩნდა. კარასკოს მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ავარჯიშებდა „ბარსას" 1996-97 და 1999 წლებში დაბადებულ ბავშვებს და „დინამოში" კატალონიურ მოდელს ნერგავდა. მისით მწვრთნელებიც კმაყოფილები იყვნენ და მშობლებიც, რადგან კარასკოს დროს პროტექცია გამოირიცხა.

მას უკავშირდება 13 მაისს „დინამო არენაზე" ჩატარებული მასობრივი შერჩევები, რომელშიც მონაწილეობდა 300-მდე ბავშვი, "დინამოს" ორმოცამდე თანამშრომელი და კლუბის ყველა დეპარტამენტი.

მისი მონაწილეობით გადაწყდა "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის ბაზის მშენებლობა, რომელიც უახლოეს პერიოდში გაიხსნება; გარშემო შეკრიბა ახალგაზრდა, პერსპექტიული და წესიერი მწვრთნელები; ჩამოაყალიბა საქართველოში საუკეთესო ასაკობრივი გუნდები, რომლებიც სხვებისგან განსხვავებული სტილით თამაშობენ.

თუმცა, „დინამოდან" ალექს გარსიას გაშვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება თავად გადაწყვიტა.

*„ოჯახის დაკარგვას მასთან ყოფნა ვამჯობინე. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დარჩენას ვერ ვახერხებ. ვწუხვარ და გული მწყდება"* – ასე ახსნა



ანდრეს კარასკომ გუნდიდან წასვლა.

ამ ამბიდან მალე შევიტყვეთ, რომ სპეციალისტმა "მალაგას" აკადემიაში დაიწყო მუშაობა – კლუბის კორდინატორად და 16-წლამდელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად.

ანდრეს კარასკოს გუშინ დავუკავშირდით, რაც მისთვის მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა: *"საქართველოში მედიას კიდევ ვაინტერესებ? ეს ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზია".*

*"თბილისის "დინამოში" დაბრუნება მსურდა, მაგრამ კლუბში ვითარება შეიცვალა და ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იყო პრობლემები, რის გამოც სამშობლოში დაბრუნება მომიხდა, რომ არა ეს ამბავი, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. მაგრამ "დინამოს" აკადემიაზე ძალიან კარგი ამბები მესმის და ეს ძალიან მახარებს. იქ მართლაც ნიჭიერი ბავშვები შევკრიბეთ, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ"* – გვითხრა ესპანელმა სპეციალისტმა.

როგორც გვითხრა, სრულიად რეალურია, საქართველოში კვლავ ჩამოვიდეს: *"უახლოეს დღეებში ველოდები "საბურთალოს" პრეზიდენტს (ტარიელ ხეჩიკაშვილი) და გენერალურ დირექტორს (კახა ჭუმბურიძე). მათმა დაინტერესებამ ძალიან გამახარა და თუ საინტერესო წინადადებით მომმართავენ, სიამოვნებით ჩამოვალ და ვიმუშავებ. იმიტომ, რომ საქართველოში აღმოვაჩინე ძალიან ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი და ძალიან გულისხმიერი, თბილი ადამიანები და თქვენი ქვეყანა შემიყვარდა. ასეთ გარემოში მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისთვის სასურველია. და თუ "საბურთალო" საინტერესო წინადადებით მომმართავს, სიამოვნებით დავბრუნდები და ოჯახთან ერთად ჩამოვალ. დარწმუნებული ვარ, "საბურთალოში" უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებ და უფრო მეტსაც შევძლებ, ვიდრე "დინამოში". ჩვენს შეხვედრაზე ბევრი რამ გაირკვევა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# კიდევ ერთი ქართველი მოლდოვაში



ბალტის "ოლიმპიას" ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კლუბში ძირითად შემადგენლობაში ჩვენთვის უცნობი ქართველი ფეხბურთელი **ბექა ქართველიშვილი** ჩაირიცხა - ბექა 20 წლისაა, ამპლუით ნახევარმცველია, სიმაღლე 176 სმ, წონა 71 კგ.

მოლდოვური კლუბის ცნობით, ქართველიშვილი თბილისის "დინამოს" აკადემიის აღზრდილია, თამაშობდა "გაგრასა" და რუსთავის "ოლიმპში". როგორც გვითხრეს - ორივეგან დუბლშემადგენლობაში.

როგორც შევიტყვეთ, ბექამ ბალტის "ოლიმპიასთან" კონტრაქტი ჯერ კიდევ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გააფორმა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ახლახან გადაიყვანეს. პირველად განაცხადში 10 ნოემბერს "კოსტელენთან" შეხვედრისას გამოჩნდა, მაგრამ არ უთამაშია.

16 ტურის შემდეგ, "ოლიმპიამ" 24 ქულა დააგროვა და 12-გუნდიან ჩემპიონატში მე-6 ადგილზეა.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა



# ჯელაძე დისკვალიფიკაციას სრულად მოიხდის

12 ნოემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო სამსახურმა "გაგრას" ფეხბურთელი **ლაშა კალანდაძე** 6-მატჩიანი, ხოლო მთავარი მწვრთნელი **ზვიად ჯელაძე** ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

*"არ გამოვრიცხავდით, რომ ზვიად ჯელაძის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება გაგვესაჩივრებინა, ვინაიდან ვიცოდით და ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ მას მეტოქე გუნდის ფეხბურთელებისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მაგრამ სფფ-ს სადისციპლინო კოდექსი ამის საშუალებას არ გვაძლევს, რადგან 82-ე მუხლის მიხედვით, არის გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეიძლება გასაჩივრდეს. სააპელაციო კომიტეტში საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილი სანქცია არის: 1- დისკვალიფიკაცია 4 მატჩზე ნაკლები ოდენობით ან 1 თვემდე, და 2 - კლუბისათვის 4 000 ლარამდე ჯარიმა, ფიზიკური პირისთვის 2 000 ლარამდე ჯარიმა. შესაბამისად, ზვიად ჯელაძე ვერც მომავალ ტურში შეძლებს გუნდის სათადარიგოთა სკამიდან ხელმძღვანელობას"*- წერია "გაგრას" ხელმძღვანელობის განცხადებაში

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სამშაბათის მატჩების წინ

# ბუფონი: უნდა მოვიგოთ, ბასტა!

## დღეს საფეხბურთო ევროპის ყურადღების ცენტრში - ტურინია



ჯანლუიჯი ბუფონი თანაგუნდელებისგან მაქსიმალურ მონდომებას და სამ ქულას ითხოვს

**დღევანდელი** მატჩებიდან ყურადღების ცენტრში უდავოდ „იუვენტუსისა" და „ჩელსის" დაპირისპირებაა, რადგან მათ ქვეჯგუფს დონეცკის „შახტარი" ლიდერობს, „იუვეს" ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსის შენარჩუნებისთვის მხოლოდ მოგება უნდა, „ჩელსისთვის" კი ნაგებაა აკრძალული. საინტერესო იქნება „ვალენსიას" და „ბაიერნის" დუელიც, ასევე - „ბენფიკასა" და „სელტიკის" გადამწყვეტი ჯახი. „გალათასარაის" გაუმართლა - „მანჩესტერ იუნაიტედი" სტამბულში მეორე შემადგენლობით ითამაშებს...

### E ჯგუფი

**იუვენტუსი–ჩელსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, მარკიზიო, პირლო, ვიდალი, ისლა - კვალიარელა, ჯოვინკო.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ბერტრანი, კეჰილი, ივანოვიჩი, ე. კოული - ობი მკელი, რამირესი - მატა, ოსკარი, აზარი - ტორესი.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

**ნორდსიელანდი–შახტარი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნორდსიელანდი (4-2-3-1):** ჰანსენი - პარკჰურსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა - ადუ, სტოკჰოლმი - ლორენტზენი, ლაუდრუპი, იონი - ბეკმანი.

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რაცი - ჰიუბშმანი, ფერნანდინიო - ალექს ტეიშეირა, მხითარიანი, ვილიანი - ლუის ადრიანო.

**არბიტრი:** ანტონი გაუტიერი (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 2. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 3. იუვენტუსი | 4 | 1 | 3 | 0 | 8-4 | 6 |
| 4. ნორდსიელანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-11 | 1 |

### F ჯგუფი

**ვალენსია–ბაიერნი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, ვიქტორ რუისი, სისოკო - გაგო, ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი, გუარდადო - სოლდადო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - პისარო.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**ბატე–ლილი 21:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბატე (4-4-2):** გორბუნოვი - რადკოვი, პოლიაკოვი, იურევიჩი, შიმიჩი - სივაკოვი, ბაგა, ვოლოდკო, ოლეხნოვიჩი - როდიონოვი, მოზოლევსკი.

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებუში, ბასა, შედიუ, ბონარი - ბალმონტი, მავუბა, პედრეტი - კალუ, რუ, პაიე.

**არბიტრი:** მარიო სტრაჰონია (ხორვატია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 2. ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 3. ბატე | 4 | 2 | 0 | 2 | 8-9 | 6 |
| 4. ლილი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

### G ჯგუფი

**სპარტაკი–ბარსელონა 21:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სპარტაკი (4-2-3-1):** ჩერნიშუკი - მაკეევი, ბრიზგალოვი, სუხი, კომბაროვი - რაფაელი, კალსტრიომი - ხურადო, არი, გორბატენკო - ემენიკე.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, ალბა - ფაბრეგასი, ინიესტა, ჩავი - პედრო, მესი, ვილია.

**არბიტრი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

**ბენფიკა–სელტიკი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - პერეირა, ჟარდელი, გარაი, ალმეიდა - მატიჩი, გაიტანი, პერესი - ლიმა, კარდოსო, როდრიგო.

**სელტიკი (4-2-3-1):** ფორსტერი - მეტიუზი, ამბროზი, ვილსონი, მულგრევი - ბრაუნი, ვანიამა - კომონსი, ლედლი, ლასადი - სამარასი.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. სელტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-9 | 3 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი–მანჩესტერ იუნ. 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გალათასარაი (4-3-3):** მუსლერა - ებუე, კრისი, ნუნკეუ, ბალთა - ჰამით ალთინთოფი, სელჩუკ ინანი, ფელიპე მელო - უმუთ ბულუთი, ბურაქ ილმაზი, ამრაბატი.

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-3-1-2):** ლინდეგაარდი - რაფაელი, ჯონსი, უოტონი, ბიუტნერი - ანდერსონი, ქერიკი, ფლეტჩერი - იანგი - უელბეკი, ჩიჩარიტო.

**არბიტრი:** კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

**კლუჟი–ბრაგა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კლუჟი (4-4-2):** ფელგეირაში - სეპსი, კადუ, პიკოლო, პინტუ - სუგუ, გოდემეჩე, მურესანი, ბასტოსი - კამორა, კაპეტანოსი.

**ბრაგა (4-4-1-1):** ბეტუ - სალინო, დუგლაო, კოელიო, ეჩიევჯილე - ალანი, კუშტოდიო, ვიანა, ამორიმი - მიკაელი - ედერი.

**არბიტრი:** სერგეი კარასევი (რუსეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 4 | 4 | 0 | 0 | 9-4 | 12 |
| 2. გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 3. კლუჟი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. ბრაგა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |

### E ჯგუფი:
### გადამწყვეტი მატჩი ტურინში

აუტსაიდერ „ნორდსიელანდთან" ორი ქულის დაკარგვით (1:1 დანიაში) „იუვენტუსმა" მდგომარეობა გაირთულა და თავი საფრთხეში ჩაიგდო. 4 ტურის შემდეგ იტალიის ჩემპიონსა და სერია A-ს ლიდერს მხოლოდ 6 ქულა აქვს, „შახტარსა" და „ჩელსის" კი - შვიდ-შვიდი. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ დღეს ტურინელებმა ლონდონელები აუცილებლად უნდა დაამარცხონ. მართალია, „იუვეს" ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი ფრის შემთხვევაშიც შერჩება, მაგრამ ფაქტია, „ბებერი ქალბატონი" ვერ იქნება იმის იმედად, რომ „ნორდსიელანდი" კიდევ ერთხელ ივაჟკაცებს. თანაც, „იუვე" ბოლო ტურში „შახტარს" დონეცკში სტუმრობს და ამთავითვე ცხადია, რომ უკრაინაში მოგება გაუჭირდება.

ერთი სიტყვით, მშვიდი ძილისთვის ტურინელებს დღეს „ჩელსის" დამარცხება სჭირდებათ და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ, რასაც **ჯანლუიჯი ბუფონის** სიტყვებიც ადასტურებს: *„იტალიელი ვარ, მაგრამ თვლა არ მიყვარს... ყველამ ვიცით, რომ „ჩელსისთან" სამი ქულა გვჭირდება და ეს თამაში უნდა მოვიგოთ კიდეც. ბასტა!"* - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯიჯიმ. თავის მხრივ, „ჩელსის" ნაგება ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლონდონელები მედგრად იბრძოლებენ.

გასულ უქმეებზე ვერც „იუვემ" მოიგო (0:0 „ლაციოსთან") და ვერც „ჩელსიმ" (1:2 „ვესტ ბრომვიჩთან"). ლონდონელებს დაცვაში საკადრო პრობლემები აქვთ: **ჯონ ტერი** ტრავმირებულია, **დავიდ ლუისი** კი - დისკვალიფიცირებული. „ჩელსის" თავკაცი **რობერტო დი მატეო** დაცვის ცენტრში ალბათ **ივანოვიჩისა** და **კეჰილის** ტანდემს გაამწესებს.

„შახტარს" „ჩელსისა" და „იუვენტუსის" უფრო მაგრად დაწნეხვა შეუძლია: ამისათვის უკრაინელებმა (უფრო სწორად, უკრაინელთა ბრაზილიელებმა და სომეხმა **მხითარიანმა**) აუტსაიდერი „ნორდსიელანდი" უნდა დაამარცხონ, რაც, თუ დონეცკელთა შედეგებს გავითვალისწინებთ, რთული არ უნდა იყოს. „შახტარმა" გასულ უქმეებზე უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში პირველად დაკარგა ქულები - 15 ტურში 15 მოგების შემდეგ **მირჩა ლუჩესკუს** ბიჭები კიევის „არსენალთან" 0:2 დამარცხდნენ...



ფრანკ რიბერის ტრავმა აქვს და მისი თამაში სარისკოა, მაგრამ მოედანზე გასვლა ძალიან უნდა

### F ჯგუფი:
### ბაიერნი ვალენსიაში მოსაგებად ჩავიდა

„ბაიერნს" გამარჯვება ისე ძალიან არ სჭირდება, როგორც „იუვენტუსს", მაგრამ ბავარიელები ვალენსიაში მხოლოდ სამი ქულისთვის მიდიან - ყოველ შემთხვევაში ასეთი განცხადება გააკეთა გუშინდელ პრესკონფერენციაზე რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა**. სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ კვლავ მის განკარგულებაშია გოლეადორი **მარიო გომესი**, რომლის არსებობა მიუნხენში თითქმის გადაავიწყდათ იმის გამო, რომ **მარიო მანჯუკიჩი** ხეირიანად ასპარეზობს და როცა საჭიროა, გოლები გააქვს **კლაუდიო პისაროსაც**.

„ბაიერნმა" შაბათს ბავარიულ დერბიში ორი ქულა დაკარგა (1:1 ნიურნბერგთან) და იმ თამაშში „დონ იუპმა" სხვა ლიდერებთან ერთად ვერც **ფრანკ რიბერი** გამოიყენა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, თუმცა ფრანგს დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია და უნდა: *„ექიმებმა მითხრეს, ვალენსიაში შენი თამაში ცოტათი სარისკოაო, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა და არ მინდა, გამოვაკლდე,"* - აღნიშნა გუშინ რიბერიმ.

თუ „ბაიერნი" „მესტალიაზე" მოიგებს, შესაძლოა, მერვედფინალის საგზური გაინაღდოს - ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი პარალელურ შეხვედრაში ბატე აუტსაიდერ „ლილს" ვერ დაამარცხებს. ვალენსიელებმა პირველ ტურში ნაგების (1:2 „ბაიერნთან") შემდეგ სამივე შეხვედრა მოიგეს და ბურთების რეკორდმაისტერზე უკეთესი შეფარდებით ჯგუფში პირველ ადგილზე არიან.

ვალენსიელებს და მიუნხენელებს თამაშის დაწყებისას უკვე ეცოდინებათ ბატე-სა და „ლილის" მატჩის შედეგი, რადგან ეს შეხვედრა უფრო ადრე, ჩვენი დროით 21:00 საათზე იწყება. ბელარუსები უქულო „ლილთან" ფავორიტებად მიიჩნევიან, მაგრამ ფრანგები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა მთლად უქულოდ არ დაასრულონ და თუ ამაზე მიდგა საქმე, ვისთან უნდა მიაღწიონ წარმატებას, თუ არა ისევ და ისევ ბატესთან? თუმცა ბორისოველები ახლა მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე არიან კონცენტრირებულნი, რადგან ბელარუსიის ჩემპიონობა ფინიშამდე ორი ტურით ადრე გაინაღდეს.

### G ჯგუფი:
### რუსებს ფაბრეგასის პასპორტი არ მოეწონათ

G ჯგუფში მერვედფინალის ორივე საგზურის მფლობელის ვინაობა შესაძლოა დღესვე გაირკვეს. „ბარსელონა" მოსკოვის „სპარტაკს" სტუმრობს და გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებს. **ჯანო ანანიძის** გუნდი ბოლო ადგილზეა და მართალია, ჯერ კიდევ აქვს მერვედფინალში გასვლის თეორიული შანსი, მაგრამ ამ შანსის შენარჩუნებისთვის თვით „ბარსას" დამარცხებაა საჭირო, რაც, დაგვეთანხმებით, არარეალურია. სამაგიეროდ, მოსკოველებისთვის ჯერ კიდევ რეალურია ოცნება მესამე ადგილზე, რომელიც „სპარტაკს" ევროპალიგაში გადაიყვანდა.

კატალონიელებისთვის რუსული ვოიაჟი ცუდად დაიწყო: იმ დროს, როცა მთელი გუნდი უკვე სასტუმროში იყო, **სესკ ფაბრეგასი** ჯერ კიდევ მოსკოვის აეროპორტში იმყოფებოდა. რუსმა კონტროლიორებმა მისი პასპორტი პრობლემურად მიიჩნიეს და სესკი დიდხანს შეაყოვნეს. ალექსის სანჩესი კი რუსეთში საერთოდ არ გაფრენილა, რადგან ტრავმირებულია.

მერვედფინალში თამაშის განაღდება შეუძლია გლაზგოს „სელტიკსაც", რომელმაც წინა ტურში „ბარსელონას" დამარცხებით (2:1) უდიდესი გმირობა ჩაიდინა. თუმცა შოტლანდიელებს ურთულესი მატჩი ელით, რადგან „ბენფიკას" ლისაბონში სტუმრობენ. თავის მხრივ, მერვედფინალზე პორტუგალიელებიც სერიოზულად ფიქრობენ: თუკი „ბენფიკა" „სელტიკს" დაამარცხებს, ქულებით გაუთანაბრდება და მერე ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

### H ჯგუფი:
### ფერგი რეზერვს გამოცდის

„მანჩესტერ იუნაიტედი" ერთადერთი გუნდია ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში, რომელმაც ოთხივე თამაში მოიგო და არა მარტო მერვედფინალის საგზური, არამედ ჯგუფში პირველი ადგილიც გაინაღდა. **სერ ალექს ფერგიუსონს** ასეთ დროს სარეზერვო შემადგენლობის გამოცდა უყვარს ხოლმე და ფაქტია, რომ დღეს „იუნაიტედი" „გალათასარაისთან" გასვლით შეხვედრაშიც მეორე შემადგენლობით ითამაშებს. ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე ადგილზე აღზევებულ „გალას" სამი ქულის მოპოვება გაუადვილდება, რადგან ბრძოლა და წარმატების მიღწევა ფერგის სათადარიგო ბიჭებსაც ეხერხებათ. თურქებს გოლეადორები, **ბურაქ ილმაზი** და **უმუთ ბულუთი** შესანიშნავ ფორმაში ჰყავთ და დღევანდელ მატჩში ამ ორ ფეხბურთელზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

დაძაბული ბრძოლა უნდა გაჩაღდეს პარალელურ შეხვედრაშიც, რადგან ჯგუფიდან გასვლის შანსი „კლუჟს" (4 ქულა) და „ბრაგასაც" (3) შემორჩათ. თანაც, ნაგება ორივეს აკრძალული აქვს.

**გოტფრიდ ლენცი**

● პესკარა

# დელფინები უმწვრთნელოდ დარჩნენ

XIII ტური საბედისწერო გამოდგა "პესკარას" მთავარი მწვრთნელისთვის, რომელმაც პოსტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. 44 წლის **ჯოვანი სტროპამ "დელფინები" ზდენეკ ზემანისგან** გადაიბარა და ერთობ ამბიციური მიზნებიც დაისახა, თუმცა რეალობა სხვაგვარი გამოდგა. "პესკარამ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და მარტო იმიტომ არ იმყოფება გასავარდნ ზონაში, რომ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალის გამო, რამდენიმე გუნდს ქულები აქვს დაკლებული. გასულ ტურში, "პესკარა" "სიენას" ესტუმრა და მარცხი იწვნია, რის შემდეგაც სტროპამ შემდეგი განაცხადა:

*"სიმართლე გითხრათ, სულ სხვა მოლოდინები მქონდა და რეალობა სხვაგვარი გამოდგა. ძალიან გაგვიჭირდა სერია A-ს გუნდებთან კონკურენციის გაწევა და სიმართლე გითხრათ, არც რეცეპტი ვიცი, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამიტომ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, პოსტის დატოვების შესახებ განცხადების დაწერას ვაპირებ, რომელსაც იმედია დააკმაყოფილებენ".*

"პესკარას" სპორტულმა დირექტორმა **დანიელე დელი კარიმ** დაადასტურა, რომ სტროპა გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება: *"სიენაში ყველაზე ცუდი მატჩი ნამდვილად არ ჩაგვიტარებია და მის გათავისუფლებას არ ვაპირებდით, თუმცა მან თავად მიიღო გადაწყვეტილება. ეს ვაჟკაცური ნაბიჯია, რომელიც უნდა დავაფასოთ. გაწეული სამუშაოსთვის სტროპას მადლობას ვუხდი და სამომავლოდ, წარმატებებს ვუსურვებ. თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ".*

**ლაშა ნიკლაური**



ჯოვანი სტროპამ პოსტი დატოვა

● დერბის შემდეგ

# ფსკერიდან სამპა ამოქვრა

## გენუური ჯახის გამოძახილი



გენუურ დერბიში "სამპდორიამ" გაიმარჯვა

გენუური დერბი კვირას გვიან ღამით დასრულდა და ამიტომ, ტურის მიმოხილვაში ამ მეტად საინტერესო მატჩის შესახებ არაფერი გვითქვამს. არადა, "სამპდორია"-"ჯენოას" დაპირისპირება ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს არცთუ სახარბიელო დრო უდგას. საგულისხმოა, რომ დერბის წინ, გენუური გუნდები სატურნირო ცხრილის ბოლო ორ ადგილზე აღმოჩნდნენ, ასეთი რამ კი ისტორიაში პირველად მოხდა. ანუ, ეს იყო მატჩი ფსკერიდან ამოსაძვრომად და ამ ამოცანას თავი **ჩირო ფერარას** გუნდმა გაართვა. დიახ, "სამპდორიამ" ყველა კომპონენტში აჯობა **ლუიჯი დელ ნერის** "ჯენოას' და დამსახურებულად გაიმარჯვა.

მთელი 90 წუთის განმავლობაში, სრულ უპირატესობას ნომინალური მასპინძლები ფლობდნენ და ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა. ფეხბურთელები მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ, რაც ხშირად დერბისთვის დამახასიათებელ გაწევ-გამოწევაში გადადიოდა. გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და უმჯობესია, პირდაპირ კომენტარებს გავეცნოთ...

**ჩირო ფერარა (სამპდორიას მთავარი მწვრთნელი):** *"ძალიან გახარებული ვარ, რადგან უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვიგეთ. რაც მთავარია, დავინახე ის "სამპდორია", რომელიც სეზონის სტარტზე თამაშს თამაშზე იგებდა. ყველანაირად ვეცადე, რომ შეგირდებში რწმენა გამეღვივებინა და ბედნიერი ვარ, რომ ეს გამომივიდა. იმედია, ეს გამარჯვება კრიზისის დასრულების საწინდარი იქნება".*

**ლუიჯი დელ ნერი (ჯენოას მთავარი მწვრთნელი):** *"ასეთ ცუდ ვითარებაში ალბათ არასდროს ვყოფილვარ - დერბიში დავმარცხდით და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ვართ. ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და გამოსავალზე ვიზრუნოთ. ნამდვილად გვაქვს იმის რესურსი, რომ გაცილებით უკეთ ვითამაშოთ და არსებულ კრიზისს თავი დავაღწიოთ. ვაპირებთ თუ არა ზამთარში გაძლიერებას? - რამდენიმე ფეხბურთელის დამატებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, ვალდებულნი ვართ გასავარდნი ზონა დავტოვოთ და დაქვეითების საფრთხე ავირიდოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერი

# ინტერი სატრანსფერო თამაშგარეში

## არც იყიდიან, არც გაყიდიან...

"იუვენტუსთან" გასვლითი მოგება "ინტერის" წარმატებული სვლის პიკი გახლდათ, რასაც მცირე ჩავარდნა მოჰყვა. **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდმა ჯერ ბერგამოში წააგო "ატალანტასთან", შემდეგ კი "კალიარის" გაუყო ქულები და თანაც, საკუთარ მოედანზე. ამან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მილანურ გრანდს სტაბილურობა აკლია და თუ ასე გაგრძელდა, გუნდს არა თუ სკუდეტოსთვის ბრძოლა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც კი გაუჭირდება.

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ "ინტერის" მესვეურები აღნიშნული პრობლემის გადაჭრას ზამთრის სატრანსფერო პერიოდის გამოყენებით აპირებენ. დასახელდა რამდენიმე გვარიც, რომელთა მომავალიც "ნერაძურის" დაუკავშირეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო ინფორმაცია **რადამელ ფალკაოსთან** დაკავშირებით, რომელიც მადრიდის "ატლეტიკოს" ღირსებას იცავს. სატრანსფერო საკითხებზე პრესას "ინტერის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** გაესაუბრა და გავრცელებული ცნობები კატეგორიულად უარყო:

*"ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე არათუ ვიაქტიურებთ, საერთოდ არ ჩავერთვებით. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს საიმისოდ, რომ ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ამ საკითხზე ანდრეა სტრამაჩონისთან მქონდა საუბარი და ისიც იმავე აზრზეა. არ დავმალავ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში დიდი თანხების ხარჯვას ვერიდებით და ამ გადაწყვეტილების უმთავრესი მოტივი სწორედ ეს გახლავთ".*

მარკო ბრანკას **ვესლი სნეიდერის** შესაძლო გასხვისების შესახებაც მოუხდა საუბარი: *"ვესლის ტრავმა ჰქონდა, პრაქტიკულად გამოჯანმრთელდა და ძალიან მალე დაუბრუნდება მოედანს. ბევრმა ჩათვალა, რომ მისი ადგილი გუნდში აღარაა, მაგრამ რეალურად, ეს საკითხი არა ბევრმა, არამედ ერთმა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს და ეს ერთი ანდრეა სტრამაჩონი გახლავთ. მწვრთნელს ამ თემაზეც ვესაუბრე და ხაზგასმით თქვა, რომ ჰოლანდიელის დიდი იმედი აქვს. სნეიდერი ექსტრაკლასის ფეხბურთელია და მისი გასხვისების არავითარი სურვილი არ გვაქვს. როდესაც ვამბობ, რომ სატრანსფერო ბაზარზე საერთოდ არ გავალთ, ეს არა მარტო ყიდვას, გაყიდვასაც ეხება".*



ვესლი სნეიდერი "ინტერში" დარჩება

**ლაშა ნიკლაური**

● მოსაზრება

# მონტელა: რა დროს სკუდეტოა

## ვიოლა იოვეტიჩის გარეშეც იგებს



ვინჩენცო მონტელა

სერია A-ს გასული ტური ყველაზე წარმატებული "ფიორენტინასთვის' გამოდგა. ლიდერთა სამეულის ფრეების ფონზე, ფლორენციელთა გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი დაედო და შედეგად, "ვიოლა" სატურნირო ცხრილის სამეულში აღმოჩნდა. ამასთან, **ვინჩენცო მონტელას** გუნდმა ლიდერთან სხვაობა ორი ქულით შეამცირა და ხუთ ქულამდე დაიყვანა. ეს ის დისტანციაა, რომლის აღმოფხვრაც სრულიად შესაძლებელია - თუ, რა თქმა უნდა, "ფიორენტინა" ასევე გააგრძელებს. აღსანიშნავია, რომ ფლორენციელებმა ბოლო რამდენიმე შეხვედრა **სტევან იოვეტიჩის** გარეშე ჩაატარეს, რაც გუნდის შედეგიანობაზე უარყოფითად არ ასახულა... აი,. რას ფიქრობს ამ ყველაფერზე "ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი ვინჩენცო მონტელა:

*"დავამტკიცეთ, რომ წარმატებით თამაში სტევან იოვეტიჩის გარეშეც შეგვიძლია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ჩერნოგორიელი რომ გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამას წყალი არ გაუვა. ყველაფერი იმაზე უფრო კარგად მიდის, ვიდრე წარმოგვედგინა, რაც სწორი და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ვიბრძოლებთ თუ არა სკუდეტოსთვის? - ის, რომ ამაზე გულშემატკივრები ლაპარაკობენ, უკვე დიდი გამარჯვებაა, რადგან ბოლო წლებში "ფიორენტინას" უმაღლესი მიზნისთვის არ უბრძოლია. ეს იმის მანიშნებელია, რომ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ. თუმცა, პირადად მე, სკუდეტოზე საერთოდ არ ვფიქრობ და ერთადერთი რაც მაღელვებს, ის ხარვეზებია, რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად შეინიშნება ჩვენს თამაშში. პროგესი უნდა გავაგრძელოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

### იტალია. სერია A. წუხელ...

**რომა–ტორინო 2:0**

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (71-პენ.), 2:0 პიანიჩი (86).

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი – პიანიჩი, ბრედლი, ფლორენცი (65. მარკინიო) – ლამელა, ოსვალდო, ტოტი (64. დესტრო).

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, ოგბონა, დამბროზიო – ბაშა, გაცი, სგრინია (67. სანსონე), სანტანა (76. ვერდი) – ჩერჩი (85. დიოპი), ბიანკი.

**გაფრთხილება:** პირისი, პიანიჩი, ლამელა – ოგბონა, დამბროზიო, სგრინია, ბიანკი.

**გაძევება:** ვენტურა (72. ტორინოს მთავარი მწვრთნელი).

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 21-6(9-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 10 | 2 | 1 | 29-9 | 32 |
| 2. ინტერი | 13 | 9 | 1 | 3 | 26-15 | 28 |
| 3. ფიორენტინა | 13 | 8 | 3 | 2 | 23-10 | 27 |
| 4. ნაპოლი | 13 | 8 | 3 | 2 | 22-11 | 27 |
| 5. ლაციო | 13 | 7 | 2 | 4 | 19-17 | 23 |
| 6. რომა | 13 | 6 | 2 | 5 | 30-23 | 20 |
| 7. კატანია | 13 | 5 | 4 | 4 | 17-17 | 19 |
| 8. ატალანტა | 13 | 6 | 2 | 5 | 14-19 | 18 |
| 9. პარმა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-18 | 17 |
| 10. კალიარი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-19 | 16 |
| 11. უდინეზე | 13 | 3 | 7 | 3 | 18-20 | 16 |
| 12. მილანი | 13 | 4 | 3 | 6 | 20-18 | 15 |
| 13. ტორინო | 13 | 3 | 6 | 4 | 13-12 | 14 |
| 14. სამპდორია | 13 | 4 | 2 | 7 | 16-19 | 13 |
| 15. ბოლონია | 13 | 3 | 2 | 8 | 15-18 | 11 |
| 16. პალერმო | 13 | 2 | 5 | 6 | 11-20 | 11 |
| 17. კიევო | 13 | 3 | 2 | 8 | 13-25 | 11 |
| 18. პესკარა | 13 | 3 | 2 | 8 | 9-24 | 11 |
| 19. სიენა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-14 | 10 |
| 20. ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 13-21 | 9 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

● წუხელ...

### ინგლისი. პრემიერლიგა

**ვესტ ჰემი–სტოკ სიტი 1:1**

**გოლები:** 0:1 უოლტერსი (13), 1:1 ო'ბრაიენი (48)

**ვესტ ჰემი (4-4-2):** [illegible] – [illegible], ტომკინსი, [illegible], ო'ბრაიენი (77. [illegible]) – [illegible], დიამე, ნოლანი, [illegible] – [illegible] (86. [illegible]), [illegible] (85. კ. კოული)

**სტოკ სიტი (4-5-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, ჰუთი, შოუკროსი, უილკინსონი (32. შოტონი) – უელანი (62. პალასიოსი), ადამი, ნზონზი, უოლტერსი, ეთერინგტონი (74. კაიტლი) - კრაუჩი

**გაფრთხილება:** ნოუბლი -

**კარში დარტყმა:** 10-7 (6-4) **კუთხური:** 12-4 **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 11-9 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 35 005

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 8 | 4 | 0 | 25-10 | 28 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 0 | 3 | 29-17 | 27 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 19-13 | 23 |
| 5. ევერტონი | 12 | 5 | 5 | 2 | 22-16 | 20 |
| 6. არსენალი | 12 | 5 | 4 | 3 | 23-13 | 19 |
| 7. ვესტ ჰემი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-12 | 19 |
| 8. ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 9. ფულჰემი | 12 | 4 | 4 | 4 | 25-22 | 16 |
| 10. სუონსი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-16 | 16 |
| 11. ლივერპული | 12 | 3 | 6 | 3 | 17-16 | 15 |
| 12. ნიუკასლი | 12 | 3 | 5 | 4 | 13-17 | 14 |
| 13. ნორვიჩი | 12 | 3 | 5 | 4 | 9-18 | 14 |
| 14. სტოკ სიტი | 12 | 2 | 7 | 3 | 10-11 | 13 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 6 | 3 | 10-12 | 12 |
| 16. უიგანი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-21 | 11 |
| 17. რედინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 14-19 | 9 |
| 18. ასტონ ვილა | 12 | 2 | 3 | 7 | 10-22 | 9 |
| 19. საუთჰემპტონი | 12 | 2 | 2 | 8 | 18-30 | 8 |
| 20. ქუინზ პარკი | 12 | 0 | 4 | 8 | 9-23 | 4 |

### ესპანეთი. ლა ლიგა. XII ტური

**სოსიედადი–ვალეკანო 4:0**

**გოლები:** 1:0 ველა (31), 2:0 ველა (33), 3:0 მ. გონსალესი (61), 4:0 გ. კასტრო (77)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - პარდო (78. ზურუტუზა), ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, ველა (81. აგირეჩე), გ. კასტრო - იფრანი (73. ბერგარა).

**რაიო ვალეკანო (4-4-1-1):** კობენიო - ტიტო, ლაბაკა, გალვესი, კასადო (46. დელიბაშიჩი) - ხოსე კარლოსი, ფუეგო, ტრაშორასი, პიტი - ა. დომინგესი (65. ლ. ბანგურა) - ლეო კარილიო (83. ფ. ვასკესი).

**გაფრთხილება:** იფრანი - ტიტო, კასადო, გალვესი

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 17-6 (11-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 600

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 39-15 | 34 |
| 2. ატლეტიკო | 12 | 10 | 1 | 1 | 25-11 | 31 |
| 3. რეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 32-9 | 26 |
| 4. ლევანტე | 12 | 6 | 2 | 4 | 15-16 | 20 |
| 5. მალაგა | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 6. ბეტისი | 12 | 6 | 1 | 5 | 19-21 | 19 |
| 7. სევილია | 12 | 5 | 3 | 4 | 18-15 | 18 |
| 8. ვალენსია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-14 | 18 |
| 9. სოსიედადი | 12 | 5 | 1 | 6 | 16-16 | 16 |
| 10. ხეტაფე | 12 | 5 | 1 | 6 | 14-19 | 16 |
| 11. ვალეკანო | 12 | 5 | 1 | 6 | 16-29 | 16 |
| 12. ვალიადოლიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-14 | 15 |
| 13. სარაგოსა | 12 | 5 | 0 | 7 | 15-21 | 15 |
| 14. ბილბაო | 12 | 4 | 2 | 6 | 17-26 | 14 |
| 15. მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 13-20 | 12 |
| 16. სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 14-18 | 11 |
| 17. გრანადა | 12 | 3 | 2 | 7 | 11-19 | 11 |
| 18. დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 18-27 | 10 |
| 19. ოსასუნა | 12 | 2 | 3 | 7 | 11-15 | 9 |
| 20. ესპანიოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 13-20 | 9 |

● კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

# მცირე სასწაული ბოგოტაში

**მილიონარიოსი–გრემიო 3:1**

(პირველი მატჩი 0:1)

**გოლები:** 0:1 ვერლეი (13), 1:1 კოსმე (60), 2:1 რენტერია (81), 3:1 რენტერია (90-პენ).

კოლუმბიაში კოპა სუდამერიკანას ბოლო 1/4-ფინალი გაიმართა, რის შემდეგაც ყველა ნახევარფინალისტი გახდა ცნობილი. პორტუ ალეგრის "გრემიომ" პირველ შეხვედრაში კოლუმბიის ჩემპიონატის ლიდერ "მილიონარიოსს" 1:0 მოუგო და მეორე მატჩშიც დაწინაურება მოახერხა – გოლი **ვერლეიმ** გაიტანა.

პირველი ტაიმი ასეც დასრულდა და მასპინძელთა მხოლოდ ძალზე ოპტიმისტი ქომაგი თუ იქნებოდა იმედიანად განწყობილი, მაგრამ მეორე 45 წუთში "მილიონარიოსმა" მცირე სასწაული მოახდინა და 3 გოლი გაიტანა. დუბლი **ვასონ რენტერიამ** შეასრულა, რომელმაც გამარჯვების მომტანი ბურთი 94-ე წუთზე, 11-მეტრიანით გაიტანა და საკუთარი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

ნახევარფინალის პირველი მატჩები 22 ნოემბერს გაიმართება. ერთმანეთს "სან პაულო"-"უნივერსიდად კათოლიკა" და "მილიონარიოსი"-"ტიგრე" შეხვდებიან. იმასაც შეგახსენებთ, რომ კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული, 2013 წლის ლიბერტადორესის თასის საგზურს მოიპოვებს.

**ტატო ბაციკაძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის შეჯამება



ფრანკფურტელმა ალექსანდერ მაიერმა ამ სეზონში უკვე სამჯერ შეასრულა დუბლი და ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია

# ალექს მაიერის აღმაფრენა

## ვისაც არ გჯერათ, დაიჯერეთ: აინტრაქტი გუნდია!

**ბუნდესლიგის** თითქმის ყველა სეზონში არის ხოლმე ერთი გუნდი, რომელიც პირველ ტურებში ყველას აოცებს კარგი თამაშითა და შედეგებით, დიდხანს ინარჩუნებს ხოლმე პოზიციებს მოწინავე სამეულში ან, მინიმუმ ხუთეულში და როგორც წესი, მხოლოდ სეზონის მეორე ნახევარში ბრუნდება იქ, სადაც სეზონის დაწყებამდე მოიაზრებდნენ. წელს ასეთი გუნდი ელიტაში ახლახან დაბრუნებული ფრანკფურტის „აინტრაქტია“, რომელიც ახლა თუ არა, მეორე წრეში მაინც გაიზიარებს წინამორბედი „სენსაციონერების“ ბედს, მაგრამ დარჩება ფაქტი: „აინტრაქტი“ გუნდია! და ამ გუნდს ჰყავს ლიდერი, რომელიც დიდი ხანია, ფრანკფურტული კლუბის ღირსებას იცავს და რომელიც აქამდე ყურადღების ცენტრში იშვიათად ექცეოდა. ალექს მაიერს ვგულისხმობთ...

### მეკარე მეკარისთვისაო

**მანუელ ნოიერი** ტელეკომპანია ARD-ს ჟურნალისტს რომ გაუბრაზდა, ამის შესახებ გუშინ, ბუნდესლიგის ტურის მიმოხილვაშიც ვწერდით, მაგრამ მაინც გაგახსენებთ, რომ „ბაიერნის“ მეკარე მაშინ აიჭრა, როცა კორესპონდენტმა უთხრა, ფოილნერის გოლში ბრალი მიგიძღვისო. *„მაშაყირებთ? - გაოცდა რეკორდმაისტერის კარის დარაჯი, - ბურთი კომიკურად გამოფრინდა და ფეხბურთში კარგად გარკვეული სპეციალისტი ამ გოლს მე არ დამაბრალებდა!“*

შეეძლო თუ არა ნოიერს **ფოილნერის** დარტყმის მოგერიება, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია - ნახეთ გოლი და განსაჯეთ. აქ კი სულ სხვა რამეზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება: მატჩის შემდეგ „ნიურნბერგის“ მეკარე **რაფაელ შეფერმა** ნოიერის მხარე დაიჭირა - გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ მარკუსის დარტყმა აუღებელი იყოო...

### სტევენსი აბობოქრდა

ვინც ფიქრობდა, **ჰუუბ სტევენსი** ასაკის მატებასთან ერთად უწყინარ დათვად გადაიქცაო, შაბათს დარწმუნდებოდა, რომ შეცდა. „შალკეს“ „ბაიერნთან“ ჩამორჩენის შემცირება შეეძლო, მაგრამ გელზენკირხენელებმა ლევერკუზენში ამაზრზენად ითამაშეს და 0:2 დამარცხდნენ, სტევენსმა კი, ჯერ თავისი შეგირდები, **ფარფანი** და **ჰოლტბი** გასახდელში კინწისკვრით გაყარა, თამაშის შემდეგ კი შეგირდები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა: *„იმდენად ცუდად ითამაშეს, უფლება რომ მქონოდა, სამს კი არა, ცხრა ფეხბურთელს შევცვლიდი!“* - ყვიროდა ჰოლანდიელი პრესკონფერენციაზე და შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რაოდენ მძიმე ვარჯიშები ელით ამ კვირაში „შალკეს“ ფეხბურთელებს...

**საუკეთესო ფეხბურთელები**

IX ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 7 | 1.71 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრაქტი | 12 | 2.13 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 12 | 2.17 |
| 4. თომას მიულერი | ბაიერნი | 11 | 2.35 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 12 | 2.38 |
| 6. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 11 | 2.50 |
| 7. სებასტიან როდე | აინტრაქტი | 12 | 2.50 |
| 8. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 8 | 2.57 |
| 9. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 12 | 2.58 |
| 10. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 12 | 2.59 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 11 | 7 | 7 | 14 |
| 2. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 11 | 3 | 7 | 10 |
| 3. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 12 | 8 | 2 | 10 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 11 | 7 | 3 | 10 |
| 5. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 11 | 9 | 1 | 10 |
| 6. ალექსანდერ მაიერი | აინტრაქტი | 12 | 9 | 1 | 10 |
| 7. აარონ ჰანტი | ვერდერი | 12 | 6 | 3 | 9 |
| 8. მარკო როისი | ვერდერი | 12 | 6 | 3 | 9 |
| 9. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 7 | 3 | 6 | 9 |
| 10. ადამ სალაი | მაინცი | 12 | 8 | 1 | 9 |

### როელის ბრწყინვალე... ავტოგოლი

ავტოგოლები ბევრნაირი არსებობს. საკუთარი კარის დალაშქვრა ყოველთვის საშინელებაა, მაგრამ თვითონ გოლი შეიძლება ძალიან ცუდი იყოს, ანაც, ძალიან ლამაზი. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მცველმა **როელ ბრუვერსმა** კი შაბათს ულამაზესი, ეფექტური ავტოგოლი გაიტანა. ჩაწოდებას ისე დახვდა, როგორც ალღოიანი თავდამსხმელი, ბურთი კი ჯერ ძელს მოხვდა და მერელა გაეხვია მარკ-ანდრე ტერ შტეგენის კარის ბადეში. ბრუვერსის ამ ავტოგოლი „შტუტგარტი“ „ბორუსია პარკზე“ 2:1 დაწინაურდა და ამ მატჩის საბოლოო ანგარიშიც ესაა.

### ალექს მაიერის ახალი მეტსახელი

ფრანკფურტელი **ალექს მაიერი** აქამდე ისეთ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, როგორებზეც ამბობენ ხოლმე, მეორე ბუნდესლიგისთვის ბრწყინვალეა, პირველისთვის კი - ცუდიო. მაიერს ყველა ისე იცნობდა, როგორც საშუალოზე ოდნავ დაბალი დონის შემტევ ნახევარმცველს, ახლა კი მთელი საფეხბურთო გერმანია მასზე ლაპარაკობს. მაიერმა, რომელიც წლებია, „აინტრაქტის“ ღირსებას იცავს და ამ გუნდის ლიდერად იწოდება, შაბათს სეზონის მესამე დუბლი („ჰოფენჰაიმთან“, „ფრაიბურგთან“, ახლა კი „აუგსბურგთანაც“) შეასრულა, 9 გოლი დაუგროვდა და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში ბაიერნელ **მარიო მანჯუკიჩთან** ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ალექს მაიერის გოლუხვობა კი ამავდროულად „აინტრაქტის“ სენსაციური სვლის (მესამე ადგილი 12 ტურის შემდეგ) ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია.

ამ ყველაფრის შემდეგ მან ახალი მეტსახელი მიიღო: „აინტრაქტის“ კაპიტანმა **პირმინ შვეგლერმა** თქვა, გუნდში „დუბლ-მაიერს“ ვეძახითო. ვერაფერს იტყვი, კრეატიული მეტსახელია...

### ქალები, მანქანები და გიოტცე

გუშინ გერმანული ტაბლოიდი „ბილდი“ წერდა: *„საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამს - ყველაფერი ქალებისა და ავტომობილების გარშემო ტრიალებს, რადგან ქალები და ავტომობილები გვაბედნიერებენ - შევცვლიდით და თანაც ასე: „ყველაფერი ქალების, ავტომობილების და გიოტცეს სოლორეიდების გარშემო ტრიალებს, რადგან ქალები, ავტომობილები და გიოტცეს სოლორეიდები გვაბედნიერებენო.“* ვინც მარიოს გოლი ნახა და ამ მოსაზრებას არ დაეთანხმება, „შალკეს“ ფანი უნდა იყოს...

### ისევ ის ალოფსი, ოღონდ სხვა W

მას ისევ თბილი ქურთუკი ეცვა, რომელსაც ისევ ასობგერა „ვ“ ამშვენებდა და მისი გუნდის თითოეულ გოლზე კვლავ მუშტშემართული ხტოდა. **კლაუს ალოფსი** კვირას წინა კვირის კლაუს ალოფსისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მის ქურთუკზე ნაწერილი ასობგერა „ვ“ არა „ვერდერს“, არამედ უკვე „ვოლფსბურგს“ ეკუთვნოდა. ალოფსმა „ვერდერში“ 13 წელი იმუშავა. ვნახოთ, რამდენი წელი იმუშავებს „ვოლფსბურგში“...

**გოტფრიდ ლენცი**

**ტურის გმირი**



### ალექსანდერ მაიერი (აინტრაქტი)

ათი გოლი ბუნდესლიგის ერთ სეზონში ალექს მაიერის პირადი რეკორდია, რომლის გაუმჯობესების იმედი 29 წლის შემტევ ნახევარმცველს აღარ ჰქონდა. ახლა კი, მიმდინარე სეზონის 12 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე უკვე 9 გოლია და გერმანიაში კაციშვილს აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ალექსი პირად რეკორდს გააუმჯობესებს. თანაც, „აინტრაქტში“ პენალტისტიც მაიერია და ამ სეზონში თერმეტმეტრიანი უკვე ორჯერ დაარტყა და ორივე შემთხვევაში გაიტანა. ალექსის, როგორც ფეხბურთელის მთავარი პლუსები ძლიერი, როგორც იტყვიან, დაყენებული დარტყმა, დაუღალელობა და ბრძოლის უნარია. „აუგსბურგთან“ 3:1-ზე მოგებულ მატჩში მან მორიგი, ამ სეზონში უკვე მესამე დუბლი შეასრულა და საფეხბურთო გერმანია საბოლოოდ დარწმუნა იმაში, რომ უკვე ელიტისთვის მომწიფებული ფეხბურთელია.

### XII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● ამბები

### ბარსა ნკულუს აკვირდება

„ბარსელონას“ სკაუტები კვირას საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩს დაესწრნენ „ბორდოსა“ და „მარსელს“ შორის. ფრანგული პრესის მტკიცებით, კატალონიელთა სამიზნე „მარსელის“ 22 წლის მცველი **ნიკოლა ნკულუა**. კამერუნელი ცენტრალური მცველია და სამხრეთელთა რიგებში 2011 წლიდან ასპარეზობს, მას „მარსელთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს. „მარსელში“ გადასვლამდე აფრიკელი ფეხბურთელი სამი სეზონის განმავლობაში იცავდა „მონაკოს“ ღირსებას. ნკულუმ „ბორდოსთან“ შეუცვლელად ითამაშა, თუმცა მისმა გუნდმა 0:1 დათმო. ნკულუმ ეროვნული ნაკრების მაისურა უკვე 25-ჯერ მოირგო.

### პუიოლი: დაცვა მართლა გასაძლიერებელია

„ბარსელონას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** დაუბრუნდა, რომელმაც **ჟერარდ პიკესთან** ერთად ჩვეული, მაგრამ მონატრებული წყვილი შეადგინა. მართალია, „ბარსამ“ 3:1 მოიგო, მაგრამ კატალონიელთა დაცვის ხაზს უნაკლო არც ამ შეხვედრაში ეთქმოდა. ვერც პიკე და პუიოლი იყვნენ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე. ამას თავად კაპიტანი ამჩნევს: *„გუნდს ფანტასტიკური შედეგი აქვს, რეკორდს რეკორდზე ვამხობთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა მოვდუნდეთ, მით უფრო, რომ გასაძლიერებელია დაცვა. მინდა გითხრათ, რომ გუნდი უკვე მუშაობს ამ საკითხზე“*, - განაცხადა პუიოლმა. შეგახსენებთ, რომ **ტიტო ვილანოვას** გუნდი 34 ქულით (36 შესაძლებელიდან!) ერთპიროვნულად ლიდერობს ესპანურ პრიმერაში, მაგრამ „ბარსამ“ 12 ტურში 15 გოლი გაუშვა, იმდენივე რამდენიც ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა „ოსასუნამ“.

### ბარტრა სამი კვირით დაიმტვრა

**ტიტო ვილანოვას** არ ელირსა სრულყოფილ შემადგენლობასთან მუშაობა. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზს შეეხება - კვირას კიდევ ერთი მცველი - **მარკ ბარტრა** - დაიმტვრა. ბარტრა „სარაგოსასთან“ მატჩში ცოტა ხნით გამოჩნდა, კუნთი კი მეორე დღეს, ვარჯიშზე დაიჭიმა. ახლა, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი სულ მცირე, 3 კვირას გამოტოვებს, რაც დაახლოებით 6 თამაშია.

### ლორენტემ უკან დასახევი ხიდი დაწვა

ბილბაოს „ატლეტიკის“ ხელმძღვანელობასა და **ფერნანდო ლორენტეს** შორის უთანხმოება უკვე სააშკარაოზე გამოვიდა. ვფიქრობთ, „მეფე ლომს“, რომელსაც 6 თვეა, არ გაუტანია პრიმერა დივიზიონში, დიდი დრო აღარ უწერია ბასკურ კლუბში. აი, რა მოხდა მორიგი ტურის შემდეგ: ბილბაოს „ატლეტიკი“ რეგულარულად აწყობს მოთამაშეთა პრესკონფერენციებს ლეზამაზე. ამჯერად, **იონ აურტენეჩეს** და ფერნანდო ლორენტეს ჯერი იყო. მცველი მედიასთან შეხვედრაზე გამოცხადდა, 27 წლის ფორვარდი კი - არა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ლორენტე პრესასთან ურთიერთობაზე უარს ამბობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩელსი

# ახალი ფორვარდის აუცილებლობა

ბრიტანული გამოცემა "ივნინგ სტანდარდის" ჟურნალისტმა საიმონ ჯონსონმა რამდენიმე დღის წინ "ჩელსის" საკადრო პრობლემებთან დაკავშირებით საინტერესო ანალიზი შემოგვთავაზა. საფეხბურთო ექსპერტების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებს თავდამსხმელების სერიოზული დეფიციტი აქვთ, რასაც შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას გუნდის ამბიციებს. რაკი საგაზეთო ფორმატი ამის საშუალებას არ გვაძლევს, მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.




იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფულის ხარჯვა ხშირად აღიქმება, როგორც კლუბების იმედგაცრუების ჟესტი, რომელთაც გასავარდნად აქვთ საქმე. "ჩელსისთვის" კი ის შეიძლება საჩემპიონო რბოლაში გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს. ამ დღეებში ლონდონელებმა ამაყად განაცხადეს, რომ პირველად **რომან აბრამოვიჩის** ეპოქაში კლუბი მოგებაზე გავიდა. თუმცა აშკარაა, რომ მინდორზე სერიოზული დეფიციტია და ალბათ ისევ დასჭირდებათ რუსის რესურსები.

არსებობს ეჭვი დაცვის ხაზთან დაკავშირებით. და მარტო იმიტომ არა, რომ კაპიტანი **ჯონ ტერი** "ლივერპულთან" მატჩში საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. უკანა ხაზის "მისწრაფება" შეცდომებისადმი აშკარა ხდება მას მერე, რაც სერია მშრალი მატჩების გარეშე უკვე 9 მატჩს უტოლდება. კლუბში იმედოვნებენ, რომ ტერის შემცვლელის ყიდვა არ მოუწევთ, მაგრამ 31 წლის მცველის არყოფნა მაინც სერიოზული დანაკარგია. თუმცა რეალური მიზეზი, თუ რატომ აღმოჩნდა "ჩელსი" მანჩესტერული გრანდების უკან ის არის, რომ გუნდს მაღალი კლასის თავდამსხმელი აკლია.

ბევრი იწერება "სტემფორდ ბრიჯზე" **ფერნანდო ტორესის** ბედზე. ბოლო ორმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ "ლურჯები" კონკურენტებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში არიან. **რობინ ვან პერსიმ** "ჩელსისთან" განსაკუთრებული როლი ითამაშა, არანაკლები, ვიდრე **მარკ კლატენბერგმა**. იმ დროს კი ტორესი წვალობდა, ჰოლანდიელი, ვისი შეძენაც ზუსტად ორჯერ ნაკლები დაჯდა, მუდმივად ემუქრებოდა მეტოქის კარს. ზუსტად ისე, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში. მაშინ, როცა რობინს ვერ გააქვს, **ფერგიუსონს** ამ შემთხვევისთვის **რუნი**, **ერნანდესი** და **უელბეკი** ჰყავს. შედარებისთვის ვთქვათ, რომ **დი მატეოსთვის** ერთადერთი ალტერნატივა **დენიელ სტარიჯია**.

მოქმედმა ჩემპიონმა "სიტიმ" კი "ჩელსი"-"ლივერპულის" მატჩამდე მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ რამდენი ტალანტი ჰყავს თავდასხმაში. **აგუერომ** და **ჯეკომ** "ტოტენჰემთან" გვიანი გოლებით გაამარჯვებინეს თავის გუნდს. მოედანზე იყო **ტევესიც**, **მარიო ბალოტელი** კი ტრიბუნებზე იჯდა. ამ ფონზე ტორესის თამაში ყოფილ კლუბთან კიდევ უფრო გულის ამაჩუყებელი იყო. დრო და დრო ის სახიფათოდ მოქმედებდა, მაგრამ მომენტის დაგვირგვინებამდე საქმე არ მისულა. განსხვავებით **ლუის სუარესისგან**. ფაქტი, რომ სუარესი ტორესისთვის მიღებული ფულით არის ნაყიდი, კიდევ უფრო მრავლის მეტყველია.

დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც მეტოქეები ტორესზე აღმატებულ ტონში ლაპარაკობდნენ. თუმცა ამ სეზონში გატანილი 7 გოლი მაინც გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ის უკეთეს ფორმაშია, ვიდრე შარშან. მიზეზი, რატომაც გადაიხადა აბრამოვიჩმა ბრიტანეთისთვის სარეკორდო ფული ესპანელში ის არის, რომ მას სწორედ ასეთი თამაშების ბედი უნდა გადაეწყვიტა "ჩელსის" სასარგებლოდ.

"ჩელსიმ" უნდა იყიდოს თავდამსხმელი, ვინც შეძლებს შედეგიანად დაასრულოს **აზარის**, **ოსკარისა** და **მატას** ლამაზი კომბინაციები. ლონდონელთა ინტერესი "ატლეტიკოს" თავდამსხმელის **რადამელ ფალკაოს** მიმართ ყველასთვის ცნობილია. ის 46 მილიონ ფუნტად არის შეფასებული და კლუბი უფრო იაფ ვარიანტებსაც ეძებს. "ჩელსის" ყოფილმა მწვრთნელმა **გლენ ჰოდლმა** "სქაი სპორტსის" ეთერში განაცხადა, რომ მას ეჭვი არ ეპარება, ფალკაოს სერიოზული დივიდენდების მოტანა შეუძლია. *"კლუბის მესაკუთრეს ლამაზად მოთამაშე გუნდის ხილვა სურდა და მან ეს მიიღო. სწორედ ამიტომ შესაძლოა მას უფრო მეტი ფულის დახარჯვა მოუნდეს, ვიდრე ოდესმე. თუკი ის ფალკაოს იყიდის, ეს იქნება გემრიელი ალუბალი "ჩელსის" ტორტზე. სწორედ ასე შეძლებენ ისინი პრემიერლიგის მოგებას,"* – თქვა ჰოდლმა. მანჩესტერული კლუბები ამ მოსაზრებას ალბათ არ დაეთანხმებიან, მაგრამ ფალკაოს გავლენა იმდენად დიდია, რომ ის "ბარსელონასთან" საჩემპიონო ბრძოლაში "ატლეტიკოს" ჩაბმას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია, რომ დი მატეო ტორესის მხარეს რჩება იმის მიუხედავად, რომ მის წინააღმდეგ ბრალდებები სულ უფრო ხმამაღლა ისმის. *"ვფიქრობ, რომ ფერნანდომ კარგად ითამაშა. იმედი გვქონდა, რომ ის თავის ყოფილ გუნდს გაუტანდა და საერთოდაც დამატებითი მოტივაციით ითამაშებდა, მაგრამ მეტოქის მეკარემ რამდენჯერმე იხსნა საკუთარი კარი. რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა, მას ყოველ შეხვედრაში რომ გაჰქონდეს, თუმცა პასუხისმგებლობას გაფუჭებულ მომენტებზე მე მთელ გუნდს ვაკისრებ,"* – განაცხადა დი მატეომ "ლივერპულთან" შეხვედრის შემდეგ. ცხადია, გასახდელში სხვებიც იყვნენ, ვისთვისაც შეიძლებოდა მომენტების ქარისთვის გატანება დაგვებრალებინა, მაგრამ უპირველესად სწორედ ტორესია ის ფეხბურთელი, ვისი უილბლობაც შეიძლება იმ მიზეზად იქცეს, რის გამოც "ჩელსი" პრემიერლიგის ტიტულს ვერ მოიგებს.

ამბები



## ჰიუზი ადგილზე რჩება

"ქუინზ პარკის" მთავარმა მწვრთნელმა, 49 წლის **მარკ ჰიუზმა** პრემიერლიგის მე-12 ტურში შინ "საუთჰემპტონთან" 1:3-ის შემდეგ კლუბის მალაიზიელ მესაკუთრე **ტონი ფერნანდესს** თანამდებობიდან გადადგომის განცხადებით მიმართა, მაგრამ უკანასკნელმა ის არ დააკმაყოფილა. უელსელი "რეინჯერების" მთავარ მწვრთნელად როგორც მინიმუმ, კვირის ბოლომდე დარჩება. ხელმძღვანელობა მხოლოდ ამის მერე გადაწყვეტს, თუ რა ბედი ეწევა მას, მისცემენ თუ არა დროს და თუ არა, ვინ გახდება მისი შემცვლელი. ხმები იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაანაცვლებს უელსელს, უკვე აგორდა. ყველაზე ხშირად ჩვენი ინგლისელი კოლეგები "ლივერპულისა" და "ინტერის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **რაფაელ ბენიტესს** ასახელებენ.

## ასე უყვართ ინგლისში

"ტოტენჰემთან" 5:2-ის შემდეგ "არსენალის" გულშემატკივრები განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე იყვნენ "მოსისხლე მტრის" განადგურებით. "ემირეიტსიდან" გამოსულმა ნასვამმა ფანებმა ქუჩაში მატჩის ერთ-ერთი გმირის **სანტი კასორლას** "პორშე" შეამჩნიეს, გააჩერეს და 5 წუთის განმავლობაში ხმამაღლა სპეციალურად მისთვის დაწერილ სიმღერას ასრულებდნენ. ესპანელს მანქანიდან გადმოსვლა არ უფიქრია და ფანებთან კონტაქტს მხოლოდ დისტანციაზე დასჯერდა.

## დაივიწყეთ სტერლინგი

"ლივერპულის" 17 წლის ვარსკვლავმა **რაჰემ სტერლინგმა** სულ რაღაც სამ თვეში განვლო გზა ყველასთვის უცნობი ფეხბურთელობიდან ინგლისის ნაკრების წევრობამდე. თინეიჯერ შუახაზელს ასაკის გამო "წითლებთან" პროფესიული ხელშეკრულება ჯერაც არ აქვს გაფორმებული, მაგრამ ამ "შეცდომას" მერსისაიდელები 8 დეკემბრის შემდეგ გამოასწორებენ, როცა რაჰემს 18 წელი შეუსრულდება. უნიჭიერეს ფეხბურთელს შეძლებული კლუბები, რომელთაც სტერლინგისთვის "ლივერპულზე" უკეთესი პირობების შეთავაზება ძალუძთ, გარს ევლებიან. **ბრენდან როჯერსს** კი გაგონებაც არ უნდა, რომ ვილაცა მისი ფეხბურთელის წაყვანას გეგმავს. *"ყველაფერი ძალიან მარტივია, ვინც არ უნდა იყოს მისით დაინტერესებული, წინასწარ ვეუბნები, დროს ტყუილად ნუ გაფლანგავთ. ის არ იყიდება. რაჰემი უკვე თამაშობს დიდ და ძლიერ კლუბში და ის ამას მშვენივრად აცნობიერებს,"* – აცხადებს 39 წლის ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი.

## გარდაიცვალა ბასბის ბიჭი

ამ უქმეებზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი **კენი მორგანსი**, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ ცხრა თანაგუნდელს შორის, რომელიც 1958 წლის 6 თებერვლის ავიაკატასტროფას გადაურჩა. ამასთან ის იყო უკანასკნელი, ვისი გადარჩენაც ექიმებმა შეძლეს. გასული იყო



ზუსტად ხუთი საათი მას შემდეგ, რაც პოლიციას ცოცხლად დარჩენილთა ძებნის ოპერაცია დასრულებულად ჰქონდა გამოცხადებული. 19 წლის უელსელმა ტრაგედიის შემდეგ ვერა და ვერ შეძლო ძველებურად ათამაშებულიყო. 1961 წელს ის "იუნაიტედიდან" წავიდა და კარიერა "სუონსიში" განაგრძო. ასე რომ, "ბასბის გადარჩენილი ბიჭებიდან" ცოცხლები დარჩნენ მხოლოდ **ბობი ჩარლტონი**, **ბილ ფოულკსი** და **გარი გრეგი**.

## კაბაის ოპერაცია სჭირდება

"ნიუკასლი" მინიმუმ თვე-ნახევრით დაემშვიდობა ფრანგ ნახევარმცველ **იოან კაბაის**, ვისაც საზარდულის პრობლემები აწუხებს. წამყვანმა ბრიტანელმა ტრავმატოლოგებმა ფეხბურთელს ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. 26 წლის "კაჭკაჭი" საოპერაციო მაგიდაზე უახლოეს დღეებში დაწვება.

## არანაირი ადვოკაატი

"რედინგის" რუსმა მესაკუთრემ, 31 წლის **ანტონ ზინგარევიჩმა** კატეგორიულად უარყო ხმები "მეფეების" მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი **დიკ ადვოკაატის** შესაძლო დანიშვნის შესახებ. *"ვის სჭირდება ამ ხმების გავრცელება ნამდვილად ვერ ვხვდები. გარწმუნებთ, სრულად ვენდობი ბრაიან მაკდერმოტს,"* – განუცხადა ზინგარევიჩმა ინგლისელ ჟურნალისტებს.

## როი კინი სანდერლენდის წინააღმდეგ

**როი კინის** სამწვრთნელო კარიერა "სანდერლენდში" წარუმატებელი გამოდგა, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობამ მას 2008 წლის დეკემბერში კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე 2,5 წლით ადრე კარისკენ მიუთითა. 41 წლის ირლანდიელმა 4 წლის წინ "შავ კატებთან" კომპენსაციის ოდენობა შეათანხმა, რომლის ნაწილი დღემდე არ მიუღია. იურისტებმა მას სასამართლოს გზით საკუთარი უფლებების აღდგენა ურჩიეს. თუკი "სანდერლენდის" ხელმძღვანელობა კინისთვის კუთვნილ თანხას დროულად არ გადაიხდის, მხარეები ერთმანეთს სასამართლოს დარბაზში შეხვდებიან.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ქართული სპორტი

ტყვიის სროლა. ქველიაშვილის თასი

# სალუქვაძის საუკეთესო გასროლა

**ნინო სალუქვაძის ტირმა წლეულსაც უმასპინძლა ევროპის სამგზის ჩემპიონის, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან შოთა ქველიაშვილის ხსოვნის ტურნირს პნევმატური იარაღიდან სროლაში.**



მარცხნიდან: ირადა აშუმოვა, ნინო სალუქვაძე და იშვარი ჯანავა

როგორც შაბათს მოგახსენეთ, შეჯიბრების გეოგრაფია ამჯერად გაიზარდა და აზერბაიჯანელების გარდა ერთი მალაიზიელი მსროლელიც მონაწილეობდა - **დევი დასი იშვარი ჯანავა**, რომლის სახელიც მჭიდროდ უკავშირდება სალუქვაძეს. ჯანავა ეროვნებით უკრაინელია - **ირინა კოჩეროვაა** და 1986 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ამ გვარ-სახელით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. მაშინ კვარცხლბეკი მთლიანად ან უკვე ყოფილმა საბჭოელებმა შეავსეს - ჩემპიონი **მარინა დობრანჩევა-ლოგვინენკო** გახდა, მესამეზე კი სალუქვაძე გავიდა. გერმანულ ზულში გამართული ეს შეჯიბრება პირველი უმთავრესი ტურნირი იყო ჩვენებურის კარიერაში, როცა 17 წლის ვუნდერკინდს უხმეს საბჭოთა ნაკრებში, ხოლო ის მედალი - პირველი ჯილდო, ანუ სწორედ იქიდან დაიწყო მისი ფანტასტიკური კარიერა. საბჭოელებისთვის ესეც პირველი შემთხვევა იყო, როცა სამივე საპრიზო ადგილი მათ მოიპოვეს.

ქველიაშვილის წლევანდელი მემორიალი ახალი წესებით ჩატარდა - შეიკვეცა სროლისთვის განკუთვნილი დრო. ამიერიდან ვაჟები 60 გასროლას 1.45 წუთის ნაცვლად 1.15-ს დაუთმობენ, ქალებმა კი 40 ტყვია 1.15-ის მაგივრად 50 წუთში უნდა გაისროლონ.

ახალმა წესებმა ჩვენს შეჯიბრებას თავისი დაღი დაასვა. განსაკუთრებით - ახალგაზრდებში, სადაც დაბალი შედეგებია. სამაგიეროდ, ცვლილება წამალივით მოუხდა სალუქვაძეს, რომელიც სწრაფ სროლებში ადრეც წყალში მოხვედრილი თევზივით გრძნობდა თავს. ნიჭისა და გამოცდილების ხარჯზე მან ახალ წესებს ალლო იოლად აუღო და საკვალიფიკაციოში საუკეთესო მაჩვენებლით გაიმარჯვა - 385 ქულა. აღსანიშნავია, რომ წლეულს მას ამ დისტანციაზე ასეთი შედეგი არ უჩვენებია. სალუქვაძემ ფინალშიც ყველაზე კარგად ისროლა - 99.6 და ჯამური 484,6 ქულით ჩემპიონიც გახდა. მეორეზე აზერბაიჯანელი მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **ირადა აშუმოვა** გავიდა - 379+99.2 და 478,2 ქულა ჯამში. მესამე ადგილი შესარჩევში დამატებითი მაჩვენებლებით გამოვლინდა - ჯანავამ და და თბილისელმა **თამილა ასათიანმა** 371-371 ქულა დააგროვეს, მაგრამ ბოლო სერიაში სტუმარს უკეთესი შედეგი ჰქონდა და მესამეობაც მას ერგო. ფინალში უფრო წარმატებით უკრაინელ-მალაიზიელმა ისროლა - 95.9, ჯამში 466.9 და როგორც მერე გაირკვა, ბრინჯაოც მოიპოვა, რადგან ასათიანმა მხოლოდ 93.4 ქულა დააგროვა და საბოლოო მაჩვენებელი 464.4 გამოუვიდა, რითაც მეოთხეზე დარჩა.

ვაჟებში წლეულსაც გაგრძელდა აზერბაიჯანელთა უპირატესობა და ოქრო-ვერცხლი მათ მოიპოვეს. ჩემპიონი ამჯერადაც **რუსლან ლიუნიოვი** გახდა 673,5 ქულით, მეორეზე კი **რასულ მამადოვი** გავიდა 669,9-ით. თუმცა შესარჩევში მამადოვმა ერთი ქულით აჯობა თანაგუნდელს - 575 ქულა ჰქონდა, მაგრამ ლიუნიოვმა ფინალში უკეთ ისროლა და საბოლოო შედეგითაც აჯობა. აქ სტუმრებმა მასპინძლებს მხოლოდ ბრინჯაოს მედალი დაუტოვეს, რომელსაც **ბესიკ სირაძე** (სკა) დაეუფლა 654.3 ქულით.

ახალგაზრდა გოგოებში ჩვენების უპირატესობა აშკარა და იყო სამივე მედალი მათ მოიპოვეს, თუმცა არასახარბიელო შედეგებით. ოქრო სალუქვაძის ტირის აღზრდილმა **მარიამ მალრაძემ** მოიპოვა 361 ქულით. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა მეორე ადგილისთვის - სალუქვაძის ტირის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, **ანი გაგილაძემ** და 13 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** 359-359 დააგროვეს, მაგრამ ბოლო სერიაში გაგილაძეს 92 ქულა ჰქონდა, კილაძეს - 86 და ამიტომ ვერცხლის მედალიც თბილისელს დარჩა, ქუთაისელი კი მესამეზე გავიდა.

20-წლამდელ ვაჟთა შორის ქუთაისელმა მსროლელმა იმარჯვა - **გიორგი რამიშვილმა** 549 ქულა დააგროვა და ორით აჯობა მეორეზე გასულ აზერბაიჯანელ **ურფან ახუნდოვს**, ბრინჯაოს კი 545-იანი **ივა ჭანკვეტაძე** (სალუქვაძის ტირი) დაეუფლა.

მედალოსნებს დიპლომები და სიგელები, ჩემპიონებს კი დამატებით თასებიც გადაეცათ. ისინი შოთა ქველიაშვილის შვილმა **გიორგი ქველიაშვილმა** დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ აშუმოვას და ჯანავას გავესაუბრეთ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს ტურნირის გამო, თუმცა იქვე სახელმწიფოს მხრიდან სპორტის ამ სახეობისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა ისურვეს, რათა უფრო მაღალი დონის შეჯიბრებების მასპინძლობა შევძლოთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ აზერბაიჯანელებიც და აზიელიც 26 ნოემბრამდე თბილისში დარჩებიან შეკრებაზე, ანუ აქედან იწყებენ მომავალი სეზონისთვის მზადებას.

**იშვარი ჯანავა:** *„ძალიან გამიხარდა, როცა ადრე ნინო სალუქვაძემ მომიწვია ამ ტურნირზე. ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ და საქართველოშიც ვარ ნამყოფი, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სოხუმში ჩავდიოდი შეკრებაზე, მაგრამ თბილისში პირველად ვარ. აშუმოვაც სულ მეუბნებოდა, რომ აქ კარგი ტურნირი ტარდება და ამიტომ გადავწყვიტე ჩამოსვლა. ტირი კარგია, აქ მეგობრული, ოჯახური ატმოსფეროა. თუ ხელისუფლება დაეხმარება, კარგი იქნება. აქ კიდევ გაიზრდებიან ცნობილი სპორტსმენები. მით უფრო, ტრადიცია გაქვთ და მწვრთნელად ვახტანგ სალუქვაძე გყავთ“.*

*ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ, რადგან ნახევარი წელიწადი არ მივარჯიშია. ძალიან მიხარია, აქ რომ ვარ“.*

**ირადა აშუმოვა:** *„შოთა ქველიაშვილი უდიდესი მსროლელი იყო, სპორტსმენმა კი სპორტსმენს პატივი უნდა სცეს. ჩვენც აქ მისდამი პატივისცემის გამოსახატავად ჩამოვდივართ. მეორე მიზეზი ისაა, რომ მეზობლები ვართ, ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. მესამე მიზეზი ისაა, რომ იანვარში საერთაშორისო ტურნირია, თებერვალში - ევროპის ჩემპიონატი და აქედანვე ვიწყებთ მზადებას ახალი სეზონისთვის. ამასთან, გვინდა ახალგაზრდების გამოცდა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ნინო სალუქვაძესთან ამდენი წლის მეგობრობა მაკავშირებს. ის 17 წლის იყო, როცა პირველად ვნახეთ და მაშინ 400-დან 395 ქულა დააგროვა. მხოლოდ 5 ქულა დაკარგა და ამ პატარა გოგომ თვალები დაგვაჭყეტინა. ასეთ სპორტსმენთან კონკურენცია კარგია და ამიტომაც ჩამოვდივართ.*

*ვიცი, რომ მალე თქვენთან ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. კარგი იქნება, ელექტროფარებს თუ შეიძენს. რაც აქაა, არც ეს ინვენტარია ცუდი, მაგრამ ახლა მთელი მსოფლიო იმით ისვრის. ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს სერბეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან სურს აქ ჩამოსვლა და კიდეც ჩამოვლენ. ის ფარები თუ იქნება, 2-3 დღით ნებისმიერ საკალათბურთო არენას დაიქირავებ და ბევრად ძლიერ ტურნირს ჩაატარებ, საამისოდ ახალი ტირის აგება არაა საჭირო“.*

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ამ ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა დღეს გაიმართება სპორტის სამინისტროში და ახალ პრეზიდენტსაც აირჩევენ. კანდიდატი ერთია - **კახა ბექაური**.

**ირაკლი თავაძე**

ნიჩბოსნობა. ყრილობა

# ძმური გაყრა და აურზაური

ხმაურითა და აყალმაყალით დაიწყო გუშინ მცხეთის სპორტულ ბაზაზე საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის ყრილობა. ახალგაზრდა კაცი (როგორც შემდეგ გავარკვიე, ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **რომან ვაჩეიშვილი**) არჩევნებს ფარული კენჭისყრით მოითხოვდა. ფედერაციის იურისტმა აუხსნა, რომ მისი მოთხოვნა სამართლიანი იყო, ოღონდ დელეგატებს უნდა აერჩიათ, ხმის მიცემის პროცედურა როგორი იქნებოდა. გადაწყდა, რომ კენჭისყრა ფარულად ჩატარდებოდა, ბატონი ნოდარიც დაშოშმინდა და ყრილობაც დაიწყო.

უპირველესად ფედერაციის წესდებაში შეიტანეს ცვლილებები და მხარი დაუჭირეს ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თხოვნას: რეორგანიზაციის საფუძველზე კანოეს ფედერაცია აკადემიურ ნიჩბოსნობას გამოეყო და ორივე უწყებამ საარჩევნო ყრილობა ცალ-ცალკე ჩაატარა.

ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა** დელეგატებს ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები გააცნო. ილაპარაკა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, კანოესა და ბაიდარაში მიღწეულ წარმატებებზე. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება გაპარტახებულ ბაზებსა და მწირ დაფინანსებაზე გაამახვილა. შედეგების განხილვისა და ფედერაციის საქმიანობის დამაკმაყოფილებლად შეფასების შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატები - რომან ვაჩეიშვილი და **ბეჟან ხურციძე** ყრილობაზე თავიანთი პროგრამებით წარდგნენ. ფარული კენჭისყრის შედეგად ბეჟან ხუციძემ ორი ხმით აჯობა (10:8) ახალგაზრდა კონკურენტს და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში აკადემიურ ნიჩბოსნობას ის უხელმძღვანელებს. ვიცე-პრეზიდენტად **ჯიბილო გოგლიჩიძე**, გენერალურ მდივნად კი **ვიტალი გრძელიშვილი** აირჩიეს. კენჭისყრის შედეგებმა ხურციძის კონკურენტი ძალიან გაანაწყენა.






მარცხნიდან: ბეჟან ხურციძე, ჯიბილო გოგლიჩიძე და ვიტალი გრძელიშვილი

*„18 წელიწადია, საქართველოში ნიჩბოსნობის გასავითარებლად არაფერი გაკეთებულა, ბაზები გაპარტახდა, სპორტსმენები, რომლებსაც წვრთნის ელემენტარული პირობებიც არა აქვთ, 30 წლის წინანდელი ნავებით ვარჯიშობენ. როგორ შეიძლება მათ შედეგები მოთხოვო. მეც 10 წელიწადი ვიყავი ნიჩბოსანი, მაგრამ პერსპექტივა რომ ვერ დავინახე, დიდ სპორტს ჩამოვშორდი. ახლა ჩემს გუნდთან ერთად მინდოდა სპორტის ამ სახეობას შევშველებოდი, საამისოდ კონკრეტული გეგმაც შევადგინე, მაგრამ 10-მა დელეგატმა უძრაობას დაუჭირა მხარი. ხმამაღლა ვიტყვი - ისინი ნიჩბოსნობის მტრები არიან, სიახლის ეშინიათ, ნიჩბოსნობის ბედი არ ანაღვლებთ, საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან. მე და ჩემი გუნდი ამ მარცხს არ შევურიგდებით, ვიბრძოლებთ და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ საქართველოში სპორტის ეს სახეობა ავაყვავოთ“*, - გვითხრა ნოდარ ვაჩეიშვილმა.

**ბეჟან ხურციძე:** „მე ვერ დავეთანხმები ჩემს ოპონენტს იმაში, რომ არაფერი გაგვიკეთებია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩვენი 19 წლის კანოისტი ზაზა ნადირაძე ევროპის ჩემპიონატზე მერვე იყო და ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებამდე მცირედი დააკლდა. წელიწადში ორჯერ საქართველოს საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატებს ვმართავდით და ამ შეჯიბრებებზე ჩვენს მეზობლებს - სომეხ და აზერბაიჯანელ სპორტსმენებს ვიწვევდით საასპარეზოდ. მეტისთვის, ასე ვთქვათ, საბანი არ გვწვდებოდა. ერთ დროს თუ ბიუჯეტში 100.000 ლარი გვქონდა, წინა მთავრობამ ეს თანხა 15 ათას ლარამდე დაგვიყვანა. ამ ფულით კი ოთხი სახეობისთვის როგორ უნდა მოგვევლო?! არადა, ამ დროს ტაეკვანდოს ფედერაციას, რომელსაც გიორგი ბარამიძე მფარველობდა, ყოველწლიურად 150 ათასი ლარი ჰქონდა. პარლამენტარობის მიუხედავად, ბაზები გასხვისება-გაჩუქება-განადგურებისგან ვერ დავიცავი. მცხეთაში ოთხი ობიექტი გვქონდა: ერთი მტკვარმა წაიღო, ერთი გასხვისდა, ორიც მცხეთის განვითარების პროექტმა შეიწირა. მათ ნაცვლად სამსართულიანი ბაზა უნდა აეშენებინათ მტკვრის სანაპიროზე, მაგრამ ეძვირათ და ორ სართულამდე დაიყვანეს და ისიც არ არის ბოლომდე მიყვანილი, ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანის მთავრობამ ნიჩბოსნებს მინგეჩაურში 42-მილიონიანი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ბაზა აუშენა.

ალბათ, ჩვენმა ოპონენტმა ისიც იცის, რომ უწინდელმა მთავრობამ თბილისში მტკვრის სანაპიროზე ბაზა დაგვინგრია და მის ადგილას იუსტიციის სამინისტროს შენობა ააშენა. ჩვენც ვიცით, რომ ფოთში საბჭოთა პერიოდში შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე 1000-1200 სპორტსმენი ჩამოდიოდა სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ხშირად უცხოეთიდანაც, რადგან კარგი ბუნებრივი პირობებია, თან მძიმე წყალია და იქ ნავარჯიშები სპორტსმენები ევროპულ სარბიელზე კარგ შედეგებს უჩვენებდნენ. უცხოელთა ჩამოსვლა და ერთობლივი წვრთნები ჩვენი ნიჩბოსნების დაოსტატებასაც უწყობდა ხელს და ქვეყანას კარგი შემოსავალიც ჰქონდა. ახლა ფოთში სპორტსმენებს ერთი ვაგონილა შერჩათ, რომელსაც გასახდელად იყენებენ. საერთაშორისო ფედერაციის გულისხმიერებაზეც მინდა ვთქვა: მას რომ ჩვენთვის ექვსი ძვირადღირებული ნავი არ ეჩუქებინა, უარესადაც გვექნებოდა საქმე. თუ არ იქნება ბაზა, ინვენტარი და მასობრიობა, ცხადია, შედეგებიც ყოველთვის მწირი იქნება. ვიმედოვნებ, რომ ახალი მთავრობა სპორტს მეტ ყურადღებას დაუთმობს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს სპეციალური სახსრები ექნებათ სპორტული ბაზების კეთილმოსაწყობად, მაშინ ფედერაციებსაც გაგვიადვილდება მუშაობა“.

საქმიან და მშვიდ ვითარებაში ჩაიარა სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში კანოეს ეროვნული ფედერაციის ყრილობამ, სადაც დამსწრეთ საკუთარი პროგრამა წარუდგინა პრეზიდენტობის კანდიდატმა **დავით ქაცარავამ.** მომხსენებელმა დელეგატებს აუწყა, რომ ფედერაცია ლისის ტბაზე თიბისი ბანკის დახმარებით ახალ ბაზას აშენებს, ერთ-ერთმა კომპანიამ უკვე გამოუშვა ქართული წარმოების ნავი, რომელიც, მართალია, ხარისხით მსოფლიო ანალოგს ჩამოუვარდება, მაგრამ სამ-ოთხჯერ იაფი ჯდება და სავარჯიშოდ უფრო კომფორტულია, ვიდრე ის ნავები, რომლებსაც ამჟამად იყენებენ. ითქვა ისიც, რომ გლდანში „თეთრ ტბაზეც“ აშენდება ახალი სანიჩბოსნო ბაზა.

ყრილობის დელეგატებმა მოიწონეს დავით ქაცარავას პროგრამა და მას კანოეს ფედერაციის თავკაცობა 4 წლით ანდეს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებად **ბორის მხეიძე, რეი გაეტანო** (რუსეთი), **ტიმ მაიერი** (გერმანია), **მაურო პიკოლო** (იტალია), გენერალურ მდივნად კი **არჩილ ჯაკობია** აირჩიეს.

**ვაჟა დანელია**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ჭადრაკი

# ჩემპიონატს ოქტეტი შემორჩა

უკვე გაუწყეთ, რომ თბილისელმა დიდოსტატმა **ლელა ჯავახიშვილმა** ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით განვლო ორი წრე და მერვედფინალში გავიდა. იქ ინდოელ ჰარიკა დრონავალისთან დაპირისპირებისას პირველ ტურში თეთრებით დებიუტშივე მიიღო პოზიციური უპირატესობა, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძლო მისი რეალიზება. 31-ე სვლაზე, როცა ინიციატივა ჯერ კიდევ ჩვენებურის მხარეს იყო და, ქიშის გარდა, სხვა საფრთხე არ ემუქრებოდა, მეტოქის წინადადებით ზავს მოაწერა ხელი.



ჰარიკა დრონავალი (მარცხნივ) და ლელა ჯავახიშვილი

განმეორებით შეხვედრაში შავი ფიგურებით ჯავახიშვილმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა და 47-ე სვლაზე დანებდა აზიელს, რითაც ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ორდღიანი პაექრობების შემდეგ დანარჩენი შვიდი შეხვედრა ასე დამთავრდა: მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) ჰოუ იფანის მძლეველი მონიკა სოჩკო (პოლონეთი) დაამარცხა, ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა და მისი და - ნადეჟდა ორივე პარტიაში დაზავდნენ, 2000 წლის ევროპის ჩემპიონმა ნატალია ჟუკოვამ (უკრაინა) მეორე ტურში თეთრებით აჯობა ცზიუ ვენძიუნს (ჩინეთი) და წონასწორობა აღადგინა; ნატალია პოგონინა (რუსეთი) - ანა უშენინა (უკრაინა) 0,5:1,5, ჟაო სიუ (ჩინეთი) - მარია მუზიჩუკი (უკრაინა) 1,5:0,5, ირინა კრუში (აშშ) - ჰუან ძიანი (ჩინეთი) 1:1, მარი სებაგი (საფრანგეთი) - ალისა გალიამოვა (რუსეთი) 2:0. გუშინ ტაი ბრეიკებში ვენძიუნმა ჟუკოვას სძლია 1,5:0,5, ძიანმა ასეთივე ანგარიშით კრუშს აჯობა, ხოლო ნადეჟდა კოსინცევამ და - ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა ჩამოიშორა გზიდან 2,5:1,5.

ამდენად, მეოთხედფინალში ითამაშებენ: სტეფანოვა-სებაგი, ჟაო სიუ-დრონავალი, ვენძიუნი-ძიანი, უშენინა-კოსინცევა.

**ვაჟა დანელია**

იუბილარი

# ხელბურთის ქართველი გარინჩა

## იმედო ფხაკაძე

### დოსიე

დაიბადა 1942 წლის 20 ნოემბერს თბილისის „ბურევესტნიკში“ თამაშობდა 1961-73 წლებში.

ამპლუა:

მარჯვენა ფრთა.

პირველ სამ ჩემპიონატში გაიტანა 12, 20 და 39 გოლი.

სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 68 მატჩი, გაიტანა 93 გოლი.

ორჯერ (1967, 1970 წლებში) მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატებში.

მსოფლიოს 1968 წლის ჩემპიონი სტუდენტთა შორის.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით.



ხელბურთში მივიდა ჭიდაობიდან 1960 წელს: „მაშინ თავისუფალს ვჭიდაობდი. ბევრ შეჯიბრებაში მოვასწარი გამოსვლა - ორჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი, ხოლო 1959 წელს, შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაც მოვიგე. ერთი სიტყვით, „გაქანებული“ მოჭიდავე ვიყავი. ჩვენი, მე-10 სკოლის გუნდი გადიოდა ხელბურთში თბილისის პირველობაზე და ბიჭების თხოვნით დავთანხმდი თამაშზე. ძალიან მომეწონა, რაც მთავარია, სპორტის კოლექტიურმა სახეობამ გადამძალა და საბოლოო გადაწყვეტილებაც მიმალებინა. თითქმის მთელი ჩვენი მე-11 კლასი ცნობილ მწვრთნელთან ვლადიმერ არაქელოვთან აღმოჩნდა“.

უკვე მომდევნო წელს იმედო „ბურევესტნიკში“ აიყვანეს, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და სსრკ ნაკრების წევრიც. მის ორიგინალურ და სუპერეფექტურ სტილს, როცა მარჯვენა კუთხიდან შემხტარს ვარდნაში, ლამის იატაკზე გაწოლილს, ულამაზესი გოლები გაჰქონდა, აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. სწორედ ამ ტექნიკურ-ეფექტური მანერის გამო, 1964 წლის ჩემპიონატისას, მოსკოველმა მაყურებლებმა ფხაკაძეს „ხელბურთის გარინჩა“ შეარქვეს.

1962 წლის ჩემპიონ „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში „ლუტი“ (ფხაკაძის მეტსახელია) ყველაზე ახალგაზრდა იყო - მხოლოდ 19 წლისა. თამაშში მისი ყველაზე „სასურველი“ პარტნიორი „ხაზელი“ ანზორ ექსეულიძე გახლდათ, ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ, ერთი გადახედვით უგებდნენ. მაშინდელი პრესის თქმით, „კაუნასელ ხელბურთელებთან გადამწყვეტ შეხვედრაში „ატლეტასის“ დაცვა ძალიან შეწუხებული იყო იმედო ფხაკაძის ფლანგური შეტევებისგან. მის სწრაფ და მოულოდნელ გარღვევებს დეზორგანიზაცია შეჰქონდა მოწინააღმდეგის რიგებში“.

მეორე, 1964 წლის „ოქროს“ ჩემპიონატში ფხაკაძემ კუთხის მოთამაშისთვის სწორედ რომ სარეკორდო შედეგიანობა აჩვენა - 39 ბურთი გაიტანა და გუნდში მხოლოდ უმთავრეს გოლეადორ **ჯემალ ცერცვაძეს** ჩამორჩა.

#### მილოცვა

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია საიუბილეო თარილს, დაბადების 70 წელს ულოცავს ვეტერან ხელბურთელს, ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ბრწყინვალე პიროვნებას **იმედო ფხაკაძეს.**

*„ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი, რა თქმა უნდა, პირველი ჩემპიონობაა. „ატლეტასთან“ მთელი მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ კარგახანს მასპინძლები იყვნენ წინ, მშვენივრად ჩავატარეთ და ერთხელაც არ გამჩენია ეჭვი, რომ წავაგებდით. მაგრამ ერთი უსიამოვნებაც მახსენდება მუდამ. ესაა 1965 წელს ზაგრების „მედვეშჩაკთან“ ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში კენჭისყრით, მსაჯის მიერ „ბურევესტნიკისთვის“ უილბლოდ აგდებული მონეტით დამარცხება. ნეტავ იუგოსლაველებთან საპასუხო თამაშის იმ უკანასკნელ წუთზე ბურთი ჩემთვის მოეცათ-მეთქი, ტრიბუნებამდე გავიქცეოდი და დროს გავიყვანდი. ესაა ყველაზე გულდასაწყვეტი გასახსენებელი, რადგან ბოლო წამებზე სულელური შეცდომის მიზეზით გოლი რომ არ გაგვეშვა, განაღდებული გვქონდა ნახევარფინალში გასვლა და ჩვენთვის საბედისწერო „არიოლ-რეშკა“ საჭირო აღარ გახდებოდა“.*

საბედნიეროდ, ბატონ იმედოს სასიამოვნო მოსაგონარი გაცილებით მეტი აქვს. საკავშირო ჩემპიონის ორი ოქროს მედლის გარდა მის მდიდარ ოქრო-ვერცხლიან კოლექციაში სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონის მედალიცაა, რომელიც 1968 წელს მოიპოვა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში თანაბურევესტნიკელ მეკარე **ალექსანდრე ხუციშვილთან** ერთად. ფხაკაძე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ყოველ თამაშს სასტარტო შვიდეულში იწყებდა და შედეგიანობაც საკმაოდ მაღალი ჰქონდა. „ქართველმა გარინჩამ“ ექვსივე მატჩში თითქმის პირველიდან ბოლო წუთამდე დაჰყო მოედანზე და ბევრი გოლიც მიითვალა.

ჩემპიონობის მოპოვებისთვის ნაკრების წამყვან მოთამაშეებს, მათ შორის ორივე ქართველ ხელბურთელს „საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის“ წოდება მიენიჭათ.

ხელბურთის შემდეგ ისევ ხელბურთი იყო. 1974-78 წლებში იმედო ფხაკაძე „ბურევესტნიკის“ უფროს მწვრთნელად მუშაობდა. 1975 წელს ეროვნული ნაკრების სახელით მოასპარეზე თბილისის „ბურევესტნიკმა“ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე 17 გუნდს შორის მაღალი, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, რისთვისაც ახალგაზრდა ნიამძლოლმა „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიიღო.

ისიცაა სათქმელი, რომ 1978 წლის საკავშირო ჩემპიონატში, როცა რამდენიმე ხელბურთელი ჯარში გაიწვიეს, და „ბურევესტნიკს“ მაგრად გაუჭირდა, 36 წლის ფხაკაძემ მოთამაშე-მწვრთნელის რანგში ლიტვის ქალაქ ალიტუსში ერთი სრული, ხუთმატჩიანი ტური ჩაატარა გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

ბატონი იმედო შემდეგ რამდენიმე წელი აფრიკაში მალის ნაკრებს წვრთნიდა. სამშობლოში დაბრუნებული, საქართველოს სპორტკომიტეტში სამმართველოს უფროსად დანიშნეს. შემდგომში განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის დირექტორია. 2007-08 წლებში იყო საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

1990-91 წლებში უკვე ნახევარ საუკუნეს მიტანებულმა ფხაკაძემ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში.

ბატონი იმედო ახლაც „ფორმაშია“. მისი ჰობია - საერთოდ თამაშები: *„მიყვარს ყველანაირი თამაში - ჭადრაკი, ფეხბურთი, ბანქო, ჩოგბურთი... საერ-* [illegible] *უმოძრაო ხდება და წონაშიც ბლომად იმატებს“.*

ისევ ძველ ამბებს დავუბრუნდეთ. „ლუტი“ ჭადრაკს კარგად თამაშობდა და ხანდახან უგებდა კიდეც „ბურევესტნიკის“ საუკეთესო მოჭადრაკე „ფარჩოს“. მაგრამ ბუნებით მეტად აზარტულ იმედოს ეს ცხადია, არ აკმაყოფილებდა. ამიტომ სპეციალური ლიტერატურა შეიძინა, ოფლის ღვრამდე ივარჯიშა და იმდენი ქნა, რომ სპორტული თანრიგის დონემდე აითვისა ბრძნული თამაში და რამდენიმე ხანში გუნდის პირველი მოჭადრაკეც გახდა, შემდეგ ფეხბურთსაც ისეთივე აზარტით „შეუტია“ და მალე გაუტოლდა უძლიერეს ხელბურთელ-ფეხბურთელებს.

ერთი სიტყვით, „მარად ახალგაზრდა“ ფხაკაძის კრედოა - სპორტი მთელი ცხოვრების მანძილზე, რის უტყუარი დასტურიცაა დღესაც მისი ჩინებული „სპორტული ფორმა“.

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია**

®



სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

# ტოჩინოშინი დაქვეითდება



ძალიან წარუმატებელი გამოდგა წლის უკანასკნელი ბაშო მე-3 მაეგაშირა **ტოჩინოშინისათვის (ლევან გორგაძე)**. გუშინ ქართველმა ოძეკი **კაკურიუსგან** გადამწყვეტი, მე-8 მარცხი იგემა და ახლა ვერაფრით გამოასწორებს სიტუაციას. სამაგიეროდ, ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, მან **ჩიონოკუნის** აჯობა და კიუშუს ბაშოზე პირველად გაუხდა დადებითი ბალანსი.

ნოემბრის ბაშოს უკვე ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს, მხოლოდ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** მოახერხა ცხრავე ორთაბრძოლის მოგება.

#### VIII დღე

**(მნიშვნელოვანი წყვილები)**: ჰაკუჰო-მიოგირიუ (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (იორიკირი), კაკურიუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კისენოსატო-აოიამა (უბრძოლველად), კოტოშოგიკუ-შოჰოზანი (იორიკირი), კოტოოშუ-ჰომაშო (კოტენაგე), ამინიშიკი-ოკინოუმი (უჩარი), ტოჩიოძანი-ტოიოჰიბიკი (იორიტაოში), კაისეი-დაიდო (იორიკირი), **გაგამარუ**-ჩიონოკუნი (ცუკიდაში).

#### სატურნირო მდგომარეობა

**9-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**8-1:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), გოეიდო (სეკივაკე), ტოიონოშიმა (მაეგაშირა 6)... **5-4: გაგამარუ** (მ 7)... **1-8: ტოჩინოშინი** (მ 3).

#### IX დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები)**: ჰაკუჰო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კისენოსატო-კოტოოშუ, კოტოშოგიკუ-მასუნოიამა, კაკურიუ-ტაკეკაძე, მიოგირიუ-შოჰოზანი, ამინიშიკი-ჰომაშო, ოკინოუმი-ტოჩიოძანი, **ტოჩინოშინი**-დაიდო, **გაგამარუ**-იოშიაზუმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პრეზიდენტის თასი

# ყაზახური ბრინჯაო

ასტანაში დამთავრდა „ყაზახეთის პრეზიდენტის თასის გათამაშება“ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მასში საქართველოს ნაკრები სრული გუნდით გამოდიოდა - **ბეგი დარჩიამ** ოლიმპიური გუნდის ყველა წევრს უხმო, რომელთათვისაც ეს პირველი პოსტოლიმპიური შეჯიბრება იყო. სამწუხაროდ, სიძლიერე შედეგში არ აისახა და ჩვენები ყაზახეთიდან ერთი მედლით ბრუნდებიან - მძიმე წონაში **სერგო გოგისვანიძე** მესამეზე გავიდა. მასავით 1500 დოლარის პრემიად მიღება შეეძლო ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **რევაზ ნადარეიშვილსაც** (84), რომელმაც ასევე ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ მასპინძელ **ალხაზურ ოზდიევთან** დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ანტალიასა და ციმბირში

ქართველ ჩოგბურთელთა უმრავლესობას „გამოსასვლელი“ დღეები აქვს, თუმცა ორი ჩვენებური ამ კვირას თურქეთსა და ციმბირში მოსინჯავს ძალებს. ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ძირითად ბადეში **ნათია გეგია** იასპარეზებს. პირველ წრეში იგი მე-7 ნომრად განთესილ ამინათ კუშხოვას შეხვდება. გუშინ მან წყვილებში ესპანელ ოლგა პერესთან ერთად ჯულია ბრუზონეს (იტალია) და ნურია პარიზას-დიასის (ესპანეთი) დუეტთან სამ სეტში 4:6, 6:4, 8:10 წააგო.

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ტიუმენში დღეიდან „ციმბირის თასზე“ (საპრიზო ფონდი 35.000 დოლარი) ითამაშებს. სტარტზე იური შჩუკინს (ყაზახეთი) დაუპირისპირდება. ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგში 316-ეა, შჩუკინი - 465-ე. წარმატების შემთხვევაში ბასილაშვილი მეორე წრეში მე-5 ნომერ ილია მარჩენკოს (უკრაინა) და და სერგეი ბეტოვს (ბელარუსი) შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ლეგიონის კვირა

# ცქიტიშვილის გადამწყვეტი

იტალიის ჩემპიონატში ტყუპებივით არიან **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" და **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი". მათ მორიგი მატჩები მოიგეს და ახლა „დინამოსთან" ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ. სამივე გუნდს 6-6 მოგება და 2-2 წაგება აქვს.

მარკოიშვილმა სტუმრად „სკავოლინის" ძლევაში 16-ქულიანი წვლილი შეიტანა. მაღალი შედეგიანობით ისროლა სამქულიანები - 6-დან 4 ჩააგდო. მანუჩარზე მეტი მხოლოდ მისმა თანაგუნდელმა ჯონათან ტაბუმ მოაგროვა - 19 ქულა.

„კასერტასთან" სტუმრად გამართულ მატჩში სასტარტო ხუთეულში იყო ვიქტორ სანიკიძე, რომელსაც არც ორქულიანი აუცილებია და არც საჯარიმო - 4 ორქულიანი და 2 საჯარიმო ისროლა. საბოლოოდ 10 ქულა და 4 მოხსნა ჩაიწერა.

ევროლიგაზე კი, მანუსა და ვიქტორის გუნდებმა სხვადასხვაგვარი შედეგი უჩვენეს - „კანტუმ" სტუმრად სლოვენიის „ოლიმპიასთან" დათმო, ხოლო „მონტეპასკიმ" გასვლითი შეხვედრა მოუგო გერმანულ „ალბას". გაცილებით უკეთეს პოზიციაშია სიენური გრანდი, თუმცა, მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს „კანტუსაც". ამისთვის აუცილებელია 23 ნოემბერს შინ ბერძნული „პანათინაიკოსი" დაამარცხოს. ამავე დღეს „მონტეპასკი" გიორგი შერმადინის „მაქაბის" უმასპინძლებს.

■ ■ ■

მაქაბელებმა ისრაელის ჩემპიონატში ოთხმოგებიანი ეილათის „ჰაპოელთან" სტუმრად ითამაშეს და 79:68 გაიმარჯვეს. გიორგი შერმადინს არ უთამაშია, განაცხადში არ იყო. ამის მიზეზი ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტია. მწვრთნელი, **დევიდ ბლატი** იძულებულია ყოველ ტურში თითო უცხოელი დაასვენოს. სწორედ „ჰაპოელთან" მატჩში დადგა გიორგი შერმადინის ჯერი.

ამავე ლიგაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯეიკობ პულენის „ჰაპოელი" და „ჰაპოელ ჰოლონი". მატჩი საქართველოს ნაკრების უკანახაზელის გუნდის გამარჯვებით დასრულდა - 76:68. შეგახსენებთ, რომ ჰოლონელები ევროჩელენჯზე ქართული „არმიას" ჯგუფში არიან.

ისრაელის პირველობას 5 მოგებით (6 მატჩიდან) თელ-ავივის „მაქაბი" ლიდერობს, „ჰაპოელ ჰოლონსა" და პულენის გუნდს 3-3 მოგება წაგება აქვთ და მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფენ.

■ ■ ■

ირანის ჩემპიონატში **ნიკა ცქიტიშვილმა** საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა. ბოლო ტურში ცქიტოს „მაჰანი" მის ყოფილ კლუბ „მაჰრამს" შეხვდა. შეგახსენებთ, რომ მაჰრამელებთან ერთად გასულ სეზონში ცქიტიშვილმა სპარსეთის ჩემპიონობა მოიპოვა. პირველადგილოსნებთან „მაჰანის" შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებული ბოლო წამზე გამოვლინდა. შეხვედრის ბედის გადაწყვეტა ნიკა ცქიტიშვილმა ითავა, რომელმაც ბოლო ტყორცნა ზუსტად შეასრულა და „მაჰანს" 66:64 მოაგებინა.

ქართველმა თავდამსხმელმა 30 წუთში 17 ქულა მიითვალა, 6-დან 4 ორქულიანი და 5-დან 2 სამიანი ჩააგდო, რასაც 3 საჯარიმო მიამატა.








პრეზენტაცია

# საზოგადოება ქართული კალათბურთი ფედერაციას უპირისპირდება

**გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" გაიმართა პრეზენტაცია საზოგადოება „ქართული კალათბურთის" დაფუძნებასთან დაკავშირებით. ისაუბრეს ორგანიზაციის წევრებმა, მიხეილ ახვლედიანმა, გიორგი მარკოიშვილმა, ნუგზარ ჭეიშვილმა და ლევან მიქელაძემ.**

შეხვედრა ყოფილმა კალათბურთელმა **გიორგი მარკოიშვილმა** გახსნა და წარმოგვიდგინა ორგანიზაციის ხელმძღვანელი **მიხეილ ახვლედიანი,** რომელმაც აღნიშნა:

- დღეს ჩვენს მსჯელობას ვერ გავშლით, ვილაპარაკებთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდებაზე, რომელიც არ არის თანხვედრაში როგორც საქართველოს სპორტის შესახებ კანონთან, ასევე ფიბა-ს წესდებასთან, ფიბა-ს ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოსთან და ზოგადად, არჩევნების ჩატარების დემოკრატიულ პრინციპებთან. მაგალითად, ხვალ, მაიკლ ჯორდანს, რომ მოუნდეს ფედერაციის პრეზიდენტობა, დამარცხდება. ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა კერძო პირია. ისინი შეიძლება იყვნენ მეგობრები, ან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ლოიალური დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი. გადავხედოთ სხვა ფედერაციებს, რაგბში, ფეხბურთში, ჩოგბურთში ყველა დელეგატი იურიდიული პირია. ვაპირებთ წერილის გაგზავნას, როგორც ფიბა-ში, ასევე საქართველოს სპორტის სამინისტროში და დაველოდებით კონკრეტულ პასუხს.

მიხეილ ახვლედიანმა ისიც დასძინა, რომ ორგანიზაცია „ქართული კალათბურთი" შექმნის ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის არჩევნებში.

ფედერაციის კანონმდებლობასთან დაკავშირებით ვრცლად ილაპარაკა საზოგადოების წევრმა **ლევან მიქელაძემ.** მან აღნიშნა, რომ 2001 წლიდან 2009-მდე ყრილობის დელეგატთა რაოდენობა საგრძნობლად იცვლებოდა და დასვა კითხვა: რის საფუძველზე ახდენდა გამგეობა დელეგატთა რაოდენობის ასეთ მნიშვნელოვან რიცხობრივ ცვალებადობას?

შეხვედრაზე დიდი ყურადღება გამახვილდა ფედერაციის წესდებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა, ზოგადად, რა პროექტი აქვს ახალდაფუძნებულ საზოგადოებას კალათბურთის განვითარებასთან დაკავშირებით? პასუხი ლევან მიქელაძემ გასცა:

- პროგრამა მზადაა, გვაქვს კონკრეტული გეგმა. ოღონდ მასზე ვრცლად მას შემდეგ ვილაპარაკებთ, რაც წესდებასთან დაკავშირებით მივიღებთ სრულ პასუხს, რადგან ესაა ხერხემალი, რომლითაც ქართული კალათბურთი იმართება.

საზოგადოება „ქართული კალათბურთი" საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისადმი გაგზავნილ ღია წერილში წერს:

*„2001 წლის 16 ნოემბერს გამართულ რიგით მე-4 ყრილობის ოქმში დაფიქსირებულია — 93 დელეგატი, 2005 წლის 16 ნოემბერს რიგგარეშე მე-5 ყრილობის ოქმში — 54 დელეგატი, ხოლო 2009 წლის 11 ნოემბერს რიგით მე-6 ყრილობის ოქმში — 66 დელეგატი. რის საფუძველზე ახდენდა გამგეობა დელეგატთა რაოდენობის ასეთ მნიშვნელოვან რიცხობრივ ცვალებადობას?*

*რა კრიტერიუმებით ხდებოდა მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების მქონე „ცალკეული ფიზიკური პირების" წევრად მიღება გამგეობის მიერ და აღნიშნულია თუ არა ფიზიკური პირებისათვის დელეგატთა სტატუსის ავტომატურად მინიჭების ფაქტი?*

*მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის მიხედვით, წარადგინა თუ არა თავად არჩეულმა პრეზიდენტმა ბ-ნი ზაზა გოროზია, ბ-ნი ლევან ბეჟაშვილი და მოქმედი გამგეობის სხვა წევრები ყრილობის წინაშე კანდიდატებად? რა დამსახურებების გამო და რის საფუძველზე მოხდა მათი წარდგენა და არჩევა გამგეობის წევრებად?"*

წარმატებული მატჩი ჩაატარა სერგო ათუაშვილმაც, რომელიც ირანული „ქეშმის" ღირსებას იცავს. 224 სმ სიმაღლის ქართველმა „სეპაჰანთან" სტუმრად გამართულ მატჩში მხოლოდ 10 წამი დაისვენა და ორმაგ დუბლს გამორჩა - 16 ქულა, 11 მოხსნა. 10-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო, ასეთია სერგოს შეტევითი მაჩვენებელი.

რაც მთავარია, ათუაშვილის გარჯამ შედეგი გამოიღო და „ქეშმიმ" 89:83 გაიმარჯვა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა




| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 12.11 | NBA | პორტლენდი VS | 95:87 | 23 | 2 | 9 | 0 | 0 | 2 |
| | | 14.11 | NBA | გოლდენ სტ. VS | 88:92 | 24 | 4 | 2 | 1 | 4 | 1 |
| | | 16.11 | NBA | საკრამენტო VS | 112:96 | 34 | 7 | 7 | 4 | 1 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 13.11 | NBA | VS კლივლენდი | 114:101 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| | | 15.11 | NBA | VS ბოსტონი | 102:97 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 18.11 | NBA | VS საკრამენტო | 99:90 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 15.11 | ევროლიგა | ოლიმპია (სლოვ) VS | 81:79 | 29 | 15 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 04.11 | იტალიის ჩემპ. | პესარო VS | 66:76 | 32 | 16 | 5 | 1 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 15.11 | ევროლიგა | ალბა (გერ) VS | 73:75 | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 18.11 | იტალიის ჩემპ | VS კასერტა | 86:66 | 26 | 10 | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 15.11 | ევროლიგა | VS უნიკახა (ესპ) | 62:64 | 11 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 18.11 | ისრაელის ჩემპ. | ჰაპოელი (ეილათი) VS | 68:79 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 14.11 | ევროთასი | VS რუდუპისი (ლიტ) | 84:57 | 26 | 16 | 4 | 3 | 4 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 14.11 | ევროთასი | VS ცრვენა ზვ. (სერბ) | 93:95 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 18.11 | ესპანეთის ჩემპ. | სარაგოსა VS | 86:55 | 9 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 14.11 | ევროთასი | VS ნიმბურკი (ჩეხ) | 69:86 | 30 | 14 | 3 | 1 | 3 | 0 |
| | | 18.11 | ისრაელის ჩემპ. | ჰოლონი VS | 68:76 | 30 | 10 | 3 | 4 | 1 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მაჰანი (ირანი) | 15.11 | ირანის ჩემპ. | VS მაჰრამი | 66:64 | 30 | 17 | 3 | 1 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ქეშმი (ირანი) | 15.11 | ირანის ჩემპ. | სეპაჰანი VS | 83:89 | 40 | 16 | 11 | 3 | 2 | 3 |

ლეგიონერები

# ქართული გუნდები პოზიციებს თმობენ

**მაშინ, როცა მთელი სარაგბო ევროპა ნოემბრის ტესტებით ცხოვრობს, საფრანგეთის ელიტურ, მეორე და ფედერალ 1 დივიზიონებში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან „ბრივის" გარდა ყველამ დათმო პოზიციები, ანალოგიური მდგომარეობაა ფედერალ 1 დივიზიონშიც.**

**გოდერძი შველიძის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" მე-11 ტურში შინ დაამარცხა „კოლომიე" - 33:12. მასპინძლები უპირატესობას დასაწყისშივე დაეუფლნენ და მატჩის სადავეები ხელიდან ბოლომდე არ გაუშვიათ. ამ გამარჯვების შემდეგ „ბრივი" 34 ქულით მეორე ადგილზე დამკვიდრდა და ლიდერ „ოიონაქსს" ათი ქულით ჩამორჩება.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს, ხინჩაგიშვილი და ნატრიაშვილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოდიოდნენ.

გათამაშების ლიდერმა „ოიონაქსმა" სტუმრად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა **გურამ კავთიძის** „ლიონი" - 33:31. პირველი ტაიმი ჩვენებურის გუნდმა მინიმალური სხვაობით 14:13 მოიგო. შესვენების შემდეგ ლიონელთა უპირატესობა თანდათან იზრდებოდა და 48-ე წუთისთვის უკვე 11 ქულით დაწინაურდნენ - 24:13. სტუმრებმა მაინც შეძლეს ძალების მობილიზება, მატჩის დასკვნითი 15 წუთი შესანიშნავად ჩაატარეს და მეტოქეს გამარჯვება თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გამოგლიჯეს ხელიდან.

„ლიონს" ახლა 32 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. კავთიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო.

ლიონელებს ერთი ქულით უსწრებს და მეხუთე ადგილზეა **დავით დადუნაშვილის, გიორგი ნემსაძის, გიორგი ჩხაიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც სტუმრად შეძლო ურთულეს ბრძოლაში „ოშის" დამარცხება - 17:16. თამაში იმდენად დაძაბულ და უშელავათო ბრძოლაში წარიმართა, რომ მატჩის არბიტრმა სამ მორაგბეს წითელი ბარათი უჩვენა, ამათგან ორი ტარბელი იყო.

დადუნაშვილი მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა, ნემსაძე საქართველოს ნაკებშია გამოძახებული, ჩხაიძე ტრავმირებულია, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

„ტარბს" ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც სტუმრად წააგო „პოსთან" - 11:22.

ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს, მასზე 22 წუთით მეტი ითამაშა ნაცარაშვილმა, დათუნაშვილი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა.

**კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბიმ" სტუმრად წააგო „ნარბონთან" - 15:18. კობერიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 43-ე წუთზე შეცვალეს, მაისურაძემ და თოდუამ „ბორჯღალოსნების" რიგებში ითამაშეს, ახობაძე და თეთრაძე განაცხადში არ იყვნენ.

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი" შინ დამარცხდა მესამეადგილოსან „ლა როშელთან" - 15:19 და ახლა 11 ქულით ბოლო ადგილზეა. აშვეთიამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 51-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილი ჩვენს ეროვნულ ნაკრებში გაისარჯა.

პარიზელებს ოთხი ქულით უსწრებს და ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე", რომელმაც შინ წააგო „კარკასონთან" - 10:14. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

### II დივიზიონი

### XI ტური

**ბრივი-კოლომიე 33:12, ოში-ტარბი 16:17, მასი-ლა როშელი 15:19, ექსი-დაქსი 28:19, ბეზიე-კარკასონი 10:14, ნარბონი-ალბი 18:15, ლიონი-ოიონაქსი 31:33, პო-ორიაკი 22:11.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ოიონაქსი - 44 ქულა, 2. ბრივი - 34, 3. ლა როშელი - 33, 4. პო - 33, 5. ტარბი - 33, 6. ლიონი - 32, 7. ორიაკი - 29, 8. კარკასონი - 29, 9. ალბი - 27, 10. ოში - 25, 11. ნარბონი - 19, 12. კოლომიე - 19. 13. დაქსი - 16, 14. ექსი - 16, 15. ბეზიე - 15, 16. მასი - 11.**

### XII ტური

**ლა როშელი-პო, დაქსი-ტარბი, კოლომიე-ბეზიე, ალბი-ექსი, ოში-ნარბონი, ოიონაქსი-ბრივი, მასი-ლიონი, კარკასონი-ორიაკი.**

ფედერალ 1 დივიზიონის A ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან საუკეთესო შედეგი **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონს" აქვს, რომელიც 23 ქულით მესამე ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „ლილთან" - 21:43. მელიქიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს. იქამდე, კი 48-ე წუთზე არბიტრმა სინბინში გაუშვა, კოპალიანი განაცხადში არ იყო.

„მაკონს" ორი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა ზერო პეტრიაშვილის „ვიენი", რომელმაც სტუმრად წააგო ჯგუფის ლიდერ „ბურგ ან ბრესთან" - 15:35. პეტრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა" შინ დაამარცხა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი" - 24:16. ჯაშიტაშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს, ყუფარაძე მოედანზე 58-ე წუთიდან გამოჩნდა, გიგაური საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული.

**გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენმა" შინ მიუგო „ბობინის" და ახლა 15 ქულით მე-8 ადგილზეა. გაბელია განაცხადში არ იყო. ჯგუფის აუტსაიდერმა, გიორგი სულუაშვილის „სტრასბურმა" მორიგი მარცხი იგემა სტუმრად „დიჟონთან" - 16:40.

### A ჯგუფი

**ბურგ ან ბრესი-ვიენი 35:15, დიჟონი-სტრასბური 40:16, სენტ ეტიენი-ბობინი 22:16, მონლუსონი-შალონი 24:16, ლილი-მაკონი 43:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგ ან ბრესი - 32 ქულა, 2. ლილი - 31, 3. მაკონი - 23, 4. ვიენი - 21, 5. დიჟიონი - 19, 6. შალონი - 16, 7. ბობინი - 15, 8. სენტ ეტიენი - 15, 9. მონლუსონი - 11, 10. სტრასბური - 1.**

### IX ტური

**ბობინი-ბურგ ან ბრესი, ვიენი-დიჟონი, სტრასბური-მონლუსონი, შალონი-ლილი, მაკონი-სენტ ეტიენი.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **ბექა ურჯუკაშვილისა** და **თენგიზ გელანტიას** „ობენას" აქვს. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა **ირაკლი ნინიძის** „რომანი" - 12:11. ურჯუკაშვილმა სრულად ითამაშა, ნინიძე მოედანზე 54-ე წუთიდან გამოჩნდა, გელანტია განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურებზე იმყოფებიან **დავით კაჭარავას** „როდეზი" და **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი". „როდეზმა" შინ წააგო „ვალანს დაჟენთან" - 12:30, ხოლო შატორენარელებმა სტუმრად ვერაფერი გააწყვეს „ბლანიაკთან" - 3:35. კაჭარავამ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა, კუთარაშვილი განაცხადში არ იყო.

### B ჯგუფი

**როდეზი-ვალანს დაჟენი 12:30, ბლანიაკი-შატორენარი 35:3, ობენა-რომანი 12:11, ლავორი-ბურგუენი 17:23, აგდი-ლა სეინი 19:15.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგუენი - 33 ქულა, 2. ვალანს დაჟენი - 22, 3. აგდი - 22, 4. ლავორი - 18, 5. ობენა - 17, 6. ლა სეინი - 17, 7. ბლანიაკი - 17, 8. რომანი - 16, 9. როდეზი - 15, 10. შატორენარი - 14.**

### IX ტური

ვალანს დაჟენი-ბლანიაკი, შატორენარი-ობენა, რომანი-აგდი, ბურგუენი-როდეზი, ლა სეინი-ლავორი.

C ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვიან **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო" და **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერი". პერიგოელებმა სტუმრად მინიმალური სხვაობით დაამარცხეს „სენ ჟან დე ლუზი" - 22:21. ზიბზიბაძემ „ბორჯღალოსნების" შემადგენლობაში ითამაშა.

„სენ ნაზერმა" კი შინ მოუგო „ვანს" - 38:18. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. **ნიკოლოზ მაღალდაძის** „მარმანდი" სტუმრად ვერას გახდა ჯგუფის ლიდერ „ტიროსთან" - 6:37.

### C ჯგუფი

**სენ ჟან დე ლუზი-პერიგო 21:22, ლანჟონი-ნუარი 30:6, სენ ნაზერი-ვანი 38:18, ტიროსი-მარმანდი 37:6, სენ ჟან დანჟელი-აგეტმო 21:15.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტიროსი - 36 ქულა, 2. სენ ნაზერი - 33, 3. პერიგო - 25, 4. ლანჟონი - 21, 5. სენ ჟან დე ლუზი - 20, 6. ვანი - 18, 7. სენ ჟან დე ლუზი - 14, 8. მარმანდი - 11, 9. აგეტმო - 9, 10. ნუარი - 6.**

### IX ტური

პერიგო-ლანჟონი, ნუარი-სენ ნაზერი, ვანი-სენ ჟან დანჟელი, მარმანდი-სენ ჟან დე ლუზი, აგეტმო-ტიროსი.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს და მერვე ტურში ერთმანეთს სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ. **ლაშა მალალურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერემ" შინ მოუგო **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენს" - 21:3. მალალურაძემ, რომელიც 72-ე წუთზე შეცვალეს, სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (11 ქულ), მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

### D ჯგუფი

**მონტობანი-ლანამეზანი 51:0, ლიმოჟი-ოლორონი 34:23, სენ მედარი-ლურდი 15:9, კასტანე-ნევერი 19:19, ბაგნერე-სენ ჟუნიენი 21:3.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მონტობანი - 32 ქულა, 2. ლიმოჟი - 23, 3. ნევერი - 21, 4. ოლორონი - 20, 5. კასტანე - 20, 6. ლურდი - 18, 7. ბაგნერე - 15, 8. ლანამეზანი - 14, 9. სენ მედარი - 14, 10. სენ ჟუნიენი - 10.**

### IX ტური

ოლორონი-მონტობანი, ლანამეზანი-კასტანე, ლურდი-ლიმოჟი, ნევერი-ბაგნერე, სენ ჟუნიენი-სენ მედარი.



ბურთით დავით დადუნაშვილი

ტესტები



მამუკა გორგოძე დერეფანში ბრძოლისას

# მე-17 მსოფლიოს რეიტინგში

**საქართველოს ნაკრები შაბათს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ნოემბრის ტესტების მორიგ შეხვედრას ფიჯის ნაკრებთან გამართავს. „ბორჯღალოსნები" მატჩისთვის ტარდიციულად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ემზადებიან.**

ფიჯელები უკვე თბილისში არიან და პირველი ვარჯიშიც გამართეს. გასულ უქმეებზე მათ ირლანდიის A ნაკრებთან ითამაშეს და მშრალი ანგარიშით 0:53 დამარცხდნენ. „ბორჯღალოსნებმა" კი შინ იაპონიის ნაკრებთან წაგების შემდეგ მსოფლიოს კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით უკან დაიხიეს და ახლა 66,75 ქულით მე-17 ადგილზე არიან.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ცვლილება არ მომხდარა. ფრანგული „კლერმონის" მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** 21 ნოემბერს პარიზში სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იყო დაბარებული, თუმცა ეს ღონისძიება რამდენიმე დღით გადაიტანეს და „ვიტოს" ფიჯის ნაკრებთან თამაშის საშუალება ექნება.

### მსოფლიოს რეიტინგი

**1. ახალი ზელანდია - 92,91. 2. სამხრეთ აფრიკა - 86,05. 3. ავსტრალია - 85,94. 4. საფრანგეთი - 84,99. 5. ინგლისი - 81,96. 6. არგენტინა - 79,89. 7. ირლანდია - 79,04. 8. უელსი - 78,95. 9. სამოა - 78,79. 10. შოტლანდია - 77,42. 11. იტალია - 76,61. 12. ტონგა - 74,51. 13. კანადა - 71,41. 14. ფიჯი - 70,60. 15. იაპონია - 70,09. 16. აშშ - 66,86. 17. საქართველო - 66,75. 18. რუმინეთი - 63,58. 19. ესპანეთი - 63,09. 20. რუსეთი - 61,49.**

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ლევან ჩილაჩავა (ტულუზი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი)

მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალალურაძე (ბაგნერე), ლაშა ხლამაძე (ლელო).

№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართფურის კოლეჯი), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (მონლუსონი)

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), გიორგი ფრუიძე (აია), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), საბა ნიკოლავა (არმია).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ფორმულა 1. აშშ-ის გრანპრის შემდეგ

# ცუდი რბოლა რედ ბულისთვის...

## ...მაგრამ ავსტრიულმა საჯინიბომ სეზონის პირველი ტიტული აიღო



აშშ-ის გრანპრის პოდიუმი

**აშშ-ის გრანპრიმ, რომელიც ქალაქ ოსტინის ახალ ტრასაზე გაიმართა, სპეციალისტებს შორის მაღალი შეფასება დაიმსახურა, თუმცა ჩვენ უფრო გვაინტერესებს წამყვანი გუნდების გამოსვლის შეფასება, მით უმეტეს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია და ყველა ნიუანსი ძალიან საინტერესოა.**

### რედ ბული

**სებასტიან ფეტელი**: 2; **მარკ უებერი**: უქულოდ

ავსტრიული გუნდისთვის აშშ-ის რბოლა არც ისე კარგად წარიმართა, არადა, პირველ ვარჯიშებზე "რედ ბული" დაუმარცხებელი ჩანდა. **მარკ უებერმა**, რომელმაც სტარტზე **ლუის ჰემილტონს** გაუსწრო, მოპოვებული ადგილი ვერ შეინარჩუნა და უფრო მეტიც, წრეზე ნახევარ წამს აგებდა ლიდერებთან, რადგან მის მანქანაზე გენერატორი გამოვიდა მწყობრიდან. მოკლედ, ავსტრალიელმა ვერ შეძლო **ფერნანდო ალონსოსთვის** ქულების წართმევა.

**სებასტიან ფეტელი** კი მთელი რბოლა ჰემილტონთან ერთად უსწრაფესი იყო, მაგრამ **ნარაინ კართიკეიანის** წრეზე გასწრების შემდეგ, ლუისს დაწევისა და წინ გასვლის საშუალება მისცა, შემდეგ კი კონტრშეტევა ველარ მოახერხა. მიუხედავად ამისა, ამ რბოლამ "რედ ბულს" ზედიზედ მესამედ კონსტრუქტორთა თასი მოუტანა. ბოლოს ასეთი მიღწევა "ფერარის" ჰქონდა, მაგრამ მაშინ, 1999-2004 წლებში "სკუდერია" ექვსჯერ გახდა გუნდური პირველობის გამარჯვებული.

### მაკლარენი

**ჯენსონ ბატონი**: 5; **ლუის ჰემილტონი**: 1

მას შემდეგ, რაც კვალიფიკაციაში ჰემილტონმა ფეტელთან მხოლოდ ერთი მეათედი წამი წააგო, ცხადი იყო, რომ ლუისს ჰქონდა ჩემპიონატის ლიდერთან ბრძოლის შანსი. თუმცა ფეტელმა შეძლო და ხუთი წრის განმავლობაში 2.8-წამიანი უპირატესობა მოიპოვა. ლუისი აგრძელებდა შეტევებს და პიტსტოპებთან ახლოს უფრო სწრაფადაც მოძრაობდა. ინგლისელი დიდი ხანი ამზადებდა შეტევებს, მიუახლოვდა გერმანელს და შესანიშნავი მანევრით DRS-ის ზონაში გაუსწრო სებას. ამ მომენტიდან ჰემილტონი დამაჯერებლად აკონტროლებდა თავის უპირატესობას, კარგად პასუხობდა მეტოქეს და ერთხელაც არ მისცა ფეტელს DRS-ის გამოყენების საშუალება.

ბატონმაც ვერ დაიწყო აქტიურად და მხოლოდ მე-17 წრისთვის მოახერხა მეათე პოზიციამდე მიღწევა. გვიანმა პიტსტოპმა ბრიტანელს სამი პოზიციის მოგების საშუალება მისცა, რის შემდეგაც ჯენსონი საკუთარი ძალებით გაუსწორდა ორივე "ლოტუსს" და პირველ ხუთეულში დაასრულა რბოლა. ბოლოს, "მაკლარენმა" ერთ რბოლაში 35 ქულა სეზონის დასაწყისში მოიპოვა, როცა ბატონმა და ჰემილტონმა მელბურნში პირველი და მესამე ადგილები დაიკავეს. მაშინ ბევრს ეგონა, რომ ბრიტანელებმა ჩემპიონატში საუკეთესო მანქანა შექმნეს...

### ფერარი

**ფერნანდო ალონსო**: 3; **ფელიპე მასა**: 4

ალონსომ უკვე პირველივე წრეზე შეძლო მეოთხე პოზიციაზე გადასვლა, მაგრამ წინ მყოფ პილოტებს შორის ვინმესთან ბრძოლის საშუალებას მანქანა არ აძლევდა – უკვე ორი წრის შემდეგ, ფერნანდო ხუთ წამს აგებდა ფეტელთან და ორნახევარს – უებერთან. ოსტინში "ფერარი" ასევე აგებდა სისწრაფეში "ლოტუსთან". **ნიკო ჰიულკენბერგის** გასწრების შემდეგ, **კიმი რაიკონენი** ესპანელს 12 წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ პისტოპის შემდეგ, ამ წყვილს შორის სხვაობა ოთხ წამზე ნაკლები იყო. თუმცა შემდეგ, კიმი ისევ მოხვდა ტრაფიკში და ფერნანდო დაცილდა ფინელს.

39-ე წრეზე რაიკონენმა **ფელიპე მასაც** გაატარა. ბრაზილიელის თქმით, მან სეზონში საუკეთესო რბოლა ჩაატარა - პირველ ათ წრეზე ფელიპე მე-12 პოზიციიდან მეექვსეზე გადავიდა, პიტსტოპის შემდეგ კი გაუხურებელი საბურავებითაც კი რაიკონენთან ახლოს იმყოფებოდა და შეტევა მოამზადა. საბოლოოდ, ალონსოსთვის სტარტზე მსხვერპლად გაღებული ხუთი პოზიციის მიუხედავად, მასამ მხოლოდ შვიდი წამი წააგო ფერნანდოსთან და უკვე მესამედ ბოლო ხუთ რბოლაში პირველ ოთხეულში მივიდა ფინიშთან.

### მერსედესი

**მიხაელ შუმახერი**: 16; **ნიკო როსბერგი**: 13

**მიხაელ შუმახერს** თავიდანვე შეექმნა ტრასასთან მოჭიდების პრობლემები – ამან ლეგენდა უკვე მე-13 წრისთვის მე-14 ადგილზე გადაისროლა. ინჟინრებმა შუმახერის ორ პიტსტოპზე გადაყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს – ბოქსებში მეორე გაჩერების შემდეგ, მიხაელი ტრასაზე მხოლოდ მე-14 პოზიციაზე დაბრუნდა, რამაც ლიდერებთან ერთი წრით ჩამორჩენა მოიტანა.

**ნიკო როსბერგმა** სტარტზე რამდენიმე პოზიცია მოიგო, მაგრამ თანდათან დაკარგა მოგებული ადგილები – გერმანელს ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაუსწრეს "ტორო როსოს" პილოტებმა. გვიან პიტსტოპს გერმანელისთვის ბევრი არაფერი მოუტანია. მართალია, ნიკომ ბოლოს შეძლო **დანიელ რიკარდოს** დაწევა, მაგრამ ავსტრალიელთან მე-12 ადგილისთვის ბრძოლა ველარ მოასწრო. "მერსედესი" კრიზისშია – ბოლოს **როს ბრაუნის** შეგირდებმა ქულები სექტემბერში დააგროვეს, როცა როსბერგი სინგაპურში მეხუთე მივიდა ფინიშთან.

### ლოტუსი

**კიმი რაიკონენი**: 6; **რომენ გროსჟანი**: 7

რაიკონენმა ჩააგდო სტარტი, ამასთან, ფინელის თქმით, მანქანა "ფორს ინდიას" პილოტთან კონტაქტის გამო დაზიანდა. შესაბამისად, "ლოტუსის" ლიდერმა პირველი 12 წრე პირველი ხუთეულის მიღმა ტრაფიკში გაატარა. ჰიულკენბერგის გასწრების შემდეგ, რაიკონენი ალონსოს დაეწია – ორი წრის განმავლობაში ფინელმა ორი წამი მოუგო ესპანელს, პიტსტოპის შემდეგ კი ამ წყვილს შორის სხვაობა ოთხი წამი იყო და მათ შორის დანიელ რიკარდო იმყოფებოდა. "ტორო როსოს" უკან რაიკონენმა ისევ დაიწყო დროის დაკარგვა და ფელიპე მასას დაწევის საშუალება აღარ მიეცა.

რაც შეეხება გროსჟანს, მან პირიქით, კარგი სტარტი აიღო, მაგრამ ჰიულკენბერგის დევნისას შეცდომა დაუშვა. ტრასიდან გადავარდნამ ის გამოიწვია, რომ ფრანგი უკვე მეცხრე წრეზე შევიდა ბოქსებში. ამის შემდეგ, რომენი უშეცდომო იყო და საბურავების ერთი კომპლექტით 47 წრე გაიარა, თან აკურატულად უსწრებდა კონკურენტებს, რის შემდეგაც, ისევ ჰიულკენბერგის უკან აღმოჩნდა: 23-ე წრეზე რომენმა გაუსწრო გერმანელს და მის წინ ადგილი შეინარჩუნა.

# ვის რა სჭირდება?

ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ეტაპია დარჩენილი და ჩვენ ბოლოჯერ უნდა გავაანალიზოთ პირობები, რომლის მიხედვითაც ტიტულის ორ პრეტენდენტს სეზონის ტრიუმფალურად დასრულების საშუალება მიეცემა.

**სებასტიან ფეტელისთვის** საკმარისია მეოთხე ადგილზე ქვემოთ არ ჩამოვიდეს და ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდება **ფერნანდო ალონსოს** ნებისმიერი შედეგის მიუხედავად. იმ შემთხვევაშიც, თუ ფეტელი მეოთხე ადგილზე გავა, ალონსო კი რბოლას მოიგებს, ისინი ერთნაირი რაოდენობის ქულებს დააგროვებენ (285) და სებასტიანი მეტი მოგების წყალობით გახდება სამგზის ჩემპიონი.

ფეტელის გამარჯვების დანარჩენი პირობები:

- გერმანელის მე-5, მე-6 ან მე-7 ადგილი იმ პირობით, რომ ალონსო მეორე ადგილზე ზემოთ ვერ აიწევს;
- ფეტელის მე-8 ან მე-9 ადგილი იმ პირობით, რომ ალონსო მესამეზე მაღალ პოზიციას ვერ დაიკავებს;
- ფეტელის მე-10 ადგილი (ან ქვემოთ) იმ პირობით, რომ ალონსო სამეულში ვერ შევა.

ალონსოსთვის კი აუცილებელია გამარჯვება და თან იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ სებასტიანი მეხუთე ან უფრო ქვედა ადგილს დაიკავებს. თუ ალონსო მეორე მივა ფინიშთან, მაშინ ფეტელმა მე-8 ადგილზე ზემოთ არ უნდა აიწიოს. თუ ალონსო მესამე ადგილს დაიკავებს, ფეტელმა არც ერთი ქულა არ უნდა დააგროვოს. ალონსო ვერ გახდება ჩემპიონი, თუ ბრაზილიის გრანპრის სამეულში ვერ შეაღწევს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ალონსო თუ ფეტელი?

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ | იტა | სინ | იაპ | კორ | ინდ | ა-დაბ | აშშ | ბრა 25.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 18 | -- | 10 | 25 | 8 | 12 | 12 | -- | 15 | 10 | 12 | 18 | -- | 25 | 25 | 25 | 25 | 15 | 18 | -- | 273 |
| **ალონსო** (ფერარი) | 10 | 25 | 2 | 6 | 18 | 15 | 10 | 25 | 18 | 25 | 10 | -- | 15 | 15 | -- | 15 | 18 | 18 | 15 | -- | 260 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 6 | 10 | -- | 18 | 15 | 2 | 4 | 18 | 10 | 15 | 18 | 15 | 10 | 8 | 8 | 10 | 6 | 25 | 8 | -- | 206 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 15 | 15 | 4 | 4 | 10 | 25 | -- | 4 | -- | 25 | -- | 25 | -- | 10 | 1 | 12 | -- | 25 | -- | 190 |
| **უებერი** (რედ ბული) | 12 | 12 | 12 | 12 | -- | 25 | 6 | 12 | 25 | 4 | 4 | 8 | -- | -- | 2 | 18 | 15 | -- | -- | -- | 167 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 25 | -- | 18 | -- | 2 | -- | -- | 4 | 1 | 18 | 8 | 25 | -- | 18 | 12 | -- | 10 | 12 | 10 | -- | 163 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | 2 | -- | 8 | 1 | -- | 12 | -- | 2 | 10 | 12 | 4 | 18 | 12 | 8 | 6 | 12 | -- | 107 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | -- | -- | 8 | 15 | 12 | -- | 18 | -- | 8 | -- | 15 | -- | -- | 6 | -- | 6 | 2 | -- | 6 | -- | 96 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 25 | 10 | 6 | 18 | 8 | 8 | -- | 1 | 1 | -- | 6 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 93 |
| **პერესი** (ზაუბერი) | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | 15 | 2 | -- | 8 | -- | -- | 18 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 66 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | 8 | -- | 1 | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | 12 | -- | -- | 2 | -- | 15 | -- | -- | 8 | -- | -- | 58 |
| **ჰიულკენბერგი** (ფ-ინდია) | -- | 2 | -- | -- | 1 | 4 | -- | 10 | -- | 2 | -- | 12 | -- | -- | 6 | 8 | 5 | -- | 4 | -- | 53 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 6 | -- | 8 | -- | 6 | -- | 6 | -- | -- | -- | 1 | 4 | 12 | -- | -- | -- | 2 | -- | -- | 46 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | 4 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | -- | -- | 10 | 2 | -- | 45 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | 15 | 6 | 6 | -- | 6 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 43 |
| **სენა** (უილიამსი) | -- | 8 | 6 | -- | -- | 1 | -- | 1 | 2 | -- | 6 | -- | 1 | -- | -- | -- | 1 | 4 | 1 | -- | 31 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | -- | -- | -- | 4 | -- | -- | -- | -- | 12 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | 1 | 2 | -- | 1 | -- | -- | 10 |

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სამმაგი დუბლების დღე

## კობის მე-18 და დურანტის პირველი



ლინმა კობის ვერ გააჩერა

დიდი ხანია **კობი ბრაიანტს** სამმაგი დუბლი არ შეუსრულებია, კერძოდ, 2010 წლის სექტემბერის შემდეგ. "ლეიკერსის" ლიდერსა და გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელს **მაიკ დ'ენტონის** ორი ვარჯიში ეყოთ იმისთვის, რომ ვეტერან ვარსკვლავს კარიერაში მე-18 ტრიპლ-დაბლი შეესრულებინა: 22 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი და 3 ჩაჭრა.

უნდა აღვნიშნოთ "ჰიუსტონის" წინააღმდეგ სხვა მოთამაშეების სტატისტიკური მიღწევები: მაგალითად, **გასოლმა** 17 ქულა დააგროვა და გადაცდა კარიერაში 15000-ქულიან ზღვარს, გამთამაშებელმა **დარიუს მორისმა** 12 ქულა დააგროვა და ეს მისი პირადი რეკორდია, **დუაიტ ჰოვარდი** კი მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა – 28 ქულა, რასაც 13 მოხსნა დაემატა. ასე რომ, "ლეიკერსს" შედეგზე სანერვიულო არაფერი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს საკმაოდ ბევრი ჩააგდებინა – 119:108.

■ ■ ■

ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო: **კევინ დურანტმა** კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი გაიფორმა. ამ ისტორიული მოვლენისთვის "ოკლაჰომას" ლიდერს მოსახერხებელი მეტოქე ჰყავდა "გოლდენ სტეიტის" სახით, რომელიც **ენდრიუ ბოგუტის** გარეშე დაცვას საერთოდ ვერ თამაშობს. საბოლოოდ, თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა 25 ქულა, 13 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი დააგროვა.

თუმცა "უორიორსზე" გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა პარტნიორების დახმარების გარეშე – **მარტინმა** და **უესტბრუკმა** 53 ქულა დააგროვეს.

■ ■ ■

"ინდიანა პეისერსს" შანსი არ ჰქონდა "ნიუ იორკის" წინააღმდეგ, რადგან მეტოქეს 90-ჯერ ასროლინა, "ნიქსის" ცხრა შეცდომისგან მხოლოდ ხუთი ქულა აიღო, საკუთარ ფარზე 15 მოხსნა დაუთმო მოწინააღმდეგეს და თამაშიდან საშინლად ისროლა – 36.7 პროცენტი (სამქულიანები – 28 პროცენტი).

*"ეს იყო ის დღე, როცა ყველაფერი დაცვამ გადაწყვიტა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ენტონიმ, რომელმაც 31 წუთში 26 ქულა, 9 მოხსნა და 2 ჩაჭრა დააგროვა.

■ ■ ■

**ხოსე კალდერონის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით, "ტორონტომ" შინ დაამარცხა "ორლანდო", მიუხედავად იმისა, რომ კანადელებს აკლდათ **კაილ ლოური**. ესპანელმა 18 შედეგიანი პასი დააგროვა და გააუმჯობესა თავისი ექვსი დღის წინანდელი მიღწევა. რაც მთავარია, ათი პასი კალდერონმა მეოთხე მეოთხედში დააგროვა, როცა სტუმრებმა ინიციატივა მოიპოვეს და ჩაგდებული სტარტის შემდეგ, თამაშის გადარჩენა სცადეს.

ბოლო 12-წუთეულში კალდერონის გადაცემების ადრესატები იყვნენ **ლინას კლეიზა** და **ამირ ჯონსონი**, რომლებმაც მეოთხედში საკუთარი გუნდის 30 ქულიდან 24 საკუთარ ანგარიშზე მიითვალეს.

■ ■ ■

დღის სენსაცია მოხდა დეტროიტში, სადაც "ბოსტონმა" პირწმინდად ჩააგდო შეხვედრა იქაურ "პისტონზთან". მთელი მატჩის განმავლობაში, "სელტიქსმა" მხოლოდ ორი შედეგიანი პასი დააგროვა (რონდოს მონაგარს თუ არ ჩავთვლით) და საშინლად ითამაშა დაცვაში ერთ-ერთი აუტსაიდერის წინააღმდეგ. საბოლოოდ, **მონრომ** და კომპანიამ მიმდინარე სეზონში მხოლოდ მესამედ გადალახა 100-ქულიანი ზღვარი. პირველ ორ შემთხვევაში ეს მოხდა "საკრამენტოსთან" და "ორლანდოსთან" მატჩებში.

■ ■ ■

ამასობაში, "კლივლენდმა" ზედიზედ მეექვსე შეხვედრა წააგო - ამჯერად, "ფილადელფიასთან". "კავალიერზმა" საკუთარ თავზე გამოსცადა "სიქსერზის" დაცვის ძალა. **ირვინგისა** და **უეიტერსის** წყვილმა თამაშიდან 27-ჯერ ისროლა და მხოლოდ ექვსი ჩააგდო. ბუნებრივია, **ვარეჟაოსა** და **ტომპსონის** შესანიშნავი დუეტის 28 მოხსნამ არანაირი შედეგი არ გამოიღო, მით უმეტეს, რომ **სი ჯეი მაილსმა** მთლიანად ჩააგდო შეხვედრა – მცველმა რვა ცდიდან მხოლოდ ერთხელ შეძლო ჩაგდება.

■ ■ ■

მოულოდნელად "ბრუკლინისა" და "საკრამენტოს" მატჩის გმირი აღმოჩნდა **ანდრე ბლეტჩი** – სულ რაღაც 19 წუთის განმავლობაში 22 ქულა დააგროვა (12-დან 11 ბურთი ჩააგდო). თანაც, ფორვარდი ყველაზე საჭირო დროს გააქტიურდა, რადგან ძალიან არაეფექტური იყო **დერონ უილიამსისა** და **ჯო ჯონსონის** დუეტი: 22-დან მხოლოდ ხუთი ზუსტი ტყორცნა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ "ნეტსის" მამოძრავებელი ძალა გახდა სათადარიგოთა სკამი, რომლის მონაგარი ზუსტად 50 ქულა იყო.

**ნიუ იორკი–ინდიანა 88:76**

21:18, 20:12, 27:26, 20:20

**ნ-ი:** ენტონი (26+9 მოხსნა), სმიტი (13+7 მოხსნა), ფელტონი (11+8 პასი).

**ი:** ჯორჯი (20), უესტი (14+7 მოხსნა).

**ტორონტო–ორლანდო 97:86**

32:22, 17:19, 18:28, 30:17

**ტ:** დეროზანი (20+9 მოხსნა), ბარნიანი (17+5 მოხსნა), ჯონსონი (15+5 მოხსნა), კლეიზა (12+5 მოხსნა), მაკგუაირი (11), კალდერონი (9+18 პასი).

**ო:** დევისი (16+12 მოხსნა), მური (16), აფლალო (15), ვუჩევიჩი (12+6 მოხსნა).

**ფილადელფია–კლივლენდი 86:79**

19:21, 24:21, 19:15, 24:22

**ფ:** ტერნერი (19+6 მოხსნა+9 პასი), ჰოლიდეი (14+9 პასი), ჰოუზი (14+9 მოხსნა), იანგი (13), რიჩარდსონი (12+9 მოხსნა).

**კ:** გი (17), ვარეჟაო (14+15 მოხსნა), ტომპსონი (14+13 მოხსნა).

**საკრამენტო–ბრუკლინი 90:99**

20:21, 22:33, 23:20, 25:25

**ს:** კაზინსი (29+7 მოხსნა), ევანსი (21+7 მოხსნა), ტორნტონი (12).

**ბ:** ბლეტჩი (22), უილიამსი (14+5 მოხსნა+10 პასი), ბრუქსი (14), ლოპესი (13+5 მოხსნა+4 დაფარება), უოტსონი (13), ჯონსონი (10).

**ოკლაჰომა–გ. სტეიტი 119:109**

26:25, 33:21, 35:27, 25:36

**ო:** უესტბრუკი (30+7 პასი+5 ჩაჭრა), დურანტი (25+13 მოხსნა+10 პასი), მარტინი (23+5 პასი), იბაკა (16+8 მოხსნა).

**გ-ს:** კარი (22+6 პასი), ლი (19), ლენდრი (14), ჯეკი (12+5 პასი), ბარნსი (12).

**დეტროიტი–ბოსტონი 103:83**

23:25, 25:18, 23:14, 32:26

**დ:** მონრო (20+13 მოხსნა), მაქსიელი (15+6 მოხსნა), სტაკი (14+5 მოხსნა+5 პასი), სინგლერი (14), მაგეტი (11), პრინსი (10).

**ბ:** სალინჯერი (16+5 მოხსნა), გარნეტი (15), პირსი (13), რონდო (12+10 პასი).

**პორტლენდი–ჩიკაგო 102:94**

23:30, 28:13, 22:25, 29:26

**პ:** ბატუმი (21), მეტიუზი (21), ოლდრიჯი (18+13 მოხსნა), ლილარდი (16+3 ჩაჭრა), პრაისი (10+5 პასი), ჰიქსონი (10).

**ჩ:** რობინსონი (18), ნოა (16+15 მოხსნა+8 პასი), ჰემილტონი (15), დენგი (14+7 მოხსნა), გიბსონი (11).

**ლეიკერსი–ჰიუსტონი 119:108**

40:29, 28:31, 30:27, 21:21

**ლ:** ჰოვარდი (28+13 მოხსნა+3 დაფარება), ბრაიანტი (22+11 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (17+5 მოხსნა), უორლდ პისი (15), მორისი (12+5 პასი).

**ჰ:** ჰარსონსი (24), ჰარდენი (20+7 პასი), პატერსონი (14+8 მოხსნა), მორისი (12+8 მოხსნა), აშიქი (8+9 მოხსნა), ლინი (5+10 პასი).

# ბინუმს ამ სეზონში ვერ ვნახავთ?

"ფილადელფია სიქსერზის" ცენტრმა **ენდრიუ ბინუმმა**, შესაძლოა, მთელი მიმდინარე სეზონი გამოტოვოს. ცნობილმა ქირურგმა-ორთოპედმა, რომლის გვარი პრესისთვის უცნობი დარჩა, გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ კალათბურთელს მუხლის ოსტეოქონდრული დაზიანება აქვს, რომელიც არაქირურგიული გზით, შესაძლოა, აპრილისთვის განიკურნოს. ხოლო, თუ ბინუმი ოპერაციას დათანხმდება, მაშინ სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით ერთი წელი გაიწელება.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, ბინუმმა აღიარა, რომ მარცხენა მუხლის ტრავმა ბოულინგის თამაშის დროს მიიღო. ადრე იტყობინებოდნენ, რომ "ფილადელფიას" ახალწვეული მოედანზე იანვარში დაბრუნდებოდა.

■ ■ ■

"მინესოტას" შემტევი მცველი **ბრენდონ როი** მუხლზე ოპერაციის შემდეგ, რამდენიმე კვირა ვერ შეძლებს რეგულარულ ჩემპიონატში თამაშს, - წერს Yahoo Sports. შეგახსენებთ, რომ კალათბურთელისთვის რიგით მეშვიდე ოპერაციის ჩატარება რამდენიმე დღის წინ გადაწყდა. რეაბილიტაციის ზუსტი ვადები მოგვიანებით გაირკვევა.

იმავე "მინესოტას" მცველმა **რიკი რუბიომ** კი საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიში დაიწყო და ჯერჯერობით მსუბუქად დაიტვირთა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ესპანელის გამოჯანმრთელების ზუსტი თარიღი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ესპანელმა დეკემბრის შუაში უნდა შეძლოს მოედანზე გასვლა.

■ ■ ■

"ჰიუსტონ როკეტსის" თავდამსხმელი **როის უაიტი** NBA-ში კარიერის დასრულებას აპირებს ისე, რომ ლიგაში ერთი მატჩიც არ უთამაშია. "რაკეტების" ახალბედას ფსიქიკური აშლილობა აქვს და თვითმფრინავით ფრენის ეშინია. მანვე ისიც აღიარა, რომ ვერ გრძნობს კლუბის ხელმძღვანელობისგან და თანაგუნდელებისგან მხარდაჭერას.



ენდრიუ ბინუმი

უაიტი "ჰიუსტონის" გენერალურ მენეჯერთან **დერილ მორთან** შეხვედრასა და შექმნილი სიტუაციის განხილვას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ტექსასურმა კლუბმა როისი 2012 წლის დრაფტზე მე-16 ნომრად აირჩია.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ვესტ ჰემი-სტოკი | 1:1 |
| **იტალია** | |
| რომა-ტორინო | 2:0 |
| **სერია C1/B** | |
| პიზა-სორენტო | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| სოსიედადი-ვალეკანო | 4:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰერტა-სტ. პაული | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-გრააფსხაპი | 2:0 |
| **დანია** | |
| რანდერსი-ოდენსე | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| ვილი-ლუგანო | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| ასტერასი-ატრომიტოსი | 3:0 |
| **თურქეთი** | |
| ორდუ-ტრაბზონი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ძონია-ერჩიესი | 0:2 |
| **კვიპროსი** | |
| ანორთოსისი-ეთნიკოსი | 5:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-დუკლა | 3:0 |
| **რუსეთი** | |
| კრ. სოვეტოვი-ლოკომოტივი | 0:1 |
| კრასნოდარი-ტერეკი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| [illegible] | 1:0 |
| ვოლგარი-შინნიკი | 1:1 |
| ტორპედო-ურალი | 2:3 |
| სალუტი-ნეფტეხიმიკი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-რუხი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-კონკორდია | 2:1 |
| ოცელული-ვასლუი | 2:0 |
| რაპიდი-გაზ მეთანი | 2:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი შაჰნინი | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| ბელგრანო-ლანუსი | 0:2 |
| **აზერბაიჯანი** | |
| გილანი-განჯა | 2:0 |
| რავანი-ოლიმპიკი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-კავალა | 113:62 |
| აპოლონი-არისი | 64:53 |
| პაოკ-კოლოსოსი | 68:63 |
| **იტალია** | |
| ვანოლი-მილანი | 59:78 |
| **თურქეთი** | |
| ტ. ტელეკომი-ეფესი | 57:96 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-პუატიე | 67:66 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 2:0 |

TV პროგრამა

**20 ნოემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. ვესტ ჰემი-სტოკი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ნიურნბერგი-ბაიერნი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. ბელგრანო-ლანუსი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**20:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**21:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სპარტაკი-ბარსელონა (LIVE).
**23:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბენფიკა-სელტიკი (LIVE).
**01:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნორვიჩი-მანჩესტერ იუნ.
**17:00** რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-კლიპერსი.
**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ალსტერი-კასტრი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მარსელი-ბორუსია (მ).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.
**21:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-ფლენსბურგი.
**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**I არხი**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 12 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 22 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 21 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 21 | (მზე) |
| გორი | 5 | 14 | (მზე) |
| თელავი | 6 | 11 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 10 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -5 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 13 | (მზე) |
| მესტია | -2 | 14 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1334 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6708 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6587 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2760 |

კრივი

# თუ კლიჩკო არა, მაშინ კლიჩკოს მწვრთნელი

ამერიკელმა მძიმეწონოსანმა **ჯონათან ბენქსმა**, რომელიც **ვლადიმერ კლიჩკოს** მწვრთნელი გახლავთ, განაცხადა, რომ ძალიან უნდა რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** შეხვედრა, რომელიც WBA-ის "რეგულარული" ჩემპიონი გახლავთ. ბენქსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ტიტულის მოპოვების დიდი სურვილი აქვს.

გასულ უქმეებზე, 30 წლის ბენქსი თავის თანამემამულე **სეტ მიტჩელს** შეხვდა. მართალია, ბრძოლის ფავორიტად სწორედ მიტჩელი მიიჩნეოდა (მას მანამდე არც ერთი რბოლა არ ჰქონდა წაგებული), მაგრამ ბენქსმა ტექნიკური ნოკაუტით მეორე რაუნდში მოიგო.

ამ ბრძოლაში თამაშდებოდა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულისთვის ბრძოლის საგზური. ეს საჩემპიონო ქამარი **ვიტალი კლიჩკოს** ეკუთვნის. ამ ერთგვარი ტურნირის მეორე ნახევარფინალში 22 დეკემბერს, პოლონელი **ტომაშ ადამეკი** და ამერიკელი **სტივ კანინგემი** შეხვდებიან.

ბენქსს კარიერაში ერთადერთი მარცხი სწორედ ადამეკმა აგემა (2009 წელს, 90.7-კილოგრამამდე წონაში). ამერიკელმა განაცხადა, რომ მას პოლონელთან მატჩ-რევანში სურს, თუმცა პოვეტკინთან ბრძოლაზეც თანახმაა.

სულ ბენქსმა კარიერაში 31 ბრძოლა ჩაატარა – მოიგო 29 (19 – ნოკაუტით), ერთი ფრედ დაასრულა და ერთხელ დამარცხდა. ბენქსი ვლადიმერ კლიჩკოს მწვრთნელი პოლონელ **მარიუშ ვახთან** ბრძოლისთვის მზადების პროცესში გახდა. უკრაინელის წინა მწვრთნელი **ემანუელ სტიუარდი** იმ პერიოდში კიბოთი გარდაიცვალა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ინტერვიუ ნოვაკ ჯოკოვიჩთან

# ფანტასტიკური წელი გამოვიდა

სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ზედიზედ მეორე სეზონი დაასრულა პირველი ჩოგანის რანგში. წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში როჯერ ფედერერის დამარცხების შემდეგ, მან კარიერაში 34-ე ტიტული მოიპოვა. ლონდონში ტრიუმფის შემდეგ, ნოვაკმა ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რის წყალობით მოახერხა ამ გამარჯვების მოპოვება...



**- როგორ შეაფასებთ თქვენ მიერ ლონდონში ნაჩვენებ თამაშს?**

- მთელი კვირის განმავლობაში შესანიშნავ თამაშს ვაჩვენებდი. პირველი მატჩის დროს, კორტზე გარკვეულ დისკომფორტს ვგრძნობდი, მაგრამ შემდეგ შევძელი ენდი მიურეის დამარცხება. ამან უდიდესი დამაჯერებლობა მომიტანა. ამის შემდეგ, ყოველი მატჩისას ვგრძნობდი, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევდიოდი.

**- წელს ყოველთვის არ გამოგდიოდათ კარგი თამაში. რაშია საქმე? ფიზიკურად არ იყავით ბოლომდე მზად თუ თქვენი მოტივაცია აღარ არის საკმარისად მაღალი?**

- ამის ახსნა რთულია. წინასწარ ვერ ივარაუდებ რა იქნება, რადგან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი მატჩი გამოდის, ვინ არის შენი მოწინააღმდეგე და რამდენად კარგად გრძნობ თავს. ვცდილობ მოვამზადო ინდივიდუალური ტაქტიკური გეგმა ყოველი მეტოქისთვის.

**- ზედიზედ მეორე სეზონი დაასრულეთ პირველი ჩოგანის რანგში. შეგეძლოთ გევარაუდათ, რომ ამის გაკეთებას შეძლებდით?**

- ეს ორი გრძელი წელი იყო, მაგრამ ორივე წარმატებული. არ ვიცოდი ბრწყინვალე 2011 წლის შემდეგ რა შედეგებს ვაჩვენებდი, მაგრამ მჯეროდა იმ გამოცდილებისა, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირების მოგების შემდეგ მივიღე. ეს ჩემი დრო იყო, ჩემი მომენტი, უნდა დამეჯერებინა საკუთარი შესაძლებლობების. მთელი ეს სეზონი ჩემთვის წარმატებული გამოვიდა, თუმცა ასევე იყო დასანანი წაგებები დიდ ტურნირებზე, მაგალითად, "დიდი სლემის" ორი ჩემპიონატის ფინალში.

საბოლოოდ, ეს იყო ფანტასტიკური წელი, ბევრი სირთულე შემხვდა როგორც კორტზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მამის ავადმყოფობის შესახებ ტურნირის წინ გავიგე, მაგრამ მაინც მინდოდა მისი გულისთვის თამაში. ამიტომაც ვიხარჯებოდი ბოლომდე, განსაკუთრებით ფინალში. ეს ტიტული მამაჩემს მივუძღვენი.

**- მამა ახსენეთ. ვიცი, რომ არ მოგწონთ მისი ჯანმრთელობის შესახებ ლაპარაკი. ახლა, შეგიძლიათ მოგვიყვეთ უფროსი ჯოკოვიჩის მდგომარეობას შესახებ?**

- ახლა ყველაფერი წესრიგშია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი – მიმაჩნია, რომ ეს არ არის პრესის განსახილველი თემა. ეს პირადია, რადგან ოჯახის საქმეა. არ მაქვს სურვილი ადამიანებმა მამაჩემის ჯანმრთელობის მდგომარების განხილვა დაიწყონ. არადა, ბოლო რამდენიმე კვირაა, სწორედ ასე ხდება.

რაღაც მომენტში სიტუაცია მართლაც არასახარბიელო იყო. არ ვიცოდით, რა მოხდებოდა ხვალ. მაგრამ ახლა ის კარგადაა, გამოჯანმრთელების გზაზეა, თუმცა ჯერაც რეანიმაციაში რჩება. მინდა ლონდონის თასი ჩავუტანო და ვაიძული გაიღიმოს.

**- როგორ შეფასებას მისცემდით ამ სეზონს და რა მიზნები გაქვთ 2013 წელს?**

- ამ მომენტისთვის საერთოდ არ მინდა მომდევნო სეზონზე ფიქრი. უბრალოდ, მინდა დავტკბე ბოლო გამარჯვებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ამ სეზონმა მომცა ის, რომ თავს კორტზე კიდევ უფრო უკეთ ვგრძნობ. ეს საშუალებას მომცემს მომავალში უფრო მეტი დიდი ტურნირი მოვიგო. ჩემი მიზნები, ამბიციები და მოლოდინი - ყოველთვის მაღალია. ახლა, დრო მჭირდება ძალების აღსადგენად, რადგან ამ სეზონმა ძალიან ბევრი ენერგია წაიღო. დარწმუნებული ვარ, ავსტრალიას კარგ ფორმაში შევხვდები.

**- რამდენიმე დღით ბრაზილიაში მიემგზავრებით. ვიცით, რომ იქ ფეხბურთიც უნდა ითამაშოთ. რამდენად კარგად გამოგდით ეს საქმე? გყავთ საყვარელი ბრაზილიელი ფეხბურთელები?**

- ბრაზილია – ერთ-ერთი ყველაზე დიადი და წარმატებული ქვეყანაა ფეხბურთის ისტორიაში. იქ ეს სპორტის ეროვნული სახეობაა. ეს იქნება ჩემი პირველი ვიზიტი ბრაზილიასა და რიო-დე-ჟანეიროში, ვაპირებ საჩვენებელი მატჩის გამართვას გუსტავო კუერტენთან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ შეხვედრას რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი დაესწრება – კაფუ, ბებეტო, ზიკო...

ფეხბურთის დიდი ფანი ვარ. მიყვარს სპორტის ეს სახეობა. ხანდახან დიდ მოედანზეც მითამაშია, მაგრამ საშინელი ფეხბურთელი ვარ.

**- თქვენ იტალიის დიდი გულშემატკივარი ხართ და "მილანის" ქომაგობთ. ამ ქვეყანასაც უყვარხართ. რა ურთიერთობა გაქვთ იტალიასთან?**

- მთელი ჩემი ცხოვრებისა და კარიერის განმავლობაში ამ ქვეყანაში ბევრი დრო მაქვს გატარებული. ვვარჯიშობდი ფლორენციაში და, რა თქმა უნდა, ყოველ წელს ჩავდივარ რომში იქაურ "მასტერსში" სათამაშოდ. ამჟამად, მე და ჩემი შეყვარებული მონტე კარლოში ვცხოვრობთ, ეს კი იტალიასთან ძალიან ახლოსაა. იქ ბევრ დროს ვატარებთ, იტალიურ ენაზე ვსაუბრობთ და ძალიან გვიყვარს ეს ქვეყანა.

ჩემი აზრით, იტალიელი და სერბი ხალხის მენტალიტეტი ძალიან ახლოსაა. ძალიან მიყვარს იქაური სამზარეული.

**- ძალიან გვინდა თქვენი და რაფაელ ნადალის მეტოქეობის ხილვა...**

- საჩოგბურთო სამყაროს ძალიან აკლია რაფა. ის საყოველთაოდ აღიარებული ჩოგბურთელი და ათლეტია, ძალიან პოპულარული, მის მატჩებზე ბევრი გულშემატკივარი დადის და მასთან რთულია მეტოქეობა. ის უკვე გახდა ლეგენდა, არადა, მხოლოდ 26 წლისაა.

როგორც ჩანს, მისი ტრავმა სერიოზულია, რადგან სეზონის მეორე ნაწილი მთლიანად გამოტოვა. იმედია, იანვრისთვის მწყობრში ჩადგება და შევძლებთ ავსტრიალიაში მასთან შეხვედრას. ის იმსახურებს კარიერის გაგრძელებას. დარწმუნებული ვარ, ყველა ბედნიერი იქნება მისი კორტზე ხილვით.

P. S. ჯოკოვიჩმა უკვე მოასწრო ბრაზილიაში ვიზიტი, იქ ლეგენდარულ გუსტავო კუერტენთან ჩაატარა საჩვენებელი მატჩი, მისი პაროდიაც შემოგვთავაზა, ბოლოს კი ფეხბურთიც ითამაშა.

დღის ფოტო

## მარია მონრო

უცნაური იმიჯით წარსდგა თავისი გულშემატკივრების წინაშე ცნობილი გერმანელი სამთო მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი **მარია რიში**. მან ჰოლივუდის ლეგენდარული მსახიობის **მერილინ მონროს** ცნობილი პოზა გაიმეორა **ბილი უაილდერის** ფილმიდან - The Seven Year Itch.

სამწუხაროდ, უცნობი დარჩა – რა მიზნით აირჩია ეს იმიჯი მარიამ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

## უცხოური ფეხბურთი

● ისტორიიდან

# 10 გამორჩეული ასპარეზობა სანაკრებო შეხვედრაში

**ინგლისის ნაკრებთან ზლატან იბრაჰიმოვიჩის საოცარი თამაშის შემდეგ, საფეხბურთო პორტალმა Goal.com-მა სანაკრებო შეხვედრებში თავგამოჩენილი ფეხბურთელები გაიხსენა და საკუთარი ათეული შემოგვთავაზა, რომელიც ადგილების მიხედვით დაყოფილი არ გახლავთ, ასე რომ, თავად გადაწყვიტეთ თუ რომელი ასპარეზობა იყო უფრო გამორჩეული...**



### კალუშა ბვალია

(ზამბია-იტალია, 1988 წელი)

ზამბიური ფეხბურთის ლეგენდამ, მსოფლიოს მასშტაბით სახელი 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე გაითქვა, როდესაც იტალიასთან შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა და საკუთარ ნაკრებს 3:2 მოაგებინა. ამ გამარჯვების წყალობით ზამბიამ საკუთარ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

**კალუშა ბვალია** ეროვნულ ნაკრებში 21 წლის განმავლობაში თამაშობდა, რომლის რიგებშიც ზუსტად 100 მატჩი ჩაატარა და 50 გოლი გაიტანა. 1994 წელს, ზამბიის ნაკრების ავიაკატასტროფაში დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ, ბვალიამ ნაკრებს აფრიკის ერთა თასზე უკაპიტნა და გუნდი ფინალში გაიყვანა, სადაც ზამბიელები ნიგერიასთან დამარცხდნენ.

### ფაბიო კანავარო

(გერმანია-იტალია, 2006 წელი)

2006 წლის მუნდიალის ეს ნახევარფინალური დაპირისპირება, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და მაღალი დონის შეხვედრად ითვლება. ამ მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი **ფაბიო კანავარო** იყო, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში შესანიშნავად მოქმედებდა და გერმანელ შემტევებს შანსს არ აძლევდა.

დამატებით დროში სწორედ კანავარომ წამოიწყო ის შეტევა, რომელსაც **დელ პიეროს** გოლი მოჰყვა.

### ჯეფრი ჰერსტი

(ინგლისი-გფრ, 1966 წელი)

**ჯეფ ჰერსტი** ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთთრიქის შესრულება შეძლო. მატჩის ძირითად დროში ჰერსტმა თავი ერთხელ გამოიჩინა, როდესაც **ჰელმუტ ჰალერის** გოლი გაქვითა. აი დამატებით 30 წუთში კი ინგლისის ნაკრების ფორვარდი მატჩის გმირი გახდა. სწორედ ჰერსტმა გაიტანა გოლი, რომელიც დღემდე დავის საგანია და სპეციალისტები ჯერაც ვერ შეთანხმდნენ (ალბათ ვერც შეთანხმდებიან) გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ამ გოლის წყალობით ანგარიში 3:2 გახდა, 120-ე წუთზე კი "ვესტ ჰემის" შემტევმა შეხვედრას წერტილი დაუსვა და ჟიულ რიმეს თასი ფეხბურთის სამშობლოში დატოვა.

### დიეგო მარადონა

(არგენტინა-ინგლისი, 1986 წელი).

არგენტინა-ინგლისის 1986 წლის შეხვედრა ისტორიაში **დიეგო მარადონას** ორი გოლის წყალობით შევიდა. ჯერ ე.წ. "ღმერთის ხელი" იყო, როდესაც დიეგომ **პიტერ შილტონს** დაასწრო და ინგლისის ნაკრების კარში გოლი ხელით გაიტანა. ამ გოლის გამო ინგლისელებს მარადონა დღემდე სძულთ.

მოგვიანებით კი იყო მეორე გოლი, რომელიც 2000 წელს საუკუნის საუკეთესო გოლად აღიარეს და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დღემდე საუკეთესოდ მიიჩნევა. მარადონამ ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო და კარისკენ დაიძრა. არგენტინელმა გზად ექვსი ინგლისელი მოატყუა, ბოლოს შილტონსაც გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

### პელე

(ბრაზილია-შვედეთი, 1958 წელი)

1958 წელს ბრაზილია პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და სწორედ ამ წელს გაიცნო მთელმა მსოფლიომ **პელე**. თინეიჯერმა ფეხბურთელმა განსაკუთრებით კარგად ფინალში ითამაშა, სადაც დუბლი შეასრულა და "სელესაოს" 5:2 მოაგებინა. პელეს პირველი გოლი სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში – 17 წლის მოთამაშემ ბურთი მეტოქის საჯარიმოში, მკერდზე მიიღო და მოწინააღმდეგეს თავზე გადაუგდო, რის შემდეგაც, ისე, რომ მიწაზე არ დაუშვია, შვედთა კარში გადაგზავნა.

### ფერენც პუშკაში

(ინგლისი-უნგრეთი, 1953 წელი)

ინგლისურმა პრესამ ეს შეხვედრა "საუკუნის მატჩად" მონათლა, რადგან ერთმანეთის წინაშე ფეხბურთის სამშობლო ინგლისი და იმ დროისთვის ყველაზე ძლიერი გუნდი, უნგრეთის ნაკრები წარდგნენ. უნგრელები მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და 24-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ.

ამ შეხვედრაში მათი უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოოდ "დიდმა გუნდმა" 6:3 მოიგო. ეს გამარჯვება დიდწილად **ფერენც პუშკაშის** (დუბლი) და **ნანდორ ჰიდეგკუტის** (ჰეთთრიქი) შესანიშნავმა ასპარეზობამ განაპირობა. მადრიდის "რეალის" ლეგენდის პირველი გოლი სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში – პუშკაშმა ინგლისელთა საჯარიმოში **ბილი რაიტი** მოატყუა და აუღებელი დარტყმით გაიტანა. "ტაიმსის" სპორტულმა ჟურნალისტმა, **ჯეფრი გრინმა**, რაიტის მიერ პუშკაშის მეურვეობის მცდელობა ასე დაახასიათა: *"მეხანძრე, რომელიც სხვა ხანძარზე მივიდა"*.

### პაოლო როსი

(იტალია-ბრაზილია, 1982 წელი)

**პაოლო როსი**, ციხეში გატარებული ორი წლის შემდეგ, 1982 წლის ჩემპიონატს ცუდ ფორმაში შეხვდა, მაგრამ ბრაზილიასთან, მეორე ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში, გოლი უკვე მე-5 წუთზე გაიტანა და იტალია დააწინაურა. **სოკრატესის** გამთანაბრებელი გოლის შემდეგ, როსიმ **ტონინო სერეზოს** შეცდომით ისარგებლა და იტალ. ა ისევ წინ გაიყვანა. "სელესაომ" წონასწორობა მეორედაც აღადგინა – თავი **ფალკაომ** გამოიჩინა. ამ სიტუაციში 1/2-ფინალში ბრაზილია გადიოდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, როსიმ **მარკო ტარდელის** დარტყმულს მიმართულება შეუცვალა და მომდევნო ეტაპზე იტალია გაიყვანა.

"სკუადრა აძურას" ფორვარდი 6 გოლით ტურნირის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

### არჩი ტომპსონი

(ავსტრალია-ამერიკის სამოა, 2001 წელი)

ავსტრალიის ნაკრებმა ამ შეხვედრაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ამერიკის სამოას 31:0 მოუგო. კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდი კი **არჩი ტომპსონის** კუთვნილება გახდა, რომელმაც ამ მატჩში 13 გოლი გაიტანა. ტომპსონის თანაგუნდელმა **დავიდ ზრდილიჩმა** თავი 8 გოლით გამოიჩინა და ყველა დროის სიაში მეორე ადგილზეა.

მსგავს შემთხვევას ადგილი რომ აღარ ჰქონოდა, ამ თამაშის შემდეგ, ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მუნდიალის შესარჩევი ეტაპის ოკეანეთის ზონაში გუნდები ორად დაეყო და შედარებით სუსტებს პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ეთამაშათ.

### იან ტომაშევსკი

(ინგლისი-პოლონეთი, 1973 წელი)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გადამწყვეტი მატჩის წინ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა, **ბრაიან კლაფმა**, მეტოქე გუნდის მეკარე **იან ტომაშევსკის** მასხარა უწოდა. გაბრაზებულმა ტომაშევსკიმ საოცარი მატჩი ჩაატარა და ფრედ (1:1) დასრულებული შეხვედრის გმირი გახდა. ამ ქულის წყალობით პოლონეთი მუნდიალზე მოხვდა, სადაც მესამე ადგილი დაიკავა, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები კი მსოფლიოს ჩემპიონატს ტელევიზორში უყურებდნენ.

### ზინედინ ზიდანი

(ბრაზილია-საფრანგეთი, 2006 წელი)

ბევრი სპეციალისტის აზრით, **ზინედინ ზიდანმა** კარიერის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი, 2006 წლის მუნდიალის 1/4-ფინალში, ბრაზილიასთან ჩაატარა. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ზიდანი საკუთარი ნაკრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, მაგრამ გუნდისთვის მისი მნიშვნელობა ყველაზე მეტად სწორედ ამ შეხვედრაში გამოჩნდა. "ზიზუ" მთელი 90 წუთის განმავლობაში უაღრესად პროდუქტიული გახლდათ და მისი ცქერა ერთი სიამოვნება იყო. საბოლოოდ სწორედ მან გაუკეთა საგოლე პასი **ტიერი ანრის**, რომელმაც ამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.



● ბრაზილია. სერია A. XXXVI ტური



2012 წლის იანვარი. "პალმეირასის" ფეხბურთელები ბრაზილიის თასის მოგებას ზეიმობენ

# მოსახდენი მოხდა: პალმეირასი გავარდა

**ბრაზილიის 8-გზის ჩემპიონი (ყველაზე მეტი "სანტოსთან" ერთად), თასის 2-გზის მფლობელი, 1999 წლის ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული, სან პაულოს შტატის 22-გზის ჩემპიონი (მხოლოდ "კორინთიანსს" აქვს უფრო მეტი, 26) – ეს ის ტიტულებია, რომელიც ახლა უკვე სერია B-ს გუნდს, სან პაულოს "პალმეირასს" აქვს მოხვეჭილი.**

**სანტოსი–ფიგეირენსე 2:0**

**გოლები:** 1:0 პატიტო როდრიგესი (43), 2:0 ფელიპე ანდერსონი (64).

**კორიტიბა–ვასკო 1:2**

**გოლები:** 1:0 ლინკოლნი (9), 1:1 რომარიო (22), 1:2 ნილტონი (58).

**ფლამენგო–პალმეირასი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვინისიუსი (63), 1:1 ვაგნერ ლავი (89).

**ფლუმინენსე–კრუზეირო 0:2**

**გოლები:** 0:1 მინტილიო (24-პენ), 0:2 ელბერი (47).

**სან პაულო–ნაუტიკო 2:1**

**გოლები:** 0:1 სოუზა (49), 1:1 ლუიშ ფაბიანო (55), 2:1 როჟერიო სენი (71-პენ).

**ატლ. მინეირო–ატლ. გოიანიენ. 2:2**

**გოლები:** 0:1 რაილანი (4), 0:2 პატრიკი (17), 1:2 რევერი (20), 2:2 რონალდინიო (90).

**ბაია–პონტე პრეტა 1:0**

**გოლი:** 1:0 ნეტო (81).

**ინტერნასიონ.–კორინთიანსი 0:2**

**გოლები:** 0:1 გერერო (45), 0:2 ედენილსონი (90)

**პორტუგეზა–გრემიო 2:2**

**გოლები:** 1:0 მოიზესი (53-პენ), 2:0 ლეო სილვა (61), 2:1 ანდრე ლიმა (74), 2:2 ზე რობერტო (78)

**სპორტ რესიფე–ბოტაფოგო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟილბერტო (58), 2:0 ენრიკე (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 36 | 22 | 10 | 4 | 59-30 | 76 |
| 2. გრემიო | 36 | 19 | 10 | 7 | 52-31 | 67 |
| 3. ატლ. მინეირო | 36 | 18 | 12 | 6 | 58-33 | 66 |
| 4. სან პაულო | 36 | 19 | 5 | 12 | 56-36 | 62 |
| 5. კორინთიანსი | 36 | 15 | 11 | 10 | 49-35 | 56 |
| 6. ბოტაფოგო | 36 | 15 | 9 | 12 | 56-45 | 54 |
| 7. ვასკო და გამა | 36 | 15 | 9 | 12 | 42-42 | 54 |
| 8. ინტერნასიონ. | 36 | 13 | 12 | 11 | 44-38 | 51 |
| 9. კრუზეირო | 36 | 14 | 7 | 15 | 43-47 | 49 |
| 10. სანტოსი | 36 | 12 | 13 | 11 | 46-42 | 49 |
| 11. ფლამენგო | 36 | 12 | 12 | 12 | 36-43 | 48 |
| 12. პონტე პრეტა | 36 | 12 | 10 | 14 | 37-44 | 46 |
| 13. ნაუტიკო | 36 | 13 | 6 | 17 | 42-50 | 45 |
| 14. კორიტიბა | 36 | 13 | 6 | 17 | 49-58 | 45 |
| 15. ბაია | 36 | 10 | 13 | 13 | 35-40 | 43 |
| 16. პორტუგეზა | 36 | 9 | 14 | 13 | 37-41 | 41 |
| 17. სპორტ რესიფე | 36 | 10 | 10 | 16 | 38-54 | 40 |
| 18. პალმეირასი | 36 | 9 | 7 | 20 | 37-49 | 34 |
| 19. ფიგეირენსე | 36 | 7 | 9 | 20 | 37-65 | 30 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 36 | 6 | 9 | 21 | 35-65 | 27 |

**ბომბარდირები:** 19 – ფრედი (ფლუმინენსე); 17 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბარკოსი (პალმეირასი), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა)

36-ე ტურში, 2012 წლის ბრაზილიის თასის მფლობელი, სტუმრად "ფლამენგოს" უგებდა და გადარჩენის მცირე შანსს იტოვებდა, მაგრამ შეხვედრის 89-ე წუთზე 10-კაციანმა "ფლამ" ანგარიში გაათანაბრა – "პალმეირასის" სასახლეში ბოლო ლურსმანი **ვაგნერ ლავმა** ჩააჭედა და გუნდი ქვედა დივიზიონში გაისტუმრა. "პალმეირასი" პირველად არ გავარდა, აქამდე ასეთი რამ ორჯერ მოხდა: 1981 და 2002 წლებში.

ბრაზილიაში სულ 5 კლუბია, რომელთაც სერია A (1971 წლიდან) არასდროს დაუტოვებიათ: "კრუზეირო", "ფლამენგო", "ინტერნასიონალი", "სანტოსი" და "სან პაულო". ბოლო წლებში არაერთი გრანდი გავარდა, ასე რომ, "პალმეირასის" დაქვეითება დიდად გასაკვირი ფაქტი არ არის. უკანასკნელ წლებში სერია B "დააგემოვნეს": "ატლეტიკო მინეირომ", "ბოტაფოგომ", "ვასკო და გამამ", "გრემიომ", "ფლუმინენსემ" (რომელიც ერთადერთია გრანდებს შორის, ვისაც სერია C-შიც კი უთამაშია) და "კორინთიანსმა", მაგრამ "პალმეირასი" გახდა პირველი დიდი გუნდი, რომელიც უმაღლესი ლიგადან მესამედ გავარდა.

36-ე ტურზე ბევრი სალაპარაკო არც არის, რადგან ინტრიგა პრაქტიკულად ყველა ასპექტში მოკვდა, გარდა გადარჩენისთვის ბრძოლისა. "სპორტ რესიფემ" საკუთარ მოედანზე უმოტივაციო "ბოტაფოგო" დაამარცხა და "პორტუგეზასთან", რომელმაც ასევე უმოტივაციო "გრემიოსთან" ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. იქვე ახლოს არის ბრაზილიის პირველი ჩემპიონი (1959 წელს) "ბაია", რომელმაც ამ ტურში "პონტე პრეტას" სძლია.

სერია B-ზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ და ამ ტურნირზეც ორი სიტყვა ნამდვილად უნდა ვთქვათ. ქვედა დივიზიონში სეზონის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და 2013 წლის სერია A-ს ორი მინაწილე უკვე ცნობილია – "გოიასი" და "კრისიუმა" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდნენ, ხოლო დარჩენილი 2 საგზურისთვის სამი გუნდი იბრძვის: "ატლეტიკო პარანაენსე (70 ქულა), "ვიტორია (70 ქულა) და "სან კაეტანო" (68 ქულა). ბოლო ტურში "ატლეტიკო" და "ვიტორია" შინ, თანაც აბსოლუტურად უმოტივაციო გუნდებთან თამაშობენ, "სან კაეტანო" კი სტუმრად "გუარანის" ხვდება, რომელსაც ქულები ჰაერივით ესაჭიროება. "სან კაეტენოს" მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მის კონკურენტებს, საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ეყოფათ. ასე რომ, ამ გუნდის სერია A-ში დაწინაურების შანსი ძალიან მცირეა.

● აშშ. MLS. კონფერენციების ფინალები. საპასუხო მატჩები.

# დინამო გალაქტიკის წინააღმდეგ

**დი სი იუნაიტედი–ჰიუსტონი 1:1**

(პირველი მატჩი 1:3)

**გოლები:** 0:1 ბ. გარსია (34), 1:1 ბოშკოვიჩი (83).

**სიეტლი–ლოს ანჯელესი 2:1**

(პირველი მატჩი 0:3)

**გოლები:** 1:0 ე. ჯონსონი (12), 2:0 სკოტი (58), 2:1 რობი კინი (68-პენ).

**აშშ-ში დასრულდა კონფერენციების ფინალები და MLS-ის ფინალური წყვილი გაირკვა – 2 დეკემბერს ერთმანეთს "ჰიუსტონ დინამო" და "ლოს ანჯელეს გელექსი" დაუპირისპირდებიან, რაც შარშანდელი ფინალის "რიმეიქი" იქნება. 2011 წელს, ლენდონ დონოვანის ერთადერთი გოლით, გამარჯვება "გელექსიმ" მოიპოვა.**

აღსანიშნავია, რომ ფინალს რეგულარულ სეზონში კონფერენციების მეხუთე (ჰიუსტონი) და მეოთხე (ლოს ანჯელესი) ადგილზე გასულმა გუნდებმა უწიეს. "ჰიუსტონ დინამო" "ემ-ელ-ეს"-ის 2-გზის ჩემპიონია (2006, 2007), "ლოს ანჯელეს გელექსი კი 3-გზის (2002, 2005, 2011).

პლეი ოფის კონფერენციების ფინალებს რაც შეეხება: ორივე გამარჯვებულ გუნდს პირველი თამაშის შემდეგ საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული და საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა. გამოვარჩიოთ **რობი კინის** მორიგი გოლი, რომელიც ირლანდიელისთვის პლეი ოფში უკვე მეხუთე გამოდგა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**